

საქართველოსა და ევროკავშირის შორის ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების (DCFTA-ის) და მის მიღმა ვალდებულებების განხორციელების 2025 წლის შესრულების ანგარიში

აქტივობა	ინდიკატორი	დადასტურების წყარო	პასუხისმგებელი უწყება	პარტნიორი უწყება	შესრულების ანგარიში
მიზანი 1.	ვაჭრობის სტატისტიკის სფეროს შემდგომი გაუმჯობესება				
ამოცანა 1.1.	საგარეო ვაჭრობის ინდექსების გაანგარიშება (ექსპორტ-იმპორტის ერთეულის ღირებულების ინდექსები)				
1.1.1. იმპორტირებული საქონლის ღირებულების გადაანგარიშება CIF - იმპორტიორი ქვეყნის ფრანკო-საზღვრის ფასებიდან FOB - ექსპორტიორი ქვეყნის ფრანკო-საზღვრის ფასებში.	CIF - იმპორტიორი ქვეყნის ფრანკო-საზღვრის ფასებიდან FOB - ექსპორტიორი ქვეყნის ფრანკო-საზღვრის ფასებში გაანგარიშების მეთოდოლოგიის შემუშავება	საქონლის იმპორტის სტატისტიკა FOB ფასებში გამოქვეყნებულია საქსტატის ვებგვერდზე: www.geostat.ge	სსიპ საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური	საქართველოს ეროვნული ბანკი	CIF - იმპორტიორი ქვეყნის ფრანკო-საზღვრის ფასებიდან FOB - ექსპორტიორი ქვეყნის ფრანკო-საზღვრის ფასებში გაანგარიშების მეთოდოლოგია შემუშავებულია. შერჩეულია საწარმოები სპეციალური ერთჯერადი გამოკითხვისათვის და შემუშავებულია შესაბამისი კითხვარი.
1.1.2. საქონლით საერთაშორისო ვაჭრობაში საგარეო ეკონომიკური საქმიანობის სასაქონლო ნომენკლატურა HS 2022 დანერგვა	HS 2022 წლის ნომენკლატურით გამოქვეყნებული საგარეო ვაჭრობის სტატისტიკა	საქსტატის ვებგვერდი: www.geostat.ge	სსიპ საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური		დაინერგა საგარეო ეკონომიკური საქმიანობის სასაქონლო ნომენკლატურის განახლებული ვერსია (HS 2022).
მიზანი 2.	ევროკავშირის ტერიტორიაზე ექსპორტის ხელშეწყობა				
ამოცანა 2.1.	ევროკავშირის ტერიტორიაზე საექსპორტო პროდუქციის დივერსიფიკაცია				
2.1.1. ევროკავშირის ქვეყნებში საერთაშორისო	ევროკავშირის ქვეყნებში საერთაშორისო	სსიპ აწარმოე საქართველოში-ს	სსიპ აწარმოე საქართველოში		2025 წლის განმავლობაში სააგენტოს დახმარებით მცირე და საშუალო ბიზნესის წარმომადგენლებმა მონაწილეობა მიიღეს გერმანიაში, იტალიაში,

საქართველოსა და ევროკავშირის შორის ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების (DCFTA-ის) და მის მიღმა ვალდებულებების განხორციელების 2025 წლის შესრულების ანგარიში

აქტივობა	ინდიკატორი	დადასტურების წყარო	პასუხისმგებელი უწყება	პარტნიორი უწყება	შესრულების ანგარიში
ლონისძიებებში, გამოფენებში და სავაჭრო მისიებში ქართული კომპანიების მონაწილეობის ხელშეწყობა	ო ლონისძიებებში, გამოფენებსა და სავაჭრო მისიებში მონაწილე ექსპორტიორი კომპანიების 70 თანადაფინანსების შემთხვევა; ევროკავშირის ქვეყნებში გამართული გამოფენებისა და სავაჭრო მისიების რაოდენობა - 8 ლონისძიება	წლიური ანგარიშები enterprisegeorgia.gov.ge			პორტუგალიასა და საფრანგეთში გამართულ 10 საერთაშორისო გამოფენაში. ჯამურად მოცემულ ლონისძიებებზე სააგენტოს მხრიდან განხორციელდა 65 თანადაფინანსების ფაქტი. ასევე, 16 დეკემბრის მდგომარეობით ინდივიდუალური ექსპო გრანტის პროგრამის ფარგლებში ევროკავშირის ქვეყნებში ლონისძიებებში მონაწილეობისთვის გაფორმდა 42 ახალი ხელშეკრულება.
ამოცანა 2.2.	მცირე და საშუალო ბიზნესების ფინანსებზე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება				
2.2.1. მცირე და საშუალო მეწარმეობის მხარდაჭერა, სესხის/ლიზინგის პროცენტის თანადაფინანსების პროგრამის ფარგლებში	360 თანადაფინანსებული საწარმო	სსიპ აწარმოე საქართველოში-ს წლიური ანგარიშები www.enterprisegeorgia.gov.ge	სსიპ აწარმოე საქართველოში		2025 წლის განმავლობაში, უნივერსალური პროგრამის ფარგლებში დამტკიცდა 378 კომპანიის 434 სესხი/ლიზინგი, რომელთა ჯამური დამტკიცებული მოცულობა 352 მილიონი ლარია. აღნიშნული პროექტების ფარგლებში დაგეგმილია 604 მილიონი ლარის მოცულობის ინვესტიციის განხორციელება და 3,500-ზე მეტი სამუშაო ადგილის შექმნა.

საქართველოსა და ევროკავშირის შორის ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების (DCFTA-ის) და მის მიღმა ვალდებულებების განხორციელების 2025 წლის შესრულების ანგარიში

აქტივობა	ინდიკატორი	დადასტურების წყარო	პასუხისმგებელი უწყება	პარტნიორი უწყება	შესრულების ანგარიში
ამოცანა 2.3.	მცირე და საშუალო ბიზნესების შესაძლებლობების განვითარება ექსპორტის მიმართულებით				
2.3.1. მცირე და საშუალო ბიზნესების ექსპორტის მენეჯერების გადამზადება	სერტიფიცირებული ექსპორტის მენეჯერთა რაოდენობა - 50 გადამზადებული პირი	სსიპ აწარმოე საქართველოში-ს წლიური ანგარიშები enterprisegeorgia.gov.ge	სსიპ აწარმოე საქართველოში	შერჩეული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება	2025 წლის განმავლობაში, ჩატარდა ორი ექსპორტის მენეჯერთა სასერტიფიკატო კურსი თბილისა და ოზურგეთში, რომლის ფარგლებშიც გადამზადდა 36 ექსპორტის მენეჯერი.
2.3.2. ექსპორტის სტიმულირების ტექნიკური დახმარების პროგრამის განხორციელება	მხარდაჭერილი ექსპორტზე ორიენტირებული კომპანიების რაოდენობა - 20 თანადაფინანსების შემთხვევა	სსიპ აწარმოე საქართველოში-ს წლიური ანგარიშები enterprisegeorgia.gov.ge	სსიპ აწარმოე საქართველოში		ექსპორტის სტიმულირების ტექნიკური დახმარების პროგრამის ფარგლებში 2025 წლის განმავლობაში ხელშეკრულება გაუფორმდა 15 ბენეფიციარს.
2.3.3 „უცხოელ შემსყიდველებთან დაკავშირების პროგრამის“ განხორციელება	მხარდაჭერილი კომპანიების რაოდენობა - 25 ბენეფიციარი	სსიპ აწარმოე საქართველოში-ს წლიური ანგარიშები enterprisegeorgia.gov.ge	სსიპ აწარმოე საქართველოში	UNDP	უცხოელ შემსყიდველებთან დაკავშირების პროგრამის ფარგლებში, პოტენციურ ბენეფიციარ კომპანიებთან გაიგზავნა კითხვარი, რომლის საფუძველზეც შეირჩნენ პროგრამაში მონაწილე კომპანიები. აღნიშნული პროგრამის ფარგლებში უცხოური საკონსულტაციო კომპანიის მხრიდან ხდება ბენეფიციარი კომპანიების შესწავლა, ანალიზი და ამ კომპანიების სპეციფიკის გათვალისწინებით მათი დაკავშირება უცხოელ შემსყიდველებთან. ჯამში 50-მა კომპანიამ, სასოფლო და არა სასოფლო მიმართულებით, ისარგებლა აღნიშნული პროგრამით (პროცესის მხარდაჭერის მიზნით, სააგენტოს როლი პროექტთან მიმართებაში, შემოიფარგლება მხოლოდ ტექნიკური ექსპერტიზისა და ინფორმაციის გაზიარებით).

საქართველოსა და ევროკავშირს შორის ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების (DCFTA-ის) და მის მიღმა ვალდებულებების განხორციელების 2025 წლის შესრულების ანგარიში

აქტივობა	ინდიკატორი	დადასტურების წყარო	პასუხისმგებელი უწყება	პარტნიორი უწყება	შესრულების ანგარიში
2.3.4 „მენტორშიპის პროგრამის“ განხორციელება	მხარდაჭერილი კომპანიების რაოდენობა - 50 ბენეფიციარი	სსიპ აწარმოე საქართველოში-ს წლიური ანგარიშები enterprisegeorgia.gov.ge	სსიპ აწარმოე საქართველოში	UNDP	<p>პროგრამის ფარგლებში სხვადასხვა ეტაპზე ჩართული იყო 100 მცირე და საშუალო საწარმო, ხოლო მათ შორის 63-მა საწარმომ გაიარა სრული კურსი და წარმატებით დაასრულა პროგრამის ყველა კომპონენტი.</p> <p>პროგრამის ფარგლებში თითოეული მონაწილე კომპანიისთვის, მათი საჭიროებებისა და ექსპორტისთვის მზადყოფნის შეფასების საფუძველზე, შემუშავდა ინდივიდუალური მენტორობის გეგმა, რომელშიც განისაზღვრა კომპანიის სასწავლო მიზნები, შესაბამისი ტრენინგების თემატიკა და დაგეგმილი აქტივობები. სასწავლო პროცესი განხორციელდა ონლაინ და პირისპირ ფორმატებში და აერთიანებდა ჯგუფურ და ინდივიდუალურ სესიებს, ხოლო საჭიროების შემთხვევაში კომპანიები სარგებლობდნენ მათთვის დანიშნული სექტორული მენტორების მიერ გაწეული საოფისე (back-office) მხარდაჭერი აქტივობებით. საოფისე მხარდაჭერა მოიცავდა ისეთ საქმიანობებს, როგორცაა პოტენციური მყიდველების მონაცემთა ბაზის შემუშავება, კომპანიის პრეზენტაციებისა და მარკეტინგული მასალების გაუმჯობესება,</p>

საქართველოსა და ევროკავშირის შორის ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების (DCFTA-ის) და მის მიღმა ვალდებულებების განხორციელების 2025 წლის შესრულების ანგარიში

აქტივობა	ინდიკატორი	დადასტურების წყარო	პასუხისმგებელი უწყება	პარტნიორი უწყება	შესრულების ანგარიში
					სოციალური მედიის აქტივობების განვითარება და ა.შ.
მიზანი 3.	ვაჭრობაში ტექნიკური ბარიერების სფეროში საკანონმდებლო და ინსტიტუციური დაახლოება ევროკავშირის შესაბამის კანონმდებლობასა და საუკეთესო პრაქტიკასთან				
ამოცანა 3.1.	კანონმდებლობის დაახლოება ასოცირების შესახებ შეთანხმების III-A დანართის შესაბამისად				
3.1.1. ევროკავშირის 2024 წლის გაფართოების ანგარიშის შესაბამისად სტანდარტების, შესაბამისობის შეფასების, აკრედიტაციის, მეტროლოგიის და ბაზარზე ზედამხედველობის სფეროებში სტრატეგიის შემუშავება საქართველოს კანონმდებლობის ევროკავშირის კანონმდებლობასთან დაახლოების მიზნით	შემუშავებული სტრატეგია	საქართველოს საკანონმდებლო მაცნე matsne.gov.ge	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო		მინისტრის 2025 წლის 17 აპრილის ბრძანებით დამტკიცდა უწყებათაშორისო შესაბამისი სამუშაო ჯგუფი, რომელიც იმუშავებს სტანდარტების, შესაბამისობის შეფასების, აკრედიტაციის, მეტროლოგიის და ბაზარზე ზედამხედველობის სფეროებში ევროკავშირის კანონმდებლობასთან დაახლოების სტრატეგიის დოკუმენტის შემუშავებაზე. მომზადდა სტრატეგიის პირველადი პროექტი რომელზეც მიმდინარეობს შემდგომი მუშაობა.
3.1.2. სამედიცინო მოწყობილობების შესახებ 2017 წლის 5 აპრილის ევროპის პარლამენტის და საბჭოს 2017/745/EU და ინვიტრო დიაგნოსტიკური სამედიცინო	მიღებული საკანონმდებლო აქტი	საქართველოს საკანონმდებლო მაცნე matsne.gov.ge	საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელო	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო	2017/745/EU და 2017/746/EU რეგულაციებთან დაახლოების მიზნით, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ მომზადებულია „სამედიცინო მოწყობილობების შესახებ“ საქართველოს კანონპროექტი.

საქართველოსა და ევროკავშირის შორის ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების (DCFTA-ის) და მის მიღმა ვალდებულებების განხორციელების 2025 წლის შესრულების ანგარიში

აქტივობა	ინდიკატორი	დადასტურების წყარო	პასუხისმგებელი უწყება	პარტნიორი უწყება	შესრულების ანგარიში
მოწყობილობების შესახებ 2017 წლის 5 აპრილის ევროპის პარლამენტის და საბჭოს 2017/746/EU რეგულაციებთან დაახლოება			ბისა და სოციალური დაცვის სამინისტრო		
3.1.3. სტანდარტიზაციის სფეროში ევროკავშირის რეგულაციის (No. 2012/1025) მიზნების შესრულებისათვის კანონქვემდებარე აქტის მიღება	მიღებული საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის ბრძანება	საქართველოს საკანონმდებლო მაცნე www.matsne.gov.ge	სსიპ საქართველოს სტანდარტები სა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტო	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო	ევროკავშირის წევრი ქვეყნების სტანდარტიზაციის ეროვნული ორგანოების გამოცდილების შესწავლის საფუძველზე შემუშავდა და საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2025 წლის 26 ივნისის №1-1/231 ბრძანების საფუძველზე დამტკიცდა „სტანდარტიზაციის საბჭოს შექმნისა და საქმიანობის წესი“. სააგენტოს გენერალური დირექტორის მიმდინარე 2025 5 სექტემბრის №65 განკარგულებით განისაზღვრა სტანდარტიზაციის საბჭოს შემადგენლობა და საბჭოს სამდივნოს წევრები. მიმდინარეობს საბჭოს წევრების შეხვედრის დღის წესრიგის ფორმირებისა და შესაბამისი აქტივობების განხორციელების სამუშაოები.
3.1.4. ბაზარზე ზედამხედველობის მიმართულებით საქართველოს კანონმდებლობის შემდგომი დაახლოება ევროპის პარლამენტის და საბჭოს 2019 წლის 20	პროდუქტის უსაფრთხოე ბისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსში	საქართველოს საკანონმდებლო მაცნე www.matsne.gov.ge	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო	სსიპ ბაზარზე ზედამხედველობის სააგენტო	მომზადდა პროექტი პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსში ცვლილების შეტანის თაობაზე, რომელიც წარდგენილია საქართველოს პარლამენტისთვის და მიმდინარეობს მისი განხილვა.

საქართველოსა და ევროკავშირის შორის ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების (DCFTA-ის) და მის მიღმა ვალდებულებების განხორციელების 2025 წლის შესრულების ანგარიში

აქტივობა	ინდიკატორი	დადასტურების წყარო	პასუხისმგებელი უწყება	პარტნიორი უწყება	შესრულების ანგარიში
იენისის 2019/1020 რეგულაციასთან	შეტანილი ცვლილება				
3.1.5. კანონმდებლობის დაახლოება ელექტრომაგნიტური თავსებადობის შესახებ წევრი ქვეყნების კანონების ჰარმონიზაციის თაობაზე 2014 წლის 26 თებერვლის ევროპის პარლამენტის და საბჭოს 2014/30/EU დირექტივასთან	მიღებული ტექნიკური რეგლამენტი	საქართველოს საკანონმდებლო მაცნე www.matsne.gov.ge	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო	სსიპ ბაზარზე ზედამხედველობის სააგენტო	მომზადდა საქართველოს მთავრობის დადგენილების პროექტი „ტექნიკური რეგლამენტის ელექტრომაგნიტური თავსებადობის შესახებ დამტკიცების თაობაზე“. შესაბამის უწყებებთან კონსულტაციების დასრულების შემდეგ, რეგლამენტის პროექტი დასამტკიცებლად იქნება წარდგენილი საქართველოს მთავრობისთვის.
ამოცანა 3.2.	ტექნიკური რეგულირების, სტანდარტიზაციის, მეტროლოგიის, აკრედიტაციის, შესაბამისობის შეფასებისა და ბაზრის ზედამხედველობის ადმინისტრირებისათვის საჭირო ინსტიტუციური და ინფრასტრუქტურული განვითარება				
3.2.1. პრიორიტეტული მიმართულებებით ეტალონური ლაბორატორიების აღჭურვილობის განახლების პროცესის გაგრძელება გაუმჯობესებული სერვისების მიწოდების მიზნით	შეთავაზებული სერვისების გაზრდილი რაოდენობა და დიაპაზონი	გაცემული დაკალიბრების სერტიფიკატები; სააგენტოს წლიური ანგარიში	სსიპ საქართველოს სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტო		სააგენტოს მეტროლოგიის ინსტიტუტის მექანიკის ეტალონური განყოფილებისათვის შეძენილ იქნა ხელსაწყოები: ერთარხიანი სიგნალების გენერატორი და ცვლადი ძაბვის ვოლტმეტრი, მასის ეტალონური ლაბორატორიისთვის- საწონების ნაკრები, ფიზ - ქიმიური ლაბორატორიისათვის სტანდარტული ნიმუშები და აირები. რადიაციული გაზომვების ეტალონურ განყოფილებას გადმოეცა რენტგენული დანადგარი X80-Ray, რომლის დამონტაჟების სამუშაოები დასრულდა აგვისტოში, 27-31 ოქტომბერს ამავე აპარატზე მომუშავე თანამშრომლებს ჩაუტარდათ სწავლებები, გაიცა შესაბამისი სერტიფიკატები, ნოემბრის თვეში სააგენტომ მიიღო ლიცენზია საქმიანობის განხორციელებისათვის.

საქართველოსა და ევროკავშირის შორის ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების (DCFTA-ის) და მის მიღმა ვალდებულებების განხორციელების 2025 წლის შესრულების ანგარიში

აქტივობა	ინდიკატორი	დადასტურების წყარო	პასუხისმგებელი უწყება	პარტნიორი უწყება	შესრულების ანგარიში
					დასრულდა დასაკალიბრებლად გაგზავნილი ხელსაწყოებისა და ეროვნული ეტალონების დაკალიბრებები განხორციელდა პოლონეთის, ჩეხეთისა და გერმანიის მეტროლოგიის შესაბამისი ორგანიზაციებში.
3.2.2. მეტროლოგიის სფეროში ახალი მიმართულებით სტანდარტული ნიმუშების წარმოების აღიარება ISO 17034:2016 შესაბამისად	სტანდარტული ნიმუშების წარმოების სფეროში აღიარება	ზომისა და წონის საერთაშორისო ბიუროს (BIPM) მონაცემთა ბაზა www.bipm.org	სსიპ საქართველოს სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტო		შემენილია სერტიფიცირებული სტანდარტული ნიმუშები სამუშაოებისა და პროცედურების გასაახლებლად.
3.2.3. საქართველოს სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტოს არსებული სტატუსის გაუმჯობესება/ამაღლება სტანდარტიზაციის ევროპულ ორგანიზაციებში CEN/CENELEC	წარდგენილი განაცხადი, 90%-ზე მეტი ევროპული სტანდარტი უკვე ქართულია	CEN/CENELEC-ის ანგარიში/გადაწყვეტილება	სსიპ საქართველოს სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტო		მიმდინარეობს სტანდარტიზაციის ევროპულ ორგანიზაციებში (CEN/CENELEC) გაწევრიანებისათვის დადგენილი კრიტერიუმების (CEN-CENELEC Guide 22 „Guide on the organizational structure and processes for the assessment of the membership criteria of CEN and CENELEC“ edition 5, 2021-12) შესრულების სამუშაოების ფარგლებში, სააგენტოს სტანდარტების დეპარტამენტში დანერგილი ხარისხის მენეჯმენტის (ენ ისო 9001:2015) სისტემის მოთხოვნების შესაბამისად, აქტიურად ხორციელდება აღნიშნული კრიტერიუმების შესრულების პერიოდული მონიტორინგი -2025 წლის 25 ივლისს, სტანდარტების დეპარტამენტში განხორციელდა შიდა აუდიტი დაიგეგმა შემდგომი ნაბიჯები. მიმდინარეობს 2026 წლის შიდა აუდიტის ასევე ტრენინგ პროგრამის, რისკებისა და შესაძლებლობების რეესტრისა და სხვა განსაზღვრული დოკუმენტების მომზადება.

საქართველოსა და ევროკავშირის შორის ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების (DCFTA-ის) და მის მიღმა ვალდებულებების განხორციელების 2025 წლის შესრულების ანგარიში

აქტივობა	ინდიკატორი	დადასტურების წყარო	პასუხისმგებელი უწყება	პარტნიორი უწყება	შესრულების ანგარიში
					CEN/CENELEC-ის, 2025 წლის მესამე კვარტლის ანგარიშის მიხედვით, ევროპულ სტანდარტებთან საქართველოს სტანდარტების ჰარმონიზაციის მაჩვენებელი 89,77%-ს შეადგენს. ევროკავშირის კანონმდებლობასთან დინამიკური დაახლოების ფარგლებში, მიმდინარე საქართველოს მთავრობის დადგენილებების მიზნების შესრულებისათვის სააგენტოს მიერ გამოქვეყნებული ჰარმონიზებული სტანდარტების სიის გადახედვის პროცედურების ფარგლებში განახლდა 7 ჰარმონიზებული სტანდარტების სია.
3.2.4. ბაზარზე ზედამხედველობის რისკის შეფასების ელექტრონული სისტემის პროექტის შექმნა	შემუშავებული ტექნიკური სპეციფიკაციები	DCFTA განხორციელების ანგარიში www.DCFTA.gov.ge	სსიპ ბაზარზე ზედამხედველობის სააგენტო		ევროკავშირის მიერ დაფინანსებული დამმობილების პროექტის (საქართველოს ბაზარზე ზედამხედველობის სააგენტოს შესაძლებლობების გაძლიერება) ფარგლებში, ბაზარზე ზედამხედველობის რისკის შეფასების ელექტრონული სისტემისთვის მიმდინარეობს საჭირო ტექნიკური სპეციფიკაციების შემუშავება
3.2.5. აკრედიტებული შესაბამისობის შემფასებელი ორგანოების ნოტიფიცირების სისტემის დანერგვის მიზნით სამოქმედო გეგმის შემუშავება	ნოტიფიცირების სისტემის დანერგვისთვის შემუშავებული სამოქმედო გეგმა	აკრედიტაციის ცენტრის წლიური ანგარიში; www.gac.gov.ge	სსიპ აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანო - აკრედიტაციის ცენტრი		ამჟამად მიმდინარეობს მზადება განსაზღვრული აქტივობების განსახორციელებლად შესაბამისი რესურსების მოსამიებლად. პარალელურად, მიმდინარეობს სამუშაოები ევროკავშირის იმ ქვეყნის შესარჩევად, რომლის გამოცდილებაც გამოყენებული იქნება საქართველოში შესაბამისი სისტემის დასამკვიდრებლად. მიმდინარეობს მუშაობა სამუშაო აღწერილობის შემუშავებაზე, რის შემდეგაც დაიქირავებენ შესაბამის ექსპერტს შეტყობინების სისტემის დასამკვიდრებლად რეკომენდაციების მოსამზადებლად. ამ რეკომენდაციების საფუძველზე შემუშავდება სამოქმედო გეგმა.

საქართველოსა და ევროკავშირის შორის ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების (DCFTA-ის) და მის მიღმა ვალდებულებების განხორციელების 2025 წლის შესრულების ანგარიში

აქტივობა	ინდიკატორი	დადასტურების წყარო	პასუხისმგებელი უწყება	პარტნიორი უწყება	შესრულების ანგარიში
					<p>გერმანიის მეტროლოგიის ინსტიტუტის (PTB) პროექტის „ხარისხის სტანდარტებით აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებს შორის ვაჭრობის ზრდის ხელშეწყობა“ ფარგლებში მიმდინარე წლის 3 სექტემბერს გაიმართა მორიგი სამუშაო შეხვედრა ნოტიფიცირების სისტემის ჩამოყალიბებასთან დაკავშირებით გამოცდილების გაზიარების შესახებ მოლდოვის რესპუბლიკის, უკრაინასა და საქართველოს შორის. შეხვედრის ფარგლებში მონაწილე მხარეებმა ერთმანეთს გააცნეს მიღწეული პროგრესი ნოტიფიცირების სისტემების შექმნის სფეროში.</p>
<p>3.2.6. აკრედიტაციის ევროპული ორგანიზაციის (EA) აღიარების შენარჩუნება და აკრედიტაციის ცენტრის სრული ინტეგრირება EA-ს ყოველდღიურ საქმიანობაში</p>	<p>საქართველოში ორგანიზებული EA ვორქშოფებისა და ტექნიკური კომიტეტების რიცხვი</p> <p>EA-ის MAC შეხვედრის ორგანიზება საქართველოში</p>	<p>აკრედიტაციის ცენტრის ვებ გვერდი www.gac.gov.ge</p> <p>EA ვებ გვერდი https://european-accreditation.org/about-ea/who-are-we/</p>	<p>სსიპ აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანო - აკრედიტაციის ცენტრი</p>	<p>საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო</p>	<p>მიმდინარეობს ღონისძიების საორგანიზაციო სამუშაოები. მომზადდა შესაბამისი ვებ-გვერდი მონაწილე პირების რეგისტრაციისათვის და გაიგზავნა MAC-ის წევრ ორგანიზაციებში.</p> <p>მიმდინარე წლის 6 - 8 მაისს, აკრედიტაციის ცენტრმა უმასპინძლა ევროპული აკრედიტაციის ორგანიზაციის (EA) მრავალმხრივი აღიარების შეთანხმების საბჭოს (MAC) რიგით 52-ე შეხვედრას. საბჭოს სხდომაში მონაწილეობა მიიღო ევროკავშირის, ევროპის თავისუფალი ვაჭრობის ასოციაციისა და ევროკავშირის კანდიდატი ქვეყნის სტატუსის მქონე 45 ქვეყნის აკრედიტაციის ორგანიზაციის 60-ზე მეტმა წარმომადგენელმა.</p> <p>საქართველოს აკრედიტაციის ცენტრის გენერალური დირექტორის მოადგილე არჩეულ იქნა EA-ს მრავალმხრივი აღიარების შეთანხმების საბჭოს (MAC) მმართველ ჯგუფში. ჯგუფის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს MAC-ის სხდომებზე განსახილველი საკითხების მომზადება, EA-ს წევრების თანასწორთა</p>

საქართველოსა და ევროკავშირის შორის ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების (DCFTA-ის) და მის მიღმა ვალდებულებების განხორციელების 2025 წლის შესრულების ანგარიში

აქტივობა	ინდიკატორი	დადასტურების წყარო	პასუხისმგებელი უწყება	პარტნიორი უწყება	შესრულების ანგარიში
					<p>შეფასების პროცესებში ჩართულობა. აკრედიტაციის ცენტრის წარმომადგენელი ჯგუფში არჩეულ იქნა 3 წლით.</p> <p>აკრედიტაციის ცენტრის თანამშრომლები, კომპეტენციის შესაბამისად, სრულად ჩართულები იყვნენ EA-ს კომიტეტების მუშაობაში, კერძოდ, 2025 წლის განმავლობაში აკრედიტაციის ცენტრის წარმომადგენლებმა მონაწილეობა მიიღეს შემდეგ კომიტეტებსა და სამუშაო შეხვედრებში:</p> <ul style="list-style-type: none"> • EA-ს ჰორიზონტალური ჰარმონიზაციის კომიტეტი (HHC), რომელიც გაიმართა ბელგიაში, ქალაქ ბრიუსელში 5-6 მარტს; • EA-ს ჰორიზონტალური ჰარმონიზაციის კომიტეტი (HHC), რომელიც გაიმართა ბელგიაში, ქალაქ ბრიუსელში 5-6 მარტს და 10-11 სექტემბერს; • EA-ს არაგეგმიური გენერალური ასამბლეა, რომელიც გაიმართა ბელგიაში, ქალაქ ბრიუსელში 12 სექტემბერს. • EA ინსპექტირების კომიტეტი, რომელიც გაიმართა უნგრეთში, ქალაქ ბუდაპეშტში 18 მარტს; • EA ინსპექტირების კომიტეტი, რომელიც გაიმართა ბელგიაში, ქალაქ ბრიუსელში 18-19 სექტემბერს; • EA სერტიფიკაციის კომიტეტი, რომელიც გაიმართა უნგრეთში, ქალაქ ბუდაპეშტში 19-20 მარტს; • EA სერტიფიკაციის კომიტეტი, რომელიც გაიმართა ბელგიაში, ქალაქ ბრიუსელში 16-17 სექტემბერს; • EA ლაბორატორიული კომიტეტი, რომელიც გაიმართა სლოვაკეთში, ქალაქ ბრატისლავაში 26-27 მარტს;

საქართველოსა და ევროკავშირს შორის ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების (DCFTA-ის) და მის მიღმა ვალდებულებების განხორციელების 2025 წლის შესრულების ანგარიში

აქტივობა	ინდიკატორი	დადასტურების წყარო	პასუხისმგებელი უწყება	პარტნიორი უწყება	შესრულების ანგარიში
					<ul style="list-style-type: none"> • EA ლაბორატორიული კომიტეტი, რომელიც გაიმართა ბელგიაში, ქალაქ ბრიუსელში 24-25 სექტემბერს; • EA გარემოს დაცვის სამუშაო ჯგუფის შეხვედრა, რომელიც გაიმართა ონლაინ 8-9 აპრილს; • EA გენერალური ასამბლეა, რომელიც გაიმართა თურქეთში, მიმდინარე წლის 20-22 მაისს; • EA სერტიფიცირების კომიტეტის სურსათის სამუშაო ჯგუფის შეხვედრა, რომელიც გაიმართა თურქეთის დედაქალაქ ანკარაში 3-4 ივნისს; • EA-ს წევრი ქვეყნების ხარისხის მენეჯერების შეხვედრა გაიმართა მიმდინარე წლის 2 სექტემბერს. შეხვედრა გაიმართა ონლაინ რეჟიმში. შეხვედრა მიზნად ისახავდა გამოცდილების გაზიარებას და ხარისხის მენეჯმენტის საქმიანობასთან დაკავშირებული გამოწვევების და რისკების განხილვას. • EA ჯანდაცვის სამუშაო ჯგუფის შეხვედრა, რომელიც გაიმართა საბერძნეთში, ქალაქ თესალონიკში 3-4 დეკემბერს; • IAF/ILAC-ის ბოლო ყოველწლიური შეკრება, რომელიც გაიმართა ტაილანდში, ქალაქ ბანგკოკში 17-25 ოქტომბერს; • EA-ს 59-ე გენერალური ასამბლეა, რომელიც გაიმართა ავსტრიაში, ქალაქ ვენაში 19-20 ნოემბერს; • 2025 წლის მანძილზე აკრედიტაციის ცენტრის თანამშრომლებმა მონაწილეებმა მიიღეს EA-ს თანასწორთა შეფასების 3 პროცესში.

საქართველოსა და ევროკავშირის შორის ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების (DCFTA-ის) და მის მიღმა ვალდებულებების განხორციელების 2025 წლის შესრულების ანგარიში

აქტივობა	ინდიკატორი	დადასტურების წყარო	პასუხისმგებელი უწყება	პარტნიორი უწყება	შესრულების ანგარიში
ამოცანა 3.3.	დაინტერესებული მხარეების, მათ შორის ეკონომიკური ოპერატორების მომზადებისა და ადაპტაციის ხელშეწყობა დაახლოებული კანონმდებლობის იმპლემენტაციისთვის				
3.3.1. ხარისხის ინფრასტრუქტურის სფეროს ევროკავშირთან დაახლოების შესახებ დაინტერესებული მხარეებისათვის, მათ შორის მცირე და საშუალო მეწარმეებისათვის შეხვედრების/სემინარების ორგანიზება თბილისსა და რეგიონებში	მინიმუმ 5 ჩატარებული შეხვედრა / ჩასატარებელი სემინარები	DCFTA განხორციელების ანგარიში www.DCFTA.gov.ge	სსიპ საქართველოს სტანდარტები სა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტო; სსიპ აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანო - აკრედიტაციის ცენტრი; სსიპ ბაზარზე ზედამხედველობის სააგენტო	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო	2025 წლის 28 თებერვალს ქ. რუსთავში, ხოლო 21 მარტს ქ. გორში PTB-ის პროექტის ფარგლებში, ჩატარდა ცნობადობის ამადლების სემინარი თემაზე: „ხარისხის ინფრასტრუქტურა და მისი როლი ბიზნესის განვითარებაში“, სადაც სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტოს სტანდარტების დეპარტამენტისა და მეტროლოგიის ინსტიტუტის თანამშრომლებმა, სსიპ ბაზარზე ზედამხედველობის სააგენტოსა და აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანო - აკრედიტაციის ცენტრის წარმომადგენლებთან ერთად დაინტერესებულ პირების მიაწოდეს ინფორმაცია შესაბამის სფეროში არსებული მომსახურებების, სიახლეების, სამომავლო გეგმებისა და სხვათა შესახებ. 2025 წლის 20-21 თებერვალს სსიპ საქართველოს სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტოს წარმომადგენლებმა მონაწილეობა მიიღეს UNECE (გაეროს ეკონომიკური კომისია ევროპისთვის) პროექტში „გენდერული ასპექტის ინტეგრირებით, ინკლუზიურობის გაძლიერება ვაჭრობის ხარისხის ინფრასტრუქტურაში“. 2025 წლის თებერვალსა და მარტში განხორციელდა შეხვედრები აკრედიტირებულ ლაბორატორიებთან წნევის, მასის, ტემპერატურისა და ელექტრობის მიმართულებებით, სადაც სააგენტოს მეტროლოგიის ინსტიტუტის წარმომადგენლების მიერ მათთვის გაზიარებული იქნა ინფორმაცია დაკალიბრების საერთაშორისო გაიდლაინების შესახებ.

საქართველოსა და ევროკავშირს შორის ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების (DCFTA-ის) და მის მიღმა ვალდებულებების განხორციელების 2025 წლის შესრულების ანგარიში

აქტივობა	ინდიკატორი	დადასტურების წყარო	პასუხისმგებელი უწყება	პარტნიორი უწყება	შესრულების ანგარიში
					<p>ჯამში ორივე ღონისძიებას დაესწრო 60-მდე ორგანიზაციის წარმომადგენელი.</p> <p>2025 წლის 23 სექტემბერს, აკრედიტაციის ცენტრის ორგანიზებითა და გერმანიის მეტროლოგიის ინსტიტუტის (PTB) მხარდაჭერით გაიმართა სერტიფიკაციის სქემების — ISO 9001, GLOBALG.A.P. და BRCGS — შესახებ ცნობიერების ამაღლების ღონისძიება და პანელური დისკუსია. ღონისძიებამ თავი მოუყარა წამყვან ევროპულ ექსპერტებს, ბიზნესის ასოციაციებს, სხვადასხვა სამინისტროსა და კერძო სექტორის 60-ზე მეტ წარმომადგენელს. მონაწილეებმა მიიღეს დეტალური ინფორმაცია სერტიფიკაციის სქემების მნიშვნელობის შესახებ, რომლებიც ემსახურება პროდუქციის ხარისხისა და უსაფრთხოების გაუმჯობესებას, საერთაშორისო ბაზრებზე წვდომის გაფართოებასა და კონკურენტუნარიანობის ზრდას. ღონისძიებაზე ასევე, განხილულ იქნა ის გამოწვევები, რომლებიც ხელს უშლის საქართველოში სერტიფიკაციის ადგილობრივი ინფრასტრუქტურის განვითარებას.</p> <p>სსიპ - ბაზარზე ზედამხედველობის სააგენტოს ორგანიზებით შესაბამის ეკონომიკურ ოპერატორებთან ჩატარდა საინფორმაციო შეხვედრა "ენერგოეტიკეტირების შესახებ" საქართველოს კანონისა და შესაბამისი ტექნიკური რეგლამენტებით გათვალისწინებული მოთხოვნების გაცნობის მიზნით. აღნიშნული ტექნიკური რეგლამენტები ძალაში შედის 2025 წლის 31 დეკემბრიდან.</p>

საქართველოსა და ევროკავშირის შორის ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების (DCFTA-ის) და მის მიღმა ვალდებულებების განხორციელების 2025 წლის შესრულების ანგარიში

აქტივობა	ინდიკატორი	დადასტურების წყარო	პასუხისმგებელი უწყება	პარტნიორი უწყება	შესრულების ანგარიში
					<p>2025 წლის 16 სექტემბერს საქართველოს სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნულ სააგენტოში (GEOSTM) გაიმართა საინფორმაციო შეხვედრა მშენებლობის სფეროში მომუშავე ორგანიზაციების წარმომადგენლებთან, რომლებმაც მიიღეს ინფორმაცია ევროკოდეხის საქართველოს სტანდარტად რეგისტრაციის პროცესისა და ამ პროცესში არსებული გამოწვევების შესახებ.</p> <p>2025 წლის 24 ოქტომბერს სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნულ სააგენტოში გაიმართა საინფორმაციო შეხვედრა ხარისხი ინფრასტრუქტურის სფეროში მოქმედი კერძო ორგანიზაციებისათვის. მიწოდებულ იქნა ინფორმაცია სააგენტოს სერვისების, ტექნიკური რეგლამენტების „არავტომატური აწონის საშუალებების“ და „გაზომვის საშუალებების“ შესახებ.</p> <p>2025 წლის 29 ოქტომბერს გაიმართა საინფორმაციო შეხვედრა აკრედიტაციის სერტიფიკაციის სქემებით (მათ შორის Global Gap, ისო/იეკ 9001 და სხვა) მოცულ სფეროებში აკრედიტაციით დაინტერესებულ ორგანიზაციებთან. მათ შორის შეხვედრას ესწრებოდნენ ღვინის ეროვნული სააგენტო, ფერმერთა ასოციაცია, ასოციაცია ქართული ღვინო, სსიპ აწარმოე საქართველოში.</p> <p>2025 წლის 25 ნოემბერს გაიმართა საინფორმაციო შეხვედრა ბიობანკების სფეროში აკრედიტაციით დაინტერესებული ორგანიზაციებისთვის. შეხვედრა მოიცავდა ბიობანკების აკრედიტაციის სფეროში</p>

საქართველოსა და ევროკავშირის შორის ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების (DCFTA-ის) და მის მიღმა ვალდებულებების განხორციელების 2025 წლის შესრულების ანგარიში

აქტივობა	ინდიკატორი	დადასტურების წყარო	პასუხისმგებელი უწყება	პარტნიორი უწყება	შესრულების ანგარიში
					<p>ევროკავშირის გამოცდილების გაზიარებას, აკრედიტაციის პროცესს და ISO 20387:2018/2023 სტანდარტის წარდგენას.</p> <p>2025 წლის 28 ნოემბერს გაიმართა საინფორმაციო შეხვედრა აკრედიტებულ პროდუქტის სერტიფიკაციის ორგანოებთან, შეხვედრის მიზანს წარმოადგენდა მათი სერტიფიკაციის სქემების EA 1/22 და IAF MD25 დოკუმენტებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით განსახორციელებელი სამუშაოების დაგეგმვა.</p> <p>მშენებლობისა და პროექტირების სფეროში ევროკავშირის სტანდარტების საქართველოს სტანდარტად მიღების პროცესის შემდგომი ხელშეწყობისათვის დაინტერესებულ მხარეებთან კოორდინაციით, საქართველოს სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნულ სააგენტოს შესაბამისი განკარგულებით (№67, 17 სექტემბერი, 2025) შეიქმნა სტანდარტიზაციის მე-11 კომიტეტი „ევროკოდები“.</p>
<p>3.3.2. აკრედიტებული შესაბამისობის შემფასებელი ორგანოებისთვის ტრენინგების ორგანიზება მათ საქმიანობასთან დაკავშირებული სტანდარტების სფეროში</p>	<p>მინიმუმ 3 შეხვედრა/ტრენინგი</p>	<p>აკრედიტაციის ცენტრის წლიური ანგარიში;</p> <p>www.gac.gov.ge</p>	<p>სსიპ აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანო - აკრედიტაციის ცენტრი</p>	<p>საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო</p>	<p>2025 წლის განმავლობაში, აკრედიტაციის ცენტრის ორგანიზებით დაინტერესებული პირებისთვის ჩატარდა ტრენინგები აკრედიტაციის სტანდარტებთან დაკავშირებულ საკითხებზე, საანგარიშო პერიოდში ტრენინგები ჩატარდა შემდეგი მიმართულებით:</p> <p>1)სსტ ისო 15189:2012/2015 - სამედიცინო ლაბორატორიები - მოთხოვნები ხარისხსა და კომპეტენციის მიმართ - 4 სესია, ჯამში 64 მონაწილე (ოქტომბერი-ნოემბერი);</p> <p>2) სსტ ისო/იეკ 17020 : 2012/2012 - შესაბამისობის შეფასება - მოთხოვნები - 3 სესია, ჯამში 47 მონაწილე (დეკემბერი);</p>

საქართველოსა და ევროკავშირის შორის ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების (DCFTA-ის) და მის მიღმა ვალდებულებების განხორციელების 2025 წლის შესრულების ანგარიში

აქტივობა	ინდიკატორი	დადასტურების წყარო	პასუხისმგებელი უწყება	პარტნიორი უწყება	შესრულების ანგარიში
					3)ისო/იეკ 17025:2017/2018 - ზოგადი მოთხოვნები საგამოცდო და საკალიბრო ლაბორატორიების კომპეტენტურობის მიმართ - 2 სესია, ჯამში 35 მონაწილე (დეკემბერი);
3.3.3. აკრედიტაციის წესების, პროცედურებისა და აკრედიტაციის სისტემის შესახებ აღმასრულებელი, საკანონმდებლო და სასამართლო ორგანოების წარმომადგენლების ცნობიერების ამაღლება	ორგანიზებულ ი ტრენინგების რაოდენობა და ტრენინგებზე დამსწრე აღმასრულებელ საკანონმდებლო და სასამართლო წარმომადგენლების რაოდენობა	აკრედიტაციის ცენტრის წლიური ანგარიში; www.gac.gov.ge	სსიპ აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანო - აკრედიტაციის ცენტრი	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო	აქტივობის განხორციელება დამოკიდებულია ფინანსური რესურსის მოძიებაზე.
ამოცანა 3.4.	შესაბამისი სახელმწიფო ორგანოების შესაძლებლობების გაძლიერება				
3.4.1. ხარისხის ინფრასტრუქტურის სფეროში თანამშრომლების კვალიფიკაციის ამაღლება	მინიმუმ 5 სემინარი/ტრენინგი	DCFTA განხორციელების ანგარიში www.DCFTA.gov.ge	სსიპ საქართველოს სტანდარტები სა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტო; სსიპ აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანო -		ბაზარზე ზედამხედველობა: ევროკავშირის მიერ დაფინანსებული დამმობილების პროექტის (საქართველოს ბაზარზე ზედამხედველობის სააგენტოს შესაძლებლობების გაძლიერება) ფარგლებში, სააგენტოს თანამშრომლებმა მონაწილეობა მიიღეს ძაბვის გარკვეულ ზღვრებში გამოსაყენებელი ელექტრომოწყობილობების თაობაზე ევროპის პარლამენტის და საბჭოს 2014/35/EU დირექტივასთან დაკავშირებულ ტრენინგში. ამასთან, საუკეთესო ევროპული პრაქტიკის გაზიარების მიზნით, პოლონელი და გერმანელი

საქართველოსა და ევროკავშირს შორის ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების (DCFTA-ის) და მის მიღმა ვალდებულებების განხორციელების 2025 წლის შესრულების ანგარიში

აქტივობა	ინდიკატორი	დადასტურების წყარო	პასუხისმგებელი უწყება	პარტნიორი უწყება	შესრულების ანგარიში
			<p>აკრედიტაციის ცენტრი;</p> <p>სსიპ ბაზარზე ზედამხედველობის სააგენტო</p>		<p>ექსპერტების მიერ სააგენტოს თანამშრომლებს ჩაუტარდათ 2 ტრენინგი მომხმარებლებთან, ბიზნესთან და სხვა დაინტერესებულ მხარეებთან კომუნიკაციის თაობაზე.</p> <p>25 თებერვალი, სტანდარტების დეპარტამენტისა და ხარისხის მენეჯმენტის სისტემაში ჩართული პირებისათვის ჩატარდა პრეზენტაცია თემაზე „დოკუმენტირებული ინფორმაცია სსტ ენ ისო 9001:2015 სტანდარტის შესაბამისად“.</p> <p>2025 წლის 25-27 მარტს სააგენტოს სტანდარტების დეპარტამენტისა და მეტროლოგიის ინსტიტუტის თანამშრომლები, აგრეთვე აკრედიტაციის ცენტრის თანამშრომლები იმყოფებოდნენ მოლდოვაში, ქალაქ კიშინიოვში PTB-ის პროექტით „ხარისხის სტანდარტები გაზრდილი ვაჭრობისთვის აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებში“. EaP-ის ქვეყნების რეგიონალური სემინარი ეხებოდა თემას: „მომავალი რეგიონული თანამშრომლობის პოტენციალის შესწავლა“.</p> <p>მეტროლოგია:</p> <p>23 იანვარს სააგენტოს მეტროლოგიის ინსტიტუტის წარმომადგენლებმა მონაწილეობა მიიღეს ონლაინ ვებინარში „ამაჩქარებლის ნეიტრონული წყაროს და დოზიმეტრიის ამჟამინდელი მდგომარეობა ბორის ნეიტრონის დაჭერის თერაპიისთვის“</p> <p>24 იანვარს, 10 თებერვალს, 28 აპრილს, 8 მაისს ჩატარდა სემინარები CABUREK Talk თემაზე და Digitalisation – opportunities and challenges”</p>

საქართველოსა და ევროკავშირის შორის ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების (DCFTA-ის) და მის მიღმა ვალდებულებების განხორციელების 2025 წლის შესრულების ანგარიში

აქტივობა	ინდიკატორი	დადასტურების წყარო	პასუხისმგებელი უწყება	პარტნიორი უწყება	შესრულების ანგარიში
					<p>27-31 იანვარს PTB მიერ დაფინანსებული პროექტის ფარგლებში განხორციელდა გერმანელი ექსპერტის ვიზიტი და ჩატარდა სწავლება სიმძლავრისა და ენერჯის სახელმწიფო ეტალონის გაზომვების ავტომატიზაციის თაობაზე ZERA-ს შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფის გამოყენებით.</p> <p>2025 წლის 6 თებერვალს ჩატარდა სწავლება KCDB 2.0 თემაზე პლატფორმის გამოყენება საერთაშორისო შედარებებისთვის - ონლაინ ტექნიკური გაცვლა.</p> <p>10– 13 თებერვალს მეტროლოგიის ინსტიტუტის წარმომადგენელმა მონაწილეობა მიიღო ონლაინ სწავლებაში „განვითარებადი საჭიროებები მეტროლოგიაში. მეტროლოგია სურსათისა და სურსათის უვნებლობისთვის“</p> <p>სააგენტოს მეტროლოგიის ინსტიტუტის წარმომადგენლებმა და აკრედიტაციის ცენტრის თანამშრომლებმა მონაწილეობა მიიღეს 24-28 თებერვალს გამართულ სწავლებაში - „Proficiency Testing in Georgia – Introduction to EN ISO/IEC 17043:2023“</p> <p>19 მარტს PTB/UNIDO ორგანიზებით ჩატარდა ონლაინ სწავლება „Building legal frameworks for a future-proof Quality Infrastructure“.</p> <p>2025 წლის 21 მარტს საქართველოს აკრედიტაციის ცენტრში მოწვეული ექსპერტებისათვის ჩატარდა შეხვედრა თემაზე აკრედიტაციის წესები და პროცედურები, სადაც მონაწილეობას ღებულობდა</p>

საქართველოსა და ევროკავშირს შორის ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების (DCFTA-ის) და მის მიღმა ვალდებულებების განხორციელების 2025 წლის შესრულების ანგარიში

აქტივობა	ინდიკატორი	დადასტურების წყარო	პასუხისმგებელი უწყება	პარტნიორი უწყება	შესრულების ანგარიში
					<p>სააგენტოს მეტროლოგიის ინსტიტუტის წარმომადგენელი.</p> <p>2025 წლის 8-10 აპრილს სააგენტოს მეტროლოგიის ინსტიტუტის წარმომადგენლებმა მონაწილეობა მიიღეს სარაევოში გამართულ „EURAMET-ის ტექნიკური კომიტეტის სამუშაო TC-T (ტემპერატურა) შეხვედრაში.</p> <p>გერმანიის რესპუბლიკის მეტროლოგიის სააგენტოსთან (PTB) თანამშრომლობის ფარგლებში მიმდინარე წლის 15 აპრილს ჩატარდა ონლაინ სემინარი სათბური ეფექტის გამომწვევი გაზების გაფრქვევის ვალიდაცია ვერიფიკაციის სქემის შესახებ.</p> <p>2025 წლის 28 აპრილს ჩატარდა CABUREK-M4DT სამუშაო შეხვედრა რომელშიც მონაწილეობა მიიღო მეტროლოგიის ინსტიტუტის წარმომადგენელმა.</p> <p>7 მაისს გაიმართა ონლაინ ტრენინგი PTB – ის ექსპერტის ხელმძღვანელობით Establishment of PT providers in Georgia.</p> <p>2025 წლის 14 მაისს ონლაინ რეჟიმში ჩატარდა შეხვედრა „PTB EaP working group on customer surveys within the framework of our BMZ funded project “Quality Standards for Increased Trade in the Eastern Partnership Countries “, რომელშიც მონაწილეობას ღებულობდა მეტროლოგიის ინსტიტუტის წარმომადგენელი.</p>

საქართველოსა და ევროკავშირის შორის ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების (DCFTA-ის) და მის მიღმა ვალდებულებების განხორციელების 2025 წლის შესრულების ანგარიში

აქტივობა	ინდიკატორი	დადასტურების წყარო	პასუხისმგებელი უწყება	პარტნიორი უწყება	შესრულების ანგარიში
					<p>სააგენტოს მეტროლოგიის ინსტიტუტის წარმომადგენელმა მონაწილეობა მიიღო 24 მაისს გამართულ ვებინარში - " Updates on X-ray imaging Dosimetry Practices “ (რენტგენის გამოსახულების დოზიმეტრიის პრაქტიკის განახლებები)</p> <p>2025 წლის 28 მაისს ონლაინ რეჟიმში ჩატარდა ტრენინგების ტრენინგი ToT, ISO/IEC 17043: 2023 მიხედვით. PTB- ის ექსპერტის მიერ რომელშიც მონაწილეობა მიიღეს მეტროლოგიის ინსტიტუტის წარმომადგენლებმა.</p> <p>27 -30 მაისს PTB Project “Quality infrastructure for value creation, productivity and innovation in the private sector” ფარგლებში სააგენტოში მეტროლოგიის ინსტიტუტის წარმომადგენლებისათვის ჩატარდა სემინარები PTB- ის ექსპერტის მიერ შიდა აუდიტთან და ლაბორატორიულ შედარებებთან დაკავშირებით.</p> <p>2025 წლის 3-6 ივნისს სააგენტოს წარმომადგენელმა მონაწილეობა მიიღო ქ. ბერლინში გამართულ EURAMET-ის გენერალურ ასამბლეაზე. აღნიშნული ასამბლეს მორიგი შეხვედრა 2026 წელს გაიმართება საქართველოში.</p> <p>2025 წლის 3-6 ივნისს ქ.ლისაბონი ჩატარდა ევრამეტის „ელექტრობა და მაგნეტიზმი“-ის ტექნიკური კომიტეტის EURAMET TC-EM სამი ქვეკომიტეტის და ევროპული მეტროლოგიის ქსელის ჰედიანგი ელექტრული ქსელების EMN-SEG გაერთიანებული შეხვედრები, დაიგეგმა ლაბორატორიული შედარებები სხვადასხვა მიმართულებით,</p>

საქართველოსა და ევროკავშირის შორის ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების (DCFTA-ის) და მის მიღმა ვალდებულებების განხორციელების 2025 წლის შესრულების ანგარიში

აქტივობა	ინდიკატორი	დადასტურების წყარო	პასუხისმგებელი უწყება	პარტნიორი უწყება	შესრულების ანგარიში
					<p>მონაწილეობას ღებულობდა მეტროლოგიის ინსტიტუტის წარმომადგენელი.</p> <p>26-27 ივნისს მეტროლოგიის ინსტიტუტის წარმომადგენელმა მონაწილეობა მიიღო BIPM ფარგლებში გამართულ შეხვედრას - „ევრამეტის პროექტების განხილვა წნევის სფეროში.“</p> <p>2025 წლის აგვისტოში მეტროლოგიის ინსტიტუტის ფიზიკურ-ქიმიური ეტალონური განყოფილება ჩაერთო შედარებაში EURAMET-ის ფარგლებში „მინის მოცულობითი კოლბის კალიბრაცია 500 მლ და 5000 მლ“.</p> <p>მეტროლოგიის ინსტიტუტის წარმომადგენლებმა 2025 წლის 23 სექტემბერს მონაწილეობა მიიღეს ცნობადობის ამადლების ღონისძიებაში თემაზე „სერთიფიკაციის სქემები BRCGS GLOBAL G.A.P. და ISO 9001“</p> <p>2025 წლის 30 სექტემბერს მეტროლოგიის ინსტიტუტის წარმომადგენლებმა მონაწილეობა მიიღეს EUROLAB – UNIDO ვებინარში თემაზე Rethinking Sustainability Ensuring the long term viability of laboratories.</p> <p>2025 წლის 15-16 ოქტომბერს ქ. ბოროსში ჩატარდა EURAMET - ის ტექნიკური კომიტეტის „ელექტრობა და მაგნეტიზმი“ შეხვედრა, მონაწილეობას მიიღო მეტროლოგიის ინსტიტუტის წარმომადგენელმა.</p>

საქართველოსა და ევროკავშირის შორის ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების (DCFTA-ის) და მის მიღმა ვალდებულებების განხორციელების 2025 წლის შესრულების ანგარიში

აქტივობა	ინდიკატორი	დადასტურების წყარო	პასუხისმგებელი უწყება	პარტნიორი უწყება	შესრულების ანგარიში
					<p>2025 წლის 3 – 7 ნოემბერს მეტროლოგიის ინსტიტუტის წარმომადგენლებისათვის PTB - ექსპერტების ჩართულობით გაიმართა თეორიული და პრაქტიკული სწავლება, ISO/IEC 17025:2017 სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისი შიდა აუდიტის პროცედურების გაძლიერების და პროფესიული კომპეტენციის განვითარების თაობაზე.</p> <p>2025 წლის 17-20 ნოემბერს ქ. ბანგკოკში გაიმართა CABUREK-ის მე-5 სამუშაო შეხვედრა, რომელშიც მონაწილეობას ღებულობდა მეტროლოგიის ინსტიტუტის წარმომადგენელი.</p> <p>2025 წლის, 7 ნოემბერსა და 30 ოქტომბერს სტანდარტების დეპარტამენტის თანამშრომლებმა მონაწილეობა მიიღეს IEC-სა და „CEN/CENELEC“-ის მიერ ორგანიზებულ ონლაინ ვორქშოპებში „საერთაშორისო თანამშრომლობა და ხელოვნური ინტელექტის (AI) სტანდარტები“; “შესაბამისობის შეფასების ორგანოებისთვის – დაინტერესებულ მხარეების ჩართულობა“.</p> <p>სტანდარტიზაცია: 2025 წლის, 30 მაისს წარმატებით დასრულდა სტანდარტების დეპარტამენტში ენ ისო 9001:2015 - ის შესაბამისად დანერგილი ხარისხის მენეჯმენტის სისტემის პირველი გარე საკონტროლო აუდიტი.</p> <p>გერმანიის რესპუბლიკის მეტროლოგიის სააგენტოსთან (PTB) თანამშრომლობის ფარგლებში მიმდინარე წლის 15 აპრილს ჩატარდა ონლაინ სემინარი სათბური ეფექტის გამომწვევი გაზების</p>

საქართველოსა და ევროკავშირს შორის ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების (DCFTA-ის) და მის მიღმა ვალდებულებების განხორციელების 2025 წლის შესრულების ანგარიში

აქტივობა	ინდიკატორი	დადასტურების წყარო	პასუხისმგებელი უწყება	პარტნიორი უწყება	შესრულების ანგარიში
					<p>გაფრქვევის ვალიდაცია ვერიფიკაციის სქემის შესახებ.</p> <p>2025 წლის 17 ივნისს სტანდარტების დეპარტამენტის თანამშრომლებმა მონაწილეობა მიიღეს PTB - ის მიერ ორგანიზებულ ონლაინ შეხვედრაში, სადაც EAP-ის (აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნები) წარმომადგენლებთან ერთად შეთანხმდნენ იმ ძირითადი მიმართულებებისა და საკითხებზე, რომელზეც საუბარი იქნება 2025 წლის სექტემბერში დაგეგმილ „სტანდარტიზაციის ფორუმზე“.</p> <p>მიმდინარე წლის 24 ივნისს სტანდარტების რეესტრების წარმოების სამსახურის წარმომადგენელმა მონაწილეობა მიიღო საერთაშორისო ელექტროტექნიკური კომისიის (IEC) - ის მიერ ორგანიზებულ ონლაინ შეხვედრას თემაზე: „იეკ -ის წევრობის უპირატესობა და მისი როლი ხარისხის ინფრასტრუქტურის განვითარების პროცესში“. ხოლო, ეროვნული საინფორმაციო ცენტრის თანამშრომლებმა ონლაინ რეჟიმში მონაწილეობა მიიღეს მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის (WTO) მიერ ორგანიზებულ მე-11 სამუშაო შეხვედრაში “მე-11 სპეციალური შეხვედრა ინფორმაციის გაცვლის პროცედურების შესახებ..</p> <p>26-27 ივნისს, 2025 სააგენტოს წარმომადგენლებმა მონაწილეობა მიიღეს სტანდარტიზაციის ევროპული ორგანიზაციების გენერალურ ასამბლეაში, ასევე ასამბლეის ფარგლებში ორგანიზებულ „CEN/CENELEC-ის აფილირებული წევრების“</p>

საქართველოსა და ევროკავშირის შორის ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების (DCFTA-ის) და მის მიღმა ვალდებულებების განხორციელების 2025 წლის შესრულების ანგარიში

აქტივობა	ინდიკატორი	დადასტურების წყარო	პასუხისმგებელი უწყება	პარტნიორი უწყება	შესრულების ანგარიში
					<p>სამუშაო შეხვედრაზე, რომელიც გაიმართა ლუქსემბურგში.</p> <p>2025 წლის 24 ივნისს მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის ეროვნული საინფორმაციო ცენტრის თანამშრომლებმა ონლაინ რეჟიმში მონაწილეობა მიიღეს მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის (WTO) მიერ ორგანიზებულ მე-11 სამუშაო შეხვედრაში “მე-11 სპეციალური შეხვედრა ინფორმაციის გაცვლის პროცედურების შესახებ.</p> <p>2025 წლის 2 სექტემბერს PTB- ის ორგანიზებით მოეწყო „სტანდარტიზაციის ფორუმი“, რომელსაც ესწრებოდნენ სტანდარტების დეპარტამენტის თანამშრომლები, აღნიშნული შეხვედრის ფარგლებში აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნების (EAP) სტანდარტიზაციის ეროვნული ორგანოების წარმომადგენლებმა პრეზენტაციის სახით მიმოიხილეს მათთან დამკვიდრებული პრაქტიკა სტანდარტიზაციის საბჭოს შექმნის, ფორმირების, ფუნქციონირების და გადაწყვეტილების მიღების საკითხებზე, ასევე შეხვედრაზე თავიანთი გამოცდილება მონაწილეებს გააზიარეს პოლონეთისა და რუმინეთის სტანდარტიზაციის ეროვნული ორგანოს წარმომადგენლებმა და სტანდარტიზაციის საერთაშორისო ორგანიზაციის (ISO) ექსპერტმა.</p> <p>აკრედიტაცია: საანგარიშო პერიოდში აკრედიტაციის ცენტრის თანამშრომლებმა კვალიფიკაციის ასამაღლებლად ორ ღონისძიებაში მიიღეს მონაწილეობა. პირველი ღონისძიება თბილისში ჩატარდა და მოიცავდა</p>

საქართველოსა და ევროკავშირის შორის ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების (DCFTA-ის) და მის მიღმა ვალდებულებების განხორციელების 2025 წლის შესრულების ანგარიში

აქტივობა	ინდიკატორი	დადასტურების წყარო	პასუხისმგებელი უწყება	პარტნიორი უწყება	შესრულების ანგარიში
					<p>კვალიფიკაციის ტესტირების პროვაიდერების აკრედიტაციასთან დაკავშირებულ თემებს. პროექტის ფარგლებში დაგეგმილია კვალიფიკაციის ტესტირების განმახორციელებელი ორგანიზაციების როლის შესახებ საინფორმაციო სახელმძღვანელოს შემუშავება. მომზადებული სახელმძღვანელო ყველა აკრედიტებულ ორგანიზაციას მიაწვდის ინფორმაციას, თუ როგორ და რატომ უნდა გამოიყენონ კვალიფიკაციის ტესტირების სერვისები. მეორე ღონისძიების ფარგლებში აკრედიტაციის ცენტრის თანამშრომლები მოლდოვას რესპუბლიკაში იმყოფებოდნენ, სადაც ევროკავშირის აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნების წარმომადგენლებთან ერთად მონაწილეობა მიიღეს მომდევნო წლებში აკრედიტაციის სისტემების პრიორიტეტული მიმართულებების განსაზღვრასთან დაკავშირებულ დისკუსიებში.</p> <p>ორივე ღონისძიება დაფინანსდა გერმანიის ფედერალური მეტროლოგიის ინსტიტუტის მიერ.</p> <p>2025 წლის 1-3 ივლისს გერმანიის ფედერაციის მეტროლოგიის სააგენტოს (PTB) მხარდაჭერით სსიპ აკრედიტაციის ერთიან ეროვნულ ორგანო - აკრედიტაციის ცენტრში გაიმართა ტრენინგი თემაზე: სათბურის აირების ვალიდაციისა და ვერიფიკაციის სფეროში აკრედიტაციის მექანიზმის გამოყენების შესახებ საერთაშორისო სტანდარტების ISO/IEC 17029, ISO 14065 მოთხოვნების შესაბამისად. ტრენინგს უძღვებოდა მოწვეული ექსპერტი - საბერძნეთის აკრედიტაციის ორგანიზაციიდან - ანდრიაანა ლეკაკუ. ტრენინგში მონაწილეობა მიიღეს, როგორც</p>

საქართველოსა და ევროკავშირის შორის ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების (DCFTA-ის) და მის მიღმა ვალდებულებების განხორციელების 2025 წლის შესრულების ანგარიში

აქტივობა	ინდიკატორი	დადასტურების წყარო	პასუხისმგებელი უწყება	პარტნიორი უწყება	შესრულების ანგარიში
					<p>აკრედიტაციის ცენტრის თანამშრომლებმა, ასევე საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს თანამშრომლებმა და სხვა მოწვეულმა ექსპერტებმა.</p> <p>2025 წლის 22-25 სექტემბერს აკრედიტაციის ცენტრში აკრედიტაციის ცენტრის თანამშრომლებისთვის გაიმართა საკონსულტაციო შეხვედრები სერტიფიკაციის მიმართულებით. აღნიშნული კონსულტაციები აკრედიტაციის ცენტრის თანამშრომლებმა გაიარეს გაუწიეს მოწვეულმა ექსპერტებმა დიდი ბრიტანეთიდან და პორტუგალიიდან აკრედიტაციის ორგანოებიდან.</p> <p>EA-ს ორგანიზებით, აკრედიტაციის ცენტრის თანამშრომლებისთვის 2025 წლის 9 და 30 ოქტომბერს გაიმართა Online-Workshop თემაზე: „AI and its use by NABs“.</p> <p>5-6 ნოემბერს EA-ს ორგანიზებით გაიმართა EA-MAC refresh training შემფასებლებისთვის. აღნიშნულ ტრენინგს დაესწრო აკრედიტაციის ცენტრის 1 თანამშრომელი, რომელიც ჩართულია EA-ს მიერ მისი წევრების შეფასებებში.</p> <p>2025 წლის 14 ნოემბერს, გაიმართა ყოველწლიური გამოცდილების გაზიარების შეხვედრა. შეხვედრას ესწრებოდნენ აკრედიტაციის ცენტრის წამყვანი შემფასებლები, ტექნიკური შემფასებლები და ექსპერტები, აკრედიტაციის ცენტრის მენეჯმენტის</p>

საქართველოსა და ევროკავშირის შორის ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების (DCFTA-ის) და მის მიღმა ვალდებულებების განხორციელების 2025 წლის შესრულების ანგარიში

აქტივობა	ინდიკატორი	დადასტურების წყარო	პასუხისმგებელი უწყება	პარტნიორი უწყება	შესრულების ანგარიში
					<p>წარმომადგენლები. შეხვედრაზე წარმოდგენილი და განხილული იყო საგამოცდო, საკალიბრო, სამედიცინო, ინსპექტირებისა და სერტიფიკაციის სფეროებთან დაკავშირებული საკითხები.</p> <p>2025 წლის 1-3, 15, 18 დეკემბერს, გაიმართა სათბურის აირების ვალიდაციისა და ვერიფიკაციის სფეროში აკრედიტაციის მექანიზმის გამოყენების შესახებ დამატებითი სამუშაო შეხვედრები/ტრენინგები, რომელსაც გერმანიის ფედერაციის მეტროლოგიის სააგენტოს (PTB) მხარდაჭერით უძღვებოდა მოწვეული ექსპერტი - საბერძნეთის აკრედიტაციის ორგანიზაციიდან - ანდრიანა ლეკაკუ.</p>
ამოცანა 3.5.	DCFTA-ის ვალდებულებების შესაბამისად ბაზარზე ზედამხედველობის აღსრულება				
3.5.1. სსიპ ბაზარზე ზედამხედველობის სააგენტოს მიერ საზედამხედველო სფეროებში ბაზარზე ზედამხედველობის განხორციელება რისკის ანალიზის საფუძველზე	ადგილობრივი ბაზარზე განთავსებული არანაკლებ 900 შემოწმებული პროდუქტი	DCFTA განხორციელების ანგარიში www.DCFTA.gov.ge	სსიპ ბაზარზე ზედამხედველობის სააგენტო		<ul style="list-style-type: none"> • ადგილობრივ ბაზარზე შემოწმდა ბაზარზე განთავსებული 69 აირად საწვავზე მომუშავე მოწყობილობა; • ადგილობრივ ბაზარზე შემოწმდა ბაზარზე განთავსებული 54 ელექტრომოწყობილობა; • ადგილობრივ ბაზარზე შემოწმდა ბაზარზე განთავსებული 6 სანთებელა; • ადგილობრივ ბაზარზე შემოწმდა ბაზარზე განთავსებული 5 საქვაბე დანადგარი (თხევად ან აირად საწვავზე მომუშავე წყლის ახალი გამაცხელებლების ეფექტურობის მოთხოვნების ტექნიკური რეგლამენტის ქვეშ); • ადგილობრივ ბაზარზე შემოწმდა ბაზარზე განთავსებული 10 რადიო მოწყობილობა;

საქართველოსა და ევროკავშირს შორის ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების (DCFTA-ის) და მის მიღმა ვალდებულებების განხორციელების 2025 წლის შესრულების ანგარიში

აქტივობა	ინდიკატორი	დადასტურების წყარო	პასუხისმგებელი უწყება	პარტნიორი უწყება	შესრულების ანგარიში
					<ul style="list-style-type: none"> • ადგილობრივ ბაზარზე შემოწმდა ბაზარზე განთავსებული 344 სამშენებლო პროდუქტი; • ადგილობრივ ბაზარზე შემოწმდა ბაზარზე განთავსებული 23 ინდივიდუალური დაცვის საშუალება; • ადგილობრივ ბაზარზე შემოწმდა ბაზარზე განთავსებული 2 წნევის ქვეშ მომუშავე მოწყობილობა; • ადგილობრივ ბაზარზე შემოწმდა ბაზარზე განთავსებული 5 ლაქ-საღებავი; • აღებულ იქნა 149 სამშენებლო პროდუქტის ნიმუში და გადაგზავნილ იქნა შესაბამის აკრედიტირებულ ლაბორატორიაში; • აღებულ იქნა 12 ინდივიდუალური დაცვის საშუალების ნიმუში და გადაგზავნილ იქნა შესაბამის აკრედიტირებულ ლაბორატორიაში • აღებულ იქნა 5 ლაქ-საღებავის ნიმუში და გადაგზავნილ იქნა შესაბამის აკრედიტირებულ ლაბორატორიაში • აღებულ იქნა 185 სათამაშოს ნიმუში და გადაგზავნილ იქნა შესაბამის აკრედიტირებულ ლაბორატორიაში; • აღებულ იქნა 30 ელექტრომოწყობილობის ნიმუში და გაგზავნილ იქნა შესაბამის აკრედიტირებულ ლაბორატორიაში; • განხილული იქნა 5194 სამშენებლო პროდუქტის იმპორტის წინასწარი შეტყობინება; • განხილული იქნა 3739 მანქანა დანადგარების იმპორტის წინასწარი შეტყობინება; • განხილული იქნა 1113 ინდივიდუალური დაცვის პროდუქტის იმპორტის წინასწარი შეტყობინება;

საქართველოსა და ევროკავშირის შორის ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების (DCFTA-ის) და მის მიღმა ვალდებულებების განხორციელების 2025 წლის შესრულების ანგარიში

აქტივობა	ინდიკატორი	დადასტურების წყარო	პასუხისმგებელი უწყება	პარტნიორი უწყება	შესრულების ანგარიში
					<ul style="list-style-type: none"> • 4811 სათამაშოს იმპორტის წინასწარი შეტყობინება; • 2915 აირად საწვავზე მომუშავე მოწყობილობის იმპორტის წინასწარი შეტყობინება. • სახდელის დაკისრების თაობაზე გამოიცა 129 დადგენილება; • შემზღვეველი ღონისძიების გამოყენების თაობაზე გამოიცა 96 დადგენილება;
3.5.2. სსიპ ბაზარზე ზედამხედველობის სააგენტოს მიერ ახლად დაახლოებულ სფეროებში ინსპექტირებების განხორციელება და შესაბამისი რეკომენდაციების გაცემა.	განხორციელებული შემოწმებების (დოკუმენტური და ტექნიკური) რაოდენობა	DCFTA განხორციელების ანგარიში www.DCFTA.gov.ge	სსიპ ბაზარზე ზედამხედველობის სააგენტო		ვინაიდან აღნიშნული აქტივობის განხორციელება დამოკიდებულია საზედამხედველო არეალის გაფართოებასთან, რეკომენდაციები გაიცემა 2026 წლის განმავლობაში ახალი პროდუქტების დამატების შემდგომ.
მიზანი 4.	სანიტარულ და ფიტოსანიტარულ ზომებს დაქვემდებარებული პროდუქციით ვაჭრობის ხელშეწყობა და ადამიანების, ცხოველთა და მცენარეთა სიცოცხლის ან ჯანმრთელობის დაცვა				
ამოცანა 4.1.	სანიტარული და ფიტოსანიტარული, ცხოველთა კეთილდღეობისა და სხვა საკანონმდებლო ღონისძიებების გაუმჯობესება				
4.1.1 საქართველოს კანონმდებლობის დაახლოება ევროკავშირის შესაბამის ნორმატიულ აქტებთან ასოცირების შესახებ შეთანხმების XI-B დანართის შესაბამისად	ასოცირების შესახებ შეთანხმების XI-B დანართში მითითებულ ევროკავშირის 16	DCFTA-ს განხორციელების სამოქმედო გეგმის შესრულების წლიური ანგარიში; www.DCFTA.gov.ge	საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო	სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტო	1. რეგულაცია (EU) 2020/1740 (2020 წლის 20 ნოემბრის კომისიის (EU) 2020/1740 რეგულაცია, რომელიც ადგენს აქტიური ნივთიერებების განახლების პროცედურისთვის აუცილებელ დებულებებს, ევროპარლამენტისა და საბჭოს (EC) №1107/2009 რეგულაციის შესაბამისად და აუქმებს კომისიის (EU) №844/2012 რეგულაციას)- ის საფუძველზე, ახალი პროექტის შემუშავება აღარ

საქართველოსა და ევროკავშირის შორის ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების (DCFTA-ის) და მის მიღმა ვალდებულებების განხორციელების 2025 წლის შესრულების ანგარიში

აქტივობა	ინდიკატორი	დადასტურების წყარო	პასუხისმგებელი უწყება	პარტნიორი უწყება	შესრულების ანგარიში
	საკანონმდებლო აქტთან დაახლოებულობა საქართველოს კანონმდებლობა	საქართველოს საკანონმდებლო მაცნე matsne.gov.ge			<p>გახდა საჭირო, ვინაიდან აღნიშნული რეგულაციის მოთხოვნები უკვე ასახულია ჩვენს კანონმდებლობაში (საქართველოს მთავრობის 2020 წლის 13 იანვრის N22 დადგენილება „ტექნიკური რეგლამენტის - საქართველოში პესტიციდებისა და აგროქიმიკატების სარეგისტრაციო გამოცდების, ექსპერტიზისა და რეგისტრაციის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის N443 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე) და შესაბამისობაშია ევროკავშირის მოთხოვნებთან; 2025 წლის სხვა პროექტებზე პარალელურად მიმდინარეობს მუშაობა.</p> <p>2. 2003/91/EC დირექტივის (2003 წლის 6 ოქტომბრის კომისიის 2003/91/EC დირექტივა, რომელიც ადგენს განმახორციელებელ ღონისძიებებს საბჭოს 2002/55/EC დირექტივის მე-7 მუხლის მიზნებისთვის იმ მინიმალურ მახასიათებლებთან დაკავშირებით, რომელთა დაკმაყოფილებაც უნდა მოხდეს შემოწმების შედეგად, და იმ მინიმალურ პირობებთან დაკავშირებით, რომელთა შესრულებაც უნდა მოხდეს ბოსტნეულის ჯიშების გარკვეულ ნაირსახეობათა შემოწმებისთვის.) საფუძველზე მიღებულ იქნა საქართველოს მთავრობის 2022 წლის 23 დეკემბრის N587 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე საქართველოს მთავრობის 2025 წლის 6 ოქტომბრის დადგენილება N441 „ცხოველის ან/და მცენარის ახალი ჯიშის განსხვავებულობაზე, ერთგვაროვნებასა და სტაბილურობაზე გამოცდის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“;</p>

საქართველოსა და ევროკავშირს შორის ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების (DCFTA-ის) და მის მიღმა ვალდებულებების განხორციელების 2025 წლის შესრულების ანგარიში

აქტივობა	ინდიკატორი	დადასტურების წყარო	პასუხისმგებელი უწყება	პარტნიორი უწყება	შესრულების ანგარიში
					<p>3. 2006 წლის 19 დეკემბრის კომისიის (EC) №1881/2006 რეგულაციის მიხედვით მომზადდა საქართველოს მთავრობის 2015 წლის 9 ნოემბრის №567 დადგენილება. აღნიშნული რეგულაცია გაუქმდა ევროკომისიის მიერ, 2023 წლის 25 აპრილის (EU) 2023/915 რეგულაციით, რომლის შესაბამისად 2025 წლის 25 აპრილს საქართველოს მთავრობის მიერ დამტკიცდა №127 დადგენილება „სურსათში ზოგიერთი დამაბინძურებლის (კონტამინანტის) მაქსიმალური დონის შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“;</p> <p>4. კომისიის 2017 წლის 5 აპრილის (EU) 2017/644 რეგულაციის 2013 წლის 3 დეკემბრის 2013/711/EU და 2006 წლის 16 ნოემბრის 2006/794/EC რეკომენდაციების საფუძველზე 2025 წლის 30 მაისს საქართველოს მთავრობის მიერ დამტკიცდა 5 მაისის №191 დადგენილება „ტექნიკური რეგლამენტი – ზოგიერთ სურსათში დიოქსინების, დიოქსინის მსგავსი პოლიქლორირებული ბიფენილებისა და არადიოქსინის მსგავსი პოლიქლორირებული ბიფენილების დონის კონტროლისთვის ნიმუშების აღებისა და ანალიზის მეთოდების დამტკიცების თაობაზე“;</p> <p>5. 2013 წლის 3 აპრილის კომისიის (EU) №503/2013 რეგულაციის შესაბამისად დამტკიცდა საქართველოს მთავრობის 2018 წლის 16 ნოემბრის №549 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე 2025 წლის 16 დეკემბრის საქართველოს მთავრობის დადგენილება N545;</p>

საქართველოსა და ევროკავშირის შორის ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების (DCFTA-ის) და მის მიღმა ვალდებულებების განხორციელების 2025 წლის შესრულების ანგარიში

აქტივობა	ინდიკატორი	დადასტურების წყარო	პასუხისმგებელი უწყება	პარტნიორი უწყება	შესრულების ანგარიში
					<p>6. 2012/697/EU განმახორციელებელი გადაწყვეტილება (2012 წლის 8 ნოემბრის კომისიის 2012/697/EU განმახორციელებელი გადაწყვეტილება Pomacea ჯიშის (პერის) ლოკოკინების ევროკავშირში შემოტანისა და გავრცელების აღკვეთის მიზნით გასატარებელ ღონისძიებებთან დაკავშირებით) გაუქმდა და ჩაანაცვლა რეგულაციამ ევროკავშირის ტერიტორიაზე პომაცეას (პერი) გავრცელების თავიდან აცილებისა და აღმოფხვრის ზომების შესახებ კომისიის 2024 წლის 23 ივლისის 2024/2013 განმახორციელებელი რეგულაცია და 2012/697/EU განმახორციელებელი გადაწყვეტილების გაუქმების შესახებ, რომლის საფუძველზე მომზადდა საქართველოს მთავრობის დადგენილების პროექტი „Pomacea-ის გვარის ლოკოკინას ქვეყანაში შეყვანისა და გავრცელების თავიდან აცილებისათვის შემზღუდავი ღონისძიებების გატარების თაობაზე“. შეთანხმდა ყველა უწყებასთან, პროექტი ატვირთულია მთავრობის პლატფორმაზე.</p> <p>7. კომისიის დამნერგავი დირექტივების 2014/20 (2014 წლის 6 თებერვლის კომისიის განმახორციელებელი 2014/20/EU დირექტივა, რომელიც ევროკავშირისთვის ადგენს საბაზისო და სერტიფიცირებული კარტოფილის თესლის ხარისხებს და პირობებს და დანიშნულებას, რომელიც ვრცელდება ამ ხარისხებზე.) და 2024/21-ის (2014 წლის 6 თებერვლის კომისიის განმახორციელებელი 2014/21/EU დირექტივა, რომელიც განსაზღვრავს მინიმალურ პირობებს და ხარისხებს წინა საბაზისო კატეგორიის კარტოფილის თესლისთვის.) საფუძველზე მომზადდა „სათესლე</p>

საქართველოსა და ევროკავშირის შორის ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების (DCFTA-ის) და მის მიღმა ვალდებულებების განხორციელების 2025 წლის შესრულების ანგარიში

აქტივობა	ინდიკატორი	დადასტურების წყარო	პასუხისმგებელი უწყება	პარტნიორი უწყება	შესრულების ანგარიში
					<p>კარტოფილის ბაზარზე განთავსების პირობების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 28 ოქტომბრის დადგენილება N649-ში ცვლილების შეტანის შესახებ საქართველოს მთავრობის დადგენილების პროექტი, რომელიც ატვირთულია მთავრობის პლატფორმაზე;</p> <p>8. 1997 წლის 24 იანვრის კომისიის გადაწყვეტილების 97/125-ის (1997 წლის 24 იანვრის კომისიის 97/125/EC გადაწყვეტილება, რომელიც იძლევა ზეთოვანი და ბოჭკოვანი მცენარეების თესლის შეფუთვაზე ინსტრუქციის წაუშლელი წარწერით განთავსების უფლებას და ცვლილება შეაქვს 87/309/EEC გადაწყვეტილებაში, რომელიც იძლევა კონკრეტული საკვები მცენარეების ჯიშების შეფუთვაზე ინსტრუქციების წაუშლელი წარწერით განთავსების უფლებას.) საფუძველზე მომზადდა და დამტკიცდა საქართველოს მთავრობის 2025 წლის 6 ოქტომბრის დადგენილება N439 „სავალდებულო სერტიფიცირებისადმი დაქვემდებარებული სასოფლო-სამეურნეო კულტურათა ჯიშების თესლისა და სარგავი მასალის ეტიკეტირების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 13 ივნისის N336 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;</p> <p>9. 2019 წლის 30 სექტემბრის კომისიის (EU) 2019/1715 რეგულაციის შესაბამისად მომზადებულია საქართველოს მთავრობის დადგენილების პროექტი „სახელმწიფო კონტროლის ინფორმაციის მართვის სისტემის და მისი სისტემური კომპონენტების ფუნქციონირების წესების დამტკიცების თაობაზე“, რომელიც</p>

საქართველოსა და ევროკავშირს შორის ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების (DCFTA-ის) და მის მიღმა ვალდებულებების განხორციელების 2025 წლის შესრულების ანგარიში

აქტივობა	ინდიკატორი	დადასტურების წყარო	პასუხისმგებელი უწყება	პარტნიორი უწყება	შესრულების ანგარიში
					<p>ატვირთულია მთავრობაზე დასამტკიცებლად;</p> <p>10. რეგულაცია 2020/1770 (2020 წლის 26 ნოემბრის კომისიის განმარტებული (EU) 2020/1770 რეგულაცია სანერგე მცენარეების ტიპებისა და სახეობების შესახებ, რომლებიც არ არის გათავისუფლებული მცენარეთა პასპორტებისთვის მიკვლევადობის კოდის მოთხოვნისგან, ევროპარლამენტისა და საბჭოს 2016/2031(EU) რეგულაციის შესაბამისად და აუქმებს კომისიის 92/105/EEC დირექტივას) გადატანილია 2027 წელს ვინაიდან მითითებას აკეთებს 2027 წელს შესამუშავებელ 2016/2031 რეგულაციაზე;</p> <p>11. 93/50/EEC დირექტივის (1993 წლის 24 ივნისის კომისიის 93/50/EEC დირექტივა, რომელიც განსაზღვრავს კონკრეტულ მცენარეებს, რომლებიც არ არის მოცემული საბჭოს 77/93/EEC დირექტივის V დანართის A ნაწილში და რომლის მწარმოებლები, ან სათბურები, ასეთი მცენარეების წარმოების ზონების გადმოტვირთვის ცენტრები მოცემული უნდა იყოს ოფიციალურ რეესტრში) საფუძველზე პროექტის შემუშავება გადატანილია 2027 წელს, ვინაიდან მითითებას აკეთებს 2027 წელს შესამუშავებელ 2016/2031 რეგულაციაზე;</p> <p>12. 2019 წლის 17 დეკემბრის კომისიის (EU) 2020/687 რეგულაციის შესაბამისად მომზადებულია „სიით განსაზღვრული ზოგიერთი დაავადების პრევენციის და კონტროლის წესის დამტკიცების შესახებ“ - საქართველოს მთავრობის დადგენილების პროექტი, რომელიც გადაგზავნილია სამინისტროს იურიდიულ დეპარტამენტში;</p> <p>13. 2016 წლის 9 მარტის (EU) 2016/429 რეგულაციის შესაბამისად მომზადდა „ცხოველთა</p>

საქართველოსა და ევროკავშირის შორის ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების (DCFTA-ის) და მის მიღმა ვალდებულებების განხორციელების 2025 წლის შესრულების ანგარიში

აქტივობა	ინდიკატორი	დადასტურების წყარო	პასუხისმგებელი უწყება	პარტნიორი უწყება	შესრულების ანგარიში
					<p>ჯანმრთელობის წესის დამტკიცების შესახებ“ - საქართველოს მთავრობის დადგენილების პროექტი, რომელიც გადაგზავნილია სამინისტროს იურიდიულ დეპარტამენტში;</p> <p>14. 2020 წლის 16 დეკემბრის (EU) 2020/2235 რეგულაციის შესაბამისად მუშავდება „ცხოველთა ჯანმრთელობის სერტიფიკატი, ოფიციალური სერტიფიკატი და ცხოველთა ჯანმრთელობის/ოფიციალური სერტიფიკატის ნიმუშები ტვირთის საქართველოში შემოსვლისთვის და სერტიფიცირების წესის დამტკიცების შესახებ“ - საქართველოს მთავრობის დადგენილების პროექტი;</p>
ამოცანა 4.2.	ბიზნეს წრეებსა და სამოქალაქო საზოგადოებაში, მომხმარებლებისა და უფლებების მფლობელთა ცნობიერების გაზრდა				
<p>4.2.1. ევროკავშირის კანონმდებლობასთან დაახლოებული ქართული კანონმდებლობის შესახებ დაინტერესებულ მხარეთა ინფორმირებულობის გაზრდა და მეწარმეთა ხელშეწყობა ახალ მოთხოვნებთან ადაპტაციაში</p>	<p>ჩატარებული მინიმუმ 5 ტრენინგი/საინფორმაციო შეხვედრა</p>	<p>DCFTA-ს განხორციელების სამოქმედო გეგმის შესრულების წლიური ანგარიში; www.DCFTA.gov.ge</p>	<p>საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო</p>	<p>სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტო</p>	<p>1. 2025 წლის 24 მარტს თბილისში გაიმართა შეხვედრა ცხოველის საკვების დისტრიბუტორებთან ცხოველის საკვებში გამოყენებული საკვები დანამატების წესის და ცხოველის საკვების ბაზარზე განთავსებისა და ეტიკეტირების წესთან დაკავშირებულ საკითხებზე. შეხვედრას ესწრებოდა 11 ბიზნეს ოპერატორი.</p> <p>2. 2025 წლის 14 თებერვალს ონლაინ რეჟიმში გაიმართა შეხვედრა ბიზნეს ოპერატორებთან საქართველოს მთავრობის 2015 წლის 10 ნოემბრის N581 დადგენილების „სურსათის მიკრობიოლოგიური მაჩვენებლების შესახებ ტექნიკური რეგლამენტის“ შესახებ. შეხვედრას ესწრებოდა 4 ბიზნეს ოპერატორი.</p> <p>3. 2025 წლის 4-6 ივნისს, ქ. ბორჯომსა და ქ. გორში</p>

საქართველოსა და ევროკავშირის შორის ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების (DCFTA-ის) და მის მიღმა ვალდებულებების განხორციელების 2025 წლის შესრულების ანგარიში

აქტივობა	ინდიკატორი	დადასტურების წყარო	პასუხისმგებელი უწყება	პარტნიორი უწყება	შესრულების ანგარიში
					<p>გაიმართა შეხვედრა თევზის წარმოების სასურსათო ჯაჭვში ჩართული ბიზნეს ოპერატორებისთვის. შეხვედრას ესწრებოდა 57 ბიზნეს ოპერატორი.</p> <p>4. 2025 წლის 12 ივნისს, ქ. საჩხერეში გაიმართა შეხვედრა თავლის წარმოების სასურსათო ჯაჭვში ჩართული ბიზნესოპერატორებისთვის. შეხვედრას ესწრებოდა 27 ბიზნესოპერატორი.</p> <p>5. 2025 წლის 13 ივნისს, ქ. საჩხერეში გაიმართა შეხვედრა შემდეგ თემაზე: სურსათის უვნებლობის პრინციპები საზოგადოებრივ კვების ობიექტებში. შეხვედრას ესწრებოდა 23 ბიზნესოპერატორი.</p> <p>6. 2025 წლის 24 ივნისს, ქ. ზუგდიდში გაიმართა შეხვედრა სურსათის უვნებლობის პრინციპები თბილისის გადამამუშავებელი ბიზნეს-ოპერატორებისათვის. შეხვედრას ესწრებოდა 18 ბიზნესოპერატორი.</p> <p>7. 2025 წლის მარტი-აპრილში, თბილისში, შიდა ქართლში, ქვემო ქართლში, მცხეთა-მთიანეთსა და კახეთის რეგიონებში ბიზნესოპერატორებთან გაიმართა ერთდღიანი ტრენინგი თემაზე: „ავტორიზაციის საკითხები და პროცედურები“ – საქართველოს მთავრობის დადგენილება №7 2023 წლის 16 იანვარი. მეკვერცხული მიმართულების საწარმოს ავტორიზაციის წესის დამტკიცების შესახებ ტრენინგს დაესწრო 33 ბიზნესოპერატორი.</p> <p>8. 2025 წლის მარტი-აპრილში კახეთში, შიდა ქართლსა და ქვემო ქართლში გაიმართა</p>

საქართველოსა და ევროკავშირს შორის ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების (DCFTA-ის) და მის მიღმა ვალდებულებების განხორციელების 2025 წლის შესრულების ანგარიში

აქტივობა	ინდიკატორი	დადასტურების წყარო	პასუხისმგებელი უწყება	პარტნიორი უწყება	შესრულების ანგარიში
					<p>საინფორმაციო შეხვედრა 2024 წლის 29 თებერვლის საქართველოს მთავრობის N59 დადგენილების „ტექნიკური რეგლამენტის – ცხოველთა საკვებში არასასურველი ნივთიერებების შემცველობის დამტკიცების შესახებ“ საკითხებთან დაკავშირებით. შეხვედრას ესწრებოდა 12 ბიზნესოპერატორი.</p> <p>9. 2025 წლის მაისში თბილისში ჩატარდა შეხვედრა ვეტერინარული პრეპარატების მწარმოებლებთან, საბითუმო და საცალო ვაჭრობის წარმომადგენლებთან, სადაც განიხილეს საქართველოს მთავრობის დადგენილების პროექტი - „ვეტერინარული პრეპარატების შესახებ“. აღნიშნულ შეხვედრას ესწრებოდა 18 ბიზნესოპერატორი.</p> <p>10. 2025 წლის 15 ივლისს, ქ. თელავში გაიმართა შეხვედრა რძის გადამამუშავებელ ბიზნესოპერატორებთან, თემაზე - „სურსათის უვნებლობის პრინციპები“. შეხვედრას ესწრებოდა 16 ბიზნესოპერატორი.</p> <p>11. 2025 წლის 16 ივლისს, ქ. თელავში გაიმართა შეხვედრა თაფლის მწარმოებელ ბიზნესოპერატორებთან, თემაზე - „სურსათის უვნებლობის პრინციპები“. შეხვედრას ესწრებოდა 21 ბიზნესოპერატორი.</p> <p>12. 2025 წლის 16 და 17 ივლისს, კახეთის რეგიონში გაიმართა 2 შეხვედრა საზოგადოებრივი კვების სექტორთან სურსათის უვნებლობის პრინციპების</p>

საქართველოსა და ევროკავშირს შორის ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების (DCFTA-ის) და მის მიღმა ვალდებულებების განხორციელების 2025 წლის შესრულების ანგარიში

აქტივობა	ინდიკატორი	დადასტურების წყარო	პასუხისმგებელი უწყება	პარტნიორი უწყება	შესრულების ანგარიში
					<p>გაცნობის მიზნით. შეხვედრას ესწრებოდა 57 ბიზნესოპერატორი.</p> <p>13. 2025 წლის 24 ივლისს, ქ. ახალციხეში გაიმართა საინფორმაციო შეხვედრა აკვაკულტურის მწარმოებელ ბიზნესოპერატორებთან. შეხვედრას ესწრებოდა 13 ბიზნესოპერატორი.</p> <p>15. 2025 წლის 19 აგვისტოს ქ. ქუთაისში და 20-21 აგვისტოს ქ. ბათუმში გაიმართა 3 საინფორმაციო შეხვედრა საზოგადოებრივი კვების ობიექტების ბიზნესოპერატორებთან კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებთან და სურსათის უვნებლობის სტანდარტებთან დაკავშირებით:</p> <ul style="list-style-type: none"> • დადგენილება №118 ტექნიკური რეგლამენტის-საქონლის ხორცისა და საქონლის ხორცის პროდუქტების ეტიკეტირების წესის დამტკიცების შესახებ. • ცხოველის იდენტიფიკაცია/ რეგისტრაციის სისტემის მიმოხილვა. შეხვედრას ესწრებოდა 82 ბიზნესოპერატორი. <p>15. მეფუტკრეობის სფეროში ძალაში შესული საკანონმდებლო დოკუმენტების გაცნობის და ასევე, ფუტკრის სხვადასხვა დაავადების პრევენციისა და მკურნალობის ახალი მეთოდების გაცნობის მიზნით ჩატარდა შემდეგი შეხვედრები:</p> <ul style="list-style-type: none"> • სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონში, ქ. ზუგდიდში, სოფელ ხაიშში 17-18 და 24-25 ივნისს გაიმართა 3 შეხვედრა, რომელსაც ესწრებოდა 19 ბიზნესოპერატორი და 9 NFA-ის თანამშრომელი.

საქართველოსა და ევროკავშირის შორის ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების (DCFTA-ის) და მის მიღმა ვალდებულებების განხორციელების 2025 წლის შესრულების ანგარიში

აქტივობა	ინდიკატორი	დადასტურების წყარო	პასუხისმგებელი უწყება	პარტნიორი უწყება	შესრულების ანგარიში
					<ul style="list-style-type: none"> • 2-3 ივლისს 2 შეხვედრა გაიმართა იმერეთის რეგიონში, რომელსაც ესწრებოდა 9 ბიზნესოპერატორი და 5 NFA-ის თანამშრომელი. • 27 აგვისტოს შეხვედრა გაიმართა თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტში შეხვედრას ესწრებოდა 6 ბიზნესოპერატორი და 4 NFA-ის თანამშრომელი. <p>16. აკვაკულტურის სფეროში მიღებული ახალი საკანონმდებლო რეგულაციის, კერძოდ რისკების მართვის სისტემის აღსრულების საკითხების (საქართველოს მთავრობის №594 დადგენილება), ასევე, აკვაკულტურის მიმართულებით განხორციელებული ღონისძიებები და მიღებული შედეგები განხილულ იქნა შემდეგ შეხვედრებზე:</p> <ul style="list-style-type: none"> • 22 ივლისს შეხვედრა შედგა ქ. გორში, რომელსაც ესწრებოდა NFA-ის 7 თანამშრომელი და 13 ბიზნესოპერატორი. • 25 ივლისს გაიმართა შეხვედრა ქ. ახალციხეში, რომელსაც ესწრებოდა NFA-ის 9 თანამშრომელი და 16 ბიზნესოპერატორი. • 29 ივლისს გაიმართა შეხვედრა ქ. ბათუმში, რომელსაც ესწრებოდა NFA-ის 6 თანამშრომელი და 12 ბიზნესოპერატორი. • 30 ივლისს გაიმართა შეხვედრა ქ. ოზურგეთში, რომელსაც ესწრებოდა NFA-ის 5 თანამშრომელი და 8 ბიზნესოპერატორი. <p>17. 10-11 სექტემბერს აშშ ფრინველისა და კვერცხის საბჭოს ორგანიზებით, თბილისში ჩატარდა ტრენინგი თემაზე - „ფრინველის ხორცისა და კვერცხის შენახვის ვადა, სალმონელა და კამპილობაქტერიის განსაზღვრის მეთოდები“.</p>

საქართველოსა და ევროკავშირის შორის ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების (DCFTA-ის) და მის მიღმა ვალდებულებების განხორციელების 2025 წლის შესრულების ანგარიში

აქტივობა	ინდიკატორი	დადასტურების წყარო	პასუხისმგებელი უწყება	პარტნიორი უწყება	შესრულების ანგარიში
					<p>ტრენინგს ესწრებოდა NFA-ის 18 თანამშრომელი და 44 ბიზნესოპერატორი.</p> <p>18. 16-17 სექტემბერი, ამბროლაურში, ონსა და ცაგერში გაიმართა ტრენინგი საქართველოს მთავრობის 2017 წლის 28 დეკემბრის #594 დადგენილების განხილვის მიზნით. ესწრებოდა NFA-ის 12 თანამშრომელი და 3 ბიზნესოპერატორი.</p> <p>19. 3-7 ნოემბერს, ქ. ბათუმსა და ქ.თბილისში გაიმართა ტრენინგები თემაზე - აკვაკულტურის პროდუქტების სურსათის უვნებლობის სასწავლო პროგრამა საქართველოში. ესწრებოდა NFA-ის 16 თანამშრომელი და 5 ბიზნესოპერატორი.</p> <p>20. 10 ნოემბერს თბილისში შედგა სამუშაო შეხვედრა საქართველოს მთავრობის დადგენილების პროექტის „ტექნიკური რეგლამენტი - ყავის, ყავის პროდუქტების სუროგატების შესახებ“. შეხვედრას ესწრებოდა 13 ბიზნესოპერატორი.</p>
ამოცანა 4.3.	კომპეტენტური ორგანოს შესაძლებლობებისა და უნარების გაუმჯობესება				
4.3.1. სანიტარიული, ფიტოსანიტარიული და ვეტერინარული სასაზღვრო კონტროლის განმახორციელებელი სპეციალისტების გადამზადება, კონკრეტულ პროცედურულ საკითხზე	ჩატარებული ტრენინგების, მასში მონაწილე სპეციალისტების რაოდენობა; მიღებული პროცედურული	უწყების წლიური ანგარიში rs.ge	სსიპ შემოსავლები ს სამსახური	სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტო	<p>1. 2025 წლის 20 თებერვალს ქ. თბილისში გაიმართა სამუშაო შეხვედრა საბაჟო სამსახურის წარმომადგენლებთან ცხოველის საკვებში საკვები დანამატების წესის ძალაში შესვლასთან დაკავშირებით.</p> <p>2. 2025 წლის 26 მარტს ქ. თბილისში გაიმართა შეხვედრა საბაჟო სამსახურის კომპეტენტურ სამსახურთან იმპორტირებული ანტიბიოტიკული საშუალებების შესახებ ინფორმაციის მოწოდებასთან</p>

საქართველოსა და ევროკავშირის შორის ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების (DCFTA-ის) და მის მიღმა ვალდებულებების განხორციელების 2025 წლის შესრულების ანგარიში

აქტივობა	ინდიკატორი	დადასტურების წყარო	პასუხისმგებელი უწყება	პარტნიორი უწყება	შესრულების ანგარიში
სახელმძღვანელოს შემუშავება	სახელმძღვანელო				<p>დაკავშირებით. უნდა მომზადდეს საკანონმდებლო დოკუმენტი, რომელიც უზრუნველყოფს აღნიშნული საკითხის მოგვარებას.</p> <p>ENPARD IV- ფარგლებში ჩატარდა:</p> <ul style="list-style-type: none"> • 15-16 ივლისს ENPARD IV-ის პროექტის ფარგლებში, ჩეხეთის განვითარების სააგენტოს (CzDA), მიერ ჩატარდა სამუშაო შეხვედრა - „შესავალ NRL სემინარზე - ევროკავშირში ეროვნული რეფერენტული ლაბორატორიებისა (NRL) და ოფიციალური კონტროლის ლაბორატორიების (OCL) სისტემის შესახებ“ („Initial NRL Workshop on NRL and OCL system in EU“). (შემოსავლების სამსახურიდან 3 თანამშრომელი) • 17-18 სექტემბერს მეორე NRL სემინარი - რეფერალური ლაბორატორიების პასუხისმგებლობები და ამოცანები და NRL სისტემა ჩეხეთში. (შემოსავლების სამსახურიდან 2 თანამშრომელი) • 29–30 სექტემბერს, თბილისში („Courtyard Marriott“) და წითელი ხიდის სასაზღვრო გამშვებ პუნქტზე ჩატარდა სწავლება „ვეტერინარიისა და სურსათის იმპორტის კონტროლის ევროკავშირის მარეგულირებელი ჩარჩოს შესახებ“, რომელიც განხორციელდა პროექტის „სურსათის უვნებლობისა და სანიტარული და ფიტოსანიტარული სექტორის მხარდაჭერა საქართველოში“ პროგრამა ENPARD IV-ის ფარგლებში, რომელსაც ახორციელებს გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაცია (FAO). (სწავლებაში მონაწილეობა მიიღო შემოსავლების სამსახურის 17-მა თანამშრომელმა,

საქართველოსა და ევროკავშირის შორის ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების (DCFTA-ის) და მის მიღმა ვალდებულებების განხორციელების 2025 წლის შესრულების ანგარიში

აქტივობა	ინდიკატორი	დადასტურების წყარო	პასუხისმგებელი უწყება	პარტნიორი უწყება	შესრულების ანგარიში
					<p>სურსათის ეროვნული სააგენტოს 5 თანამშრომელმა და კერძო სექტორის 13-მა წარმომადგენელმა.)</p> <p>• საქართველოს მთავრობის 2019 წლის 20 სექტემბრის 463-ე დადგენილების შესაბამისად შემოსავლების სამსახურმა ჩაატარა ყოველწლიური სწავლება: “ვეტერინარული სასაზღვრო - საკარანტინო და არაცხოველური წარმოშობის სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის სასაზღვრო კონტროლსა და სურსათად/ცხოველის საკვებად განკუთვნილი გენმოდირებული ორგანიზმებისა და მათგან წარმოებული გენმოდირებული პროდუქტის იმპორტთან და ცოცხალი გენმოდირებული ორგანიზმების ტრანსსასაზღვრო გადაადგილებასთან დაკავშირებული საკანონმდებლო სიახლეების გაცნობა და პრაქტიკული გამოცდილების გაზიარება.“ ტრეინინგის ჩატარების ადგილი -დასავლეთ საქართველო ქ. ბათუმი 22 და 24 ივლისი-გადამზადდა 14 ვეტერინარი, 3 სანიტარი და 2 განყოფილების უფროსი.</p> <p>ტრეინინგის ჩატარების ადგილი - აღმოსავლეთ საქართველო ქ. თბილისი 29 და 31 ივლისი - გადამზადდა 40 ვეტერინარი და 4 განყოფილების უფროსი.</p> <p>თემა: ფიტოსანიტარიული სასაზღვრო - საკარანტინო და არაცხოველური წარმოშობის სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის სასაზღვრო კონტროლისა და სურსათად/ცხოველის საკვებად განკუთვნილი გენმოდირებული ორგანიზმებისა და მათგან წარმოებული გენმოდირებული პროდუქტის იმპორტთან და ცოცხალი გენმოდირებული ორგანიზმების</p>

საქართველოსა და ევროკავშირს შორის ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების (DCFTA-ის) და მის მიღმა ვალდებულებების განხორციელების 2025 წლის შესრულების ანგარიში

აქტივობა	ინდიკატორი	დადასტურების წყარო	პასუხისმგებელი უწყება	პარტნიორი უწყება	შესრულების ანგარიში
					<p>ტრანსსასაზღვრო გადაადგილებასთან დაკავშირებული საკანონმდებლო სიახლეების გაცნობა და პრაქტიკული გამოცდილების გაზიარება. ტრეინინგის ჩატარების ადგილი - დასავლეთ საქართველო ქ. ბათუმი 23 და 25 ივლისი-გადამზადდა 20 ფიტოსანიტარი და 2 განყოფილების უფროსი.</p> <p>ტრეინინგის ჩატარების ადგილი - აღმოსავლეთ საქართველო ქ. თბილისი 30 ივლისი და 1 აგვისტო-გადამზადდა 34 ფიტოსანიტარი და 4 განყოფილების უფროსი.</p> <p>3. 2025 წლის მარტი-აპრილში, თბილისში, შიდა ქართლში, ქვემო ქართლში, მცხეთა-მთიანეთსა და კახეთის რეგიონებში ბიზნესოპერატორებთან გაიმართა ერთდღიანი ტრენინგი თემაზე: „ავტორიზაციის საკითხები და პროცედურები“- საქართველოს მთავრობის დადგენილება №7 2023 წლის 16 იანვარი. მეკვერცხული მიმართულების საწარმოს ავტორიზაციის წესის დამტკიცების შესახებ ტრენინგს დაესწრო 33 ბიზნესოპერატორი.</p> <p>4. 2025 წლის მარტი-აპრილში, თბილისში, შიდა ქართლში და კახეთში გაიმართა ცნობიერების ამაღლების შეხვედრები თემებზე:</p> <ul style="list-style-type: none"> • წარმოება, შენახვა, ტრანსპორტირება და ბაზარზე განთავსება;

საქართველოსა და ევროკავშირის შორის ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების (DCFTA-ის) და მის მიღმა ვალდებულებების განხორციელების 2025 წლის შესრულების ანგარიში

აქტივობა	ინდიკატორი	დადასტურების წყარო	პასუხისმგებელი უწყება	პარტნიორი უწყება	შესრულების ანგარიში
					<p>• სპეციფიკური მოთხოვნები ცხოველის საკვების ბიზნესოპერატორისთვის, ანტიმიკრობული საშუალებების აქტიური ნივთიერებების ნუსხა;</p> <p>• ეტიკეტირებასთან დაკავშირებული სპეციფიკური მოთხოვნები - ცხოველის სამკურნალო საკვების წარმოება, ბაზარზე განთავსება და გამოყენების წესის დამტკიცების შესახებ საქართველოს მთავრობის 2024 წლის 29 იანვრის N22 დადგენილება. სულ დაესწრო 28 ბიზნესოპერატორი და სახელმწიფო ვეტერინარი.</p> <p>5. 2025 წლის მარტი-აპრილში კახეთში, შიდა ქართლსა და ქვემო ქართლში გაიმართა საინფორმაციო შეხვედრა 2024 წლის 29 თებერვლის საქართველოს მთავრობის N59 დადგენილების „ტექნიკური რეგლამენტის –ცხოველთა საკვებში არასასურველი ნივთიერებების შემცველობის დამტკიცების შესახებ“ საკითხებთან დაკავშირებით. შეხვედრას ესწრებოდა 12 ბიზნესოპერატორი.</p> <p>6. 2025 წლის მაისში თბილისში ჩატარდა შეხვედრა ვეტერინარული პრეპარატების მწარმოებლებთან, საბითუმო და საცალო ვაჭრობის წარმომადგენლებთან, სადაც განიხილეს საქართველოს მთავრობის დადგენილების პროექტი „ვეტერინარული პრეპარატების შესახებ“. აღნიშნულ შეხვედრას ესწრებოდა 18 ბიზნესოპერატორი.</p> <p>7. 2025 წლის 1 ივლისიდან 4 ივლისის ჩათვლით კახეთის, იმერეთის, სამეგრელოს და აჭარაში ცხოველთა სასაკლაოზე დასაქმებულ ვეტექიმების ჩატარდა ტრენინგი შემდეგ თემებზე:</p>

საქართველოსა და ევროკავშირის შორის ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების (DCFTA-ის) და მის მიღმა ვალდებულებების განხორციელების 2025 წლის შესრულების ანგარიში

აქტივობა	ინდიკატორი	დადასტურების წყარო	პასუხისმგებელი უწყება	პარტნიორი უწყება	შესრულების ანგარიში
					<ul style="list-style-type: none"> • HACCP-ის სისტემის კრიტიკული საკონტროლო წერტილების შესაბამისობის კონტროლი და „შეუსაბამობის ოქმი N“ • „ხორცში ტრიქინელას სახელმწიფო კონტროლის სპეციალური წესის დამტკიცების შესახებ“ <p>ტრენინგს დაესწრო 87 ვეტერინარი.</p> <p>8. 2025 წლის 27 ივლისს თბილისში ჩატარდა ტრენინგი შემდეგ თემებზე:</p> <ul style="list-style-type: none"> • საქართველოში მალაქიტის მწვანის, ლეუკო მალაქიტის მწვანის და ლეუკო კრისტალ იისფერის ნარჩენების შემცველი თევზის მოხმარებით განპირობებული ადამიანის ჯანმრთელობის რისკის შეფასების საფუძველზე სააგენტოს მიერ შემუშავებული რისკის მინიმიზირების ღონისძიებების ეფექტურობის განხილვა. • „2022-2023 წლებში საქართველოში აფლატოქსინ M1-ის შემცველი ნედლი რძით წარმოებული რძის და რძის ნაწარმის მოხმარებით განპირობებული საქართველოს მოსახლეობის ჯანმრთელობის რისკის შეფასების“ საფუძველზე სააგენტოს მიერ შემუშავებული რისკის მინიმიზირების ღონისძიებების ეფექტურობის განხილვა. <p>ტრენინგს დაესწრო 8 უფლებამოსილი პირი.</p> <p>9. 2025 წლის 7 აგვისტოს გაიმართა შეხვედრა, სადაც განხილულ იქნა სურსათით საქველმოქმედო</p>

საქართველოსა და ევროკავშირს შორის ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების (DCFTA-ის) და მის მიღმა ვალდებულებების განხორციელების 2025 წლის შესრულების ანგარიში

აქტივობა	ინდიკატორი	დადასტურების წყარო	პასუხისმგებელი უწყება	პარტნიორი უწყება	შესრულების ანგარიში
					<p>საქმიანობასთან დაკავშირებული საკითხები. დაესწრო 5 უფლებამოსილი პირი.</p> <p>10. 2025 წლის 19 აგვისტოს ქ. ქუთაისში და 21 აგვისტოს ქ. ბათუმში გაიმართა 2 საინფორმაციო შეხვედრა საზოგადოებრივი კვების ობიექტების კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებთან და სურსათის უვნებლობის სტანდარტებთან დაკავშირებით.</p> <ul style="list-style-type: none"> • დადგენილება N118 ტექნიკური რეგლამენტის - საქონლის ხორცისა და საქონლის ხორცის პროდუქტების ეტიკეტირების წესის დამტკიცების შესახებ. • ცხოველის იდენტიფიკაცია/ რეგისტრაციის სისტემის მიმოხილვა. შეხვედრას ესწრებოდა 82 ბიზნესოპერატორი და ტრენინგს დაესწრო 5 უფლებამოსილი პირი. <p>11. 2025 წლის 27 აგვისტოს გაიმართა ონლაინ ტრენინგი ცხოველის იდენტიფიკაცია/ რეგისტრაციის სისტემასთან დაკავშირებით ტრენინგს დაესწრო 102 უფლებამოსილი პირი.</p> <p>12. 2025 წლის 14 აგვისტოს შედგა სამუშაო შეხვედრა სახელმწიფო კონტროლის ელექტრონული პროგრამის სრულყოფით მიზნით. ტრენინგს დაესწრო 6 უფლებამოსილი პირი.</p> <p>13. 2025 წლის 22 და 23 სექტემბერს ჩატარდა ტრენინგი თემაზე „სურსათის რისკის შეფასების ინიცირებისათვის პრიორიტეტული საფრთხის განსაზღვრის მეთოდოლოგიის განხილვა და</p>

საქართველოსა და ევროკავშირის შორის ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების (DCFTA-ის) და მის მიღმა ვალდებულებების განხორციელების 2025 წლის შესრულების ანგარიში

აქტივობა	ინდიკატორი	დადასტურების წყარო	პასუხისმგებელი უწყება	პარტნიორი უწყება	შესრულების ანგარიში
					<p>პრიორიტეტული საფრთხეების განსაზღვრის ეტაპები“.</p> <p>ტრენინგს დაესწრო 15 უფლებამოსილი პირი.</p> <p>14. 10-11 სექტემბერს ჩატარდა ტრენინგი თბილისში აშშ ფრინველისა და კვერცხის ექსპორტის საბჭოს (USAPEEC) ორგანიზებით თემაზე - ფრინველის ხორცისა და კვერცხის შენახვის ვადა, სალმონელა და კამპილობაქტერიის განსაზღვრის მეთოდები “. ტრენინგს ესწრებოდა NFA-ის 18 უფლებამოსილი პირი.</p> <p>15. 23 სექტემბერს თბილისში ჩატარდა ტრენინგი თემაზე: „სურსათის რისკის შეფასების ინიცირებისათვის პრიორიტეტული საფრთხის განსაზღვრის მეთოდოლოგიის განხილვა და პრიორიტეტული საფრთხის განსაზღვრის ეტაპები“, ტრენინგს დაესწრო 23 უფლებამოსილი პირი.</p> <p>16. ტრენინგი თემაზე: „სტანდარტული საოპერაციო პროცედურები ინსპექტირება, ზედამხედველობა და დოკუმენტური შემოწმება; ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეების განხილვა სასამართლოსა და ადმინისტრაციულ ორგანოებში“ ჩატარდა :</p> <ul style="list-style-type: none"> • თბილისში, 1-2 ოქტომბერს, ესწრებოდა 38 უფლებამოსილი პირი • თელავში, 17 ოქტომბერს, ესწრებოდა 11 უფლებამოსილი პირი • გორში, 19 ოქტომბერს, ესწრებოდა 7 უფლებამოსილი პირი

საქართველოსა და ევროკავშირს შორის ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების (DCFTA-ის) და მის მიღმა ვალდებულებების განხორციელების 2025 წლის შესრულების ანგარიში

აქტივობა	ინდიკატორი	დადასტურების წყარო	პასუხისმგებელი უწყება	პარტნიორი უწყება	შესრულების ანგარიში
					<ul style="list-style-type: none"> • ქუთაისში, 26 ნოემბერს, ესწრებოდა 13 უფლებამოსილი პირი • ზუგდიდში, 27 ნოემბერს, ესწრებოდა 8 უფლებამოსილი პირი • ბათუმში, 28 ნოემბერს, ესწრებოდა 14 უფლებამოსილი პირი • ამბროლაურში, 18 დეკემბერს, ესწრებოდა 5 უფლებამოსილი პირი <p>17. 13 ნოემბერს ჩატარდა ონლაინ ტრენინგი თემაზე: "სურსათში კოკციდიოსტატების ან ჰისტომონოსტატების შემცველობის მაქსიმალური დონის, გამოწვეული ცხოველის საკვებში მათი არამიზნობრივი, გარდაუვალი გადატანის შედეგად" დამტკიცების თაობაზე საქართველოს მთავრობის 2024 წლის 10 ივლისის N223 დადგენილება. ტრენინგს დაესწრო 21 უფლებამოსილი პირი.</p> <p>18. საქართველოს მთავრობის 2017 წლის 28 დეკემბრის N 594 დადგენილების „აკვაკულტურის ცხოველის ჯანმრთელობასა და მის პროდუქტებთან დაკავშირებული მოთხოვნებისა და წყლის ცხოველის ზოგიერთი დაავადების პრევენციისა და კონტროლის წესის დამტკიცების შესახებ“ განხილვის მიზნით ტრენინგი ჩატარდა:</p> <ul style="list-style-type: none"> • აბაშაში, 7 ოქტომბერს, ესწრებოდა NFA 28 უფლებამოსილი პირი. • ქუთაისში, 7 ოქტომბერს, ესწრებოდა NFA 11 უფლებამოსილი პირი. • კახეთის რეგიონში (საგარეჯო, თელავი, გურჯაანი), 18-19 ნოემბერს, ესწრებოდა 11 უფლებამოსილი პირი. • ქვემო ქართლში, 20 ნოემბერს, ესწრებოდა 11 თანამშრომელი.

საქართველოსა და ევროკავშირის შორის ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების (DCFTA-ის) და მის მიღმა ვალდებულებების განხორციელების 2025 წლის შესრულების ანგარიში

აქტივობა	ინდიკატორი	დადასტურების წყარო	პასუხისმგებელი უწყება	პარტნიორი უწყება	შესრულების ანგარიში
4.3.2. შესაბამისი კომპეტენტური ორგანოების თანამშრომლების ტრენინგი კანონმდებლობის შემუშავებასა და განხორციელებაში	ჩატარებული ტრენინგების/წავლებების და სხვა ღონისძიებების რაოდენობა	DCFTA-ს განხორციელების სამოქმედო გეგმის შესრულების წლიური ანგარიში www.DCFTA.gov.ge	საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო	სსიპ სოფლის მეურნეობის სახელმწიფო ლაბორატორია; სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტო; სსიპ შემოსავლების სამსახური	<p>1. 2025 წლის 20 თებერვალს, ონლაინ რეჟიმში, გაიმართა შეხვედრა სურსათის ეროვნული სააგენტოს (სეს) რეგიონის სპეციალისტებთან სახელმწიფო კონტროლის გეგმისა და მისი განხორციელების შესახებ. ამასთან, განხილულ იქნა DCFTA-ის ფარგლებში შემუშავებული ახალი საკანონმდებლო მოთხოვნები და მათი აღსრულების წესები.</p> <p>2. 2025 წელის I-III კვარტალში სააგენტოს უფლებამოსილი პირებისთვის ჩატარებული საერთაშორისო ტრენინგები:</p> <ul style="list-style-type: none"> 13.01.2025-17.01.2025 მალტაში, სურსათის უვნებლობის დეპარტამენტის უფროსმა გაირა ტრენინგი „სურსათის გამაუმჯობესებელი აგენტების შესახებ“ (BTSF ტრენინგ-კურსი "Food Improvement Agents"); 3.02.2025-7.02.2025 თებერვალს, საბერძნეთში, ქალაქ ათენში, სურსათის უვნებლობის დეპარტამენტის ცხოველური წარმოშობის სურსათის სამმართველოს უფროსმა და ამავე დეპარტამენტის ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების სამმართველოს უფროსმა გაირეს ტრენინგი „სურსათის გამაუმჯობესებელი აგენტების შესახებ“ (BTSF ტრენინგ-კურსი "Food Improvement Agents"); 9.02.2025-22.02.2025 თებერვალს, იტალიაში, ქალაქ რომში, სურსათის უვნებლობის დეპარტამენტის არაცხოველური წარმოშობის სურსათისა და სასმელების სამმართველოს

საქართველოსა და ევროკავშირის შორის ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების (DCFTA-ის) და მის მიღმა ვალდებულებების განხორციელების 2025 წლის შესრულების ანგარიში

აქტივობა	ინდიკატორი	დადასტურების წყარო	პასუხისმგებელი უწყება	პარტნიორი უწყება	შესრულების ანგარიში
					<p>უფროსმა გაიარა ტრენინგი „ნიმუშების აღების და ანალიზის მეთოდები სურსათის უვნებლობის კონტროლის კონტექსტში“ (BTSF ტრენინგ-კურსი მიკროტოქსინებზე, ფაზა 2);</p> <ul style="list-style-type: none"> • 11.02.2025-13.02.2025 თებერვალს, ალბანეთში, ქალაქ ტირანაში, სურსათის უვნებლობის დეპარტამენტის ცხოველური წარმოშობის სურსათის სამმართველოს უფროსი სპეციალისტი იმყოფებოდა რეგიონალურ სემინარზე „ცხოველთა კეთილდღეობა“(WOAH); • 16.02.2025-21.02.2025 თებერვალს, ესპანეთში, ქალაქ ვალენსიაში, სურსათის უვნებლობის დეპარტამენტის არაცხოველური წარმოშობის სურსათისა და სასმელების სამმართველოს უფროსმა სპეციალისტმა გაიარა ტრენინგი „სურსათთან შეხებაში მყოფი მასალების შესახებ“ (BTSF ტრენინგ-კურსი); • 10.03.2025-21.03.2025 თებერვალს, ესპანეთში, ქალაქ მადრიდში, სურსათის უვნებლობის დეპარტამენტის არაცხოველური წარმოშობის სურსათისა და სასმელების სამმართველოს უფროსმა სპეციალისტმა გაიარა ტრენინგი „ნიმუშების აღების და ანალიზის მეთოდები სურსათის უვნებლობის კონტროლის კონტექსტში“ (BTSF ტრენინგ-კურსი ფაზა 2. კურსი 1 - მიკროტოქსინები). • 25.05.2025-06.06.2025 გერმანიაში ქ. შტუდგარდში სურსათის დეპარტამენტის არაცხოველური

საქართველოსა და ევროკავშირს შორის ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების (DCFTA-ის) და მის მიღმა ვალდებულებების განხორციელების 2025 წლის შესრულების ანგარიში

აქტივობა	ინდიკატორი	დადასტურების წყარო	პასუხისმგებელი უწყება	პარტნიორი უწყება	შესრულების ანგარიში
					<p>წარმოშობის სურსათისა და სასმელების სამმართველოს უფროსმა სპეციალისტმა გაირა ტრენინგი –“ მცენარეთა დაცვის საშუალებების ნარჩენების ნიმუშის აღება და მათი ანალიზი” - Sampling and analysis methods used in the context of official food and feed controls (BTSF);</p> <ul style="list-style-type: none"> • 14.09.2025-20.09.2025 ესპანეთში ქ. ვალენსიაში სურსათის დეპარტამენტის ცხოველური წარმოშობის სურსათის სამმართველოს უფროსის მოადგილე და ამავე სამმართველოს უფროსი სპეციალისტი იმყოფებოდნენ ტრენინგზე თემაზე: „Food hygiene and controls of meat“ (BTSF); <p>3. 2025 წლის 14 და 17 თებერვალს, ონლაინ რეჟიმში, გაიმართა შეხვედრა, რომლის ფარგლებშიც განხილულ იქნა საქართველოს მთავრობის 2015 წლის 10 ნოემბრის N581 დადგენილება „სურსათის მიკრობიოლოგიური მაჩვენებლების შესახებ ტექნიკური რეგლამენტი“. შეხვედრას ესწრებოდა სეს-ის 57 უფლებამოსილი პირი.</p> <p>4. 2025 წლის 27 მარტს, ქ. თბილისში, გაიმართა შეხვედრა, სადაც განხილულ იქნა ნიტრატებით დაბინძურებული სხვადასხვა კატეგორიის სურსათის მოხმარებით განპირობებული რისკის შეფასების ინიცირების პროექტი. შეხვედრას ესწრებოდა 35 უფლებამოსილი პირი.</p> <p>5. 2025 წლის 21 და 31 მარტს, ქ. თბილისში, გაიმართა შეხვედრა საფრთხის პრიორიტეტულობის</p>

საქართველოსა და ევროკავშირს შორის ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების (DCFTA-ის) და მის მიღმა ვალდებულებების განხორციელების 2025 წლის შესრულების ანგარიში

აქტივობა	ინდიკატორი	დადასტურების წყარო	პასუხისმგებელი უწყება	პარტნიორი უწყება	შესრულების ანგარიში
					<p>განსაზღვრის მეთოდოლოგიის შემუშავებასთან დაკავშირებით. შეხვედრას ესწრებოდა 36 უფლებამოსილი პირი.</p> <p>6. 2025 წლის 20.03 - 21.03 - 31.03 მარტს, ქ. თბილისში, ცხელი ხაზის ოპერატორებთან ჩატარდა ტრენინგი, რომელიც შეეხებოდა ცხელ ხაზზე შემოსულ შეტყობინებებზე რეაგირების სტანდარტულ საოპერაციო პროცედურას. ესწრებოდა 53 უფლებამოსილი პირი.</p> <p>7. 2025 წლის 14 თებერვალს, ქ. თბილისში, გაიმართა შეხვედრა, სადაც განხილულ იქნა 2022-2023 წლებში საქართველოში აფლატოქსინ M1-ის შემცველი ნედლი რძით წარმოებული რძის და რძის ნაწარმის მოხმარებით განპირობებული საქართველოს მოსახლეობის ჯანმრთელობის რისკის შეფასების სამეცნიერო დასკვნისა და მის საფუძველზე რისკის მართვის რეკომენდაციების პროექტი. შეხვედრა ესწრებოდა 20 უფლებამოსილი პირი.</p> <p>8. 2025 წლის 28 თებერვალს, ქ. გორში, გაიმართა ტრენინგი თემაზე:</p> <ul style="list-style-type: none"> • ზედამხედველობის განხორციელების სტანდარტული ოპერაციული პროცედურა; • ინსპექტირების განხორციელების სტანდარტული ოპერაციული პროცედურა; • ნიმუშის აღების სტანდარტული ოპერაციული პროცედურა;

საქართველოსა და ევროკავშირს შორის ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების (DCFTA-ის) და მის მიღმა ვალდებულებების განხორციელების 2025 წლის შესრულების ანგარიში

აქტივობა	ინდიკატორი	დადასტურების წყარო	პასუხისმგებელი უწყება	პარტნიორი უწყება	შესრულების ანგარიში
					<ul style="list-style-type: none"> • სამართალდარღვევის გამოვლენის, შეფასებისა და სანქციის განსაზღვრის შესახებ სტანდარტული ოპერაციული პროცედურა; • სურსათის უვნებლობის სახელმწიფო კონტროლის სტანდარტული ოპერაციული პროცედურა; <p>ტრენინგს ესწრებოდა სეს-ის 21 უფლებამოსილი პირი.</p> <p>9. 2025 წლის 11 თებერვალს ჩატარდა ტრენინგი თბილისის საქალაქო სამსახურის უფლებამოსილი პირებისთვის თემაზე - სახელმწიფო კონტროლის მექანიზმების ფუნქციონირება.</p> <p>10. ENPARD IV პროექტის ფარგლებში 2025 წლის 4-7 თებერვალს, ჩეხი ექსპერტების მიერ ჩატარებულ ტრენინგს, თემაზე „პესტიციდების სტატისტიკა/მიკვლევადობა და მონაცემთა ჩანაწერები, აქცენტით (EC) No 1185/2009 და 2022/2379 რეგულაციების მოთხოვნებზე“ დაესწრნენ სურსათის ეროვნული სააგენტოს მცენარეთა დაცვის დეპარტამენტის თანამშრომლები.</p> <p>11. 2025 წლის 7-9 თებერვალს და 20-21 თებერვალს მიზნობრივი ქვეპროგრამის ფარგლებში, სამეგრელო-ზემო სვანეთის და მცხეთა-მთიანეთის რეგიონებში ჩატარდა ტრენინგები თბილისის საქალაქო სამსახურის და რეგიონული სამმართველოების ფიტოსანიტარებისათვის.</p> <p>12. 2025 წლის 1-3 აპრილსა და 26-27 ივნისში ქ. რუსთავში, ქ. გორში, ქ. ზუგდიდში და ქ. ქუთაისში</p>

საქართველოსა და ევროკავშირს შორის ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების (DCFTA-ის) და მის მიღმა ვალდებულებების განხორციელების 2025 წლის შესრულების ანგარიში

აქტივობა	ინდიკატორი	დადასტურების წყარო	პასუხისმგებელი უწყება	პარტნიორი უწყება	შესრულების ანგარიში
					<p>ჩატარდა ტრენინგი, რომელიც შეეხებოდა ცხელ ხაზზე შემოსულ მოქალაქეთა სატელეფონო შეტყობინებაზე რეაგირების სტანდარტული საოპერაციო პროცედურას, ესწრებოდა 44 უფლებამოსილი პირი.</p> <p>13. 2025 წლის 26-27, 30 ივნისსა და 1-4 ივლისს ქ. თბილისში, ქ. ქუთაისში, ქ. აბაშაში, ქ. ქობულეთში და ქ. გურჯაანში ჩატარდა ტრენინგი, რომელიც შეეხებოდა HACCP-ის სისტემის კრიტიკული საკონტროლო წერტილების შესაბამისობის კონტროლი და „შეუსაბამობის ოქმი N" და „ხორცში ტრიქინელას სახელმწიფო კონტროლის სპეციალური წესის დამტკიცების შესახებ", ესწრებოდა 158 უფლებამოსილი პირი.</p> <p>14. 2025 წლის მაისი-ივნისში, სამეგრელო-ზემო სვანეთისა და იმერეთის რეგიონებში გაიმართა შეხვედრა 2017 წლის 28 დეკემბერის საქართველოს მთავრობის №594 დადგენილების „აკვაკულტურის ცხოველის ჯანმრთელობასა და მის პროდუქტებთან დაკავშირებული მოთხოვნები და წყლის ცხოველის ზოგიერთი დაავადების პრევენციისა და კონტროლის წესი „ შესაბამისად ავტორიზაციის განხორციელებასთან და პროცედურებთან დაკავშირებით. აღნიშნულ შეხვედრას დაესწრო 12 სახელმწიფო ვეტერინარი და 16 ბიზნესოპერატორი.</p> <p>15. ENPARD IV პროექტის ფარგლებში მიმდინარე წლის 15 აპრილს, შიდა ქართლის რეგიონში</p>

საქართველოსა და ევროკავშირს შორის ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების (DCFTA-ის) და მის მიღმა ვალდებულებების განხორციელების 2025 წლის შესრულების ანგარიში

აქტივობა	ინდიკატორი	დადასტურების წყარო	პასუხისმგებელი უწყება	პარტნიორი უწყება	შესრულების ანგარიში
					<p>სააგენტოს თანამშრომლებმა გაიარეს თეორიული და პრაქტიკული სწავლება პესტიციდების შემასხურებელი აგრეგატების სერტიფიცირებისა და დაკალიბრების საკითხებზე, რომელიც განსაზღვრულია 1107/2009 წლის ევრორეგულაციის საფუძველზე.</p> <p>16. ENPARD IV პროექტის ფარგლებში მიმდინარე წლის 26-29 მაისს თბილისსა და შიდა ქართლის რეგიონში სურსათის ეროვნული სააგენტოს თანამშრომლებმა გაიარეს თეორიული და პრაქტიკული სწავლება ჩეხი ექსპერტების მიერ ჩატარებულ სამუშაო შეხვედრაზე მცენარეთა დაცვის საშუალებების სახელმწიფო კონტროლის შესახებ.</p> <p>17. 06.04.2025-15.04.2025 ლატვიაში ქ. რიგაში სურსათის დეპარტამენტის უფროსის მოადგილე იმყოფებოდა „ცხოველური წარმოშობის არასასურსათო დანიშნულების პროდუქტების (ცხოველური ნარჩენების) საერთაშორისო სტანდარტებით განკარგვის/მართვის“ მიმართულებით დაგეგმილი სასწავლო ვიზიტით (გამოცდილების გაზიარება, ლატვიის სურსათისა და ვეტერინარიის სამმართველო);</p> <p>18. 2025 წლის 16-17 ივლისს, გაიმართა ევროკავშირის მარეგულირებელი ჩარჩოს შესახებ ტრენინგი: “გენმოდიფიცირებული ცხოველის საკვების, მედიკამენტური ცხოველის საკვების, ცხოველური წარმოშობის ნარჩენებისა და HACCP აუდიტის შესახებ ცხოველის საკვების საწარმოებში”. ტრენინგს დაესწრო 18 სახელმწიფო ვეტერინარი.</p>

საქართველოსა და ევროკავშირის შორის ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების (DCFTA-ის) და მის მიღმა ვალდებულებების განხორციელების 2025 წლის შესრულების ანგარიში

აქტივობა	ინდიკატორი	დადასტურების წყარო	პასუხისმგებელი უწყება	პარტნიორი უწყება	შესრულების ანგარიში
					<p>19. აკვაკულტურის სფეროში მიღებული ახალი საკანონმდებლო რეგულაციის, კერძოდ, რისკების მართვის სისტემის აღსრულების საკითხების (საქართველოს მთავრობის №594 დადგენილება), ასევე, აკვაკულტურის მიმართულებით განხორციელებული ღონისძიებები და მიღებული შედეგები განხილულ იქნა შემდეგ შეხვედრებზე:</p> <ul style="list-style-type: none"> • 31 ივლისს გაიმართა 2 შეხვედრა ხელვაჩაურის და ხულოს მუნიციპალიტეტებში, რომელსაც ესწრებოდა რეგიონის 8 თანამშრომელი. • 15-16-17 აგვისტოს გაიმართა 3 შეხვედრა ამბროლაურის, ონის, ცაგერის მუნიციპალიტეტებში, რომელსაც ესწრებოდა რეგიონის 12 თანამშრომელი. <p>20. ENPARD IV პროექტის ფარგლებში მიმდინარე წლის 2-3 ივლისს NEA თანამშრომლებსა და ჩეხ ექსპერტებს შორის გაიმართა სამუშაო შეხვედრა „პესტიციდების მდგრადი გამოყენების მისაღწევად გასატარებელი ღონისძიების სამოქმედო გეგმის (2025-2029 წწ.)“ ფარგლებში, პესტიციდების პროფესიონალი მომხმარებლებისათვის განკუთვნილი სასწავლო პროგრამის განხილვის მიზნით.</p> <p>21. ENPARD IV პროექტის ფარგლებში მიმდინარე წლის 14 და 26 აგვისტოს სააგენტოსა და საბაჟოს თანამშრომლებისათვის და ჩეხი ექსპერტების მონაწილეობით გაიმართა შეხვედრები თემაზე - „მცენარეთა ჯანმრთელობის რეგულაციების განხორციელების შესაძლებლობების მიმოხილვა საქართველოში“.</p>

საქართველოსა და ევროკავშირის შორის ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების (DCFTA-ის) და მის მიღმა ვალდებულებების განხორციელების 2025 წლის შესრულების ანგარიში

აქტივობა	ინდიკატორი	დადასტურების წყარო	პასუხისმგებელი უწყება	პარტნიორი უწყება	შესრულების ანგარიში
					<p>22. ENPARD IV პროექტის ფარგლებში მიმდინარე წლის 22 და 25 სექტემბერს NFA თანამშრომლებმა მონაწილეობა მიიღეს ჩეხეთის რესპუბლიკის ზედამხედველობისა და კვლევითი ინსტიტუტის (UKZUZ)-ის ექსპერტების ტრენინგში თემაზე პესტიციდების მდგრადი გამოყენების შესახებ.</p> <p>23. 5-11 ოქტომბერს ალბანეთის ქ. ტირანაში სურსათის დეპარტამენტის 2 უფლებამოსილმა პირმა გაიარა ტრენინგი თემაზე: „სურსათის უვნებლობა და კრიზისებისთვის მზადყოფნა“ დასწრების მიზნით (BTSF).</p> <p>24. 13-17 ოქტომბერს ესპანეთში ქ. მადრიდში სურსათის დეპარტამენტის უფლებამოსილი პირი დაესწრო ტრენინგს თემაზე: „გეოგრაფიული აღნიშვნებისა და ადგილწარმოშობის დასახელებების კანონმდებლობა და კონტროლი“ (BTSF).</p> <p>25. 17 ნოემბერს ქ. თელავში ჩატარდა ტრენინგი, თემაზე: ცხელ ხაზზე შემოსულ მოქალაქეთა სატელეფონო შეტყობინებაზე რეაგირების სტანდარტული საოპერაციო პროცედურას, ესწრებოდა 11 უფლებამოსილი პირი.</p> <p>26. მცენარეთა დაცვის დეპარტამენტის თანამშრომლები დაესწრნენ ტრენინგს ქ. კრაკოვში, პოლონეთში, BTSF მცენარეთა სიჯანსაღის ზედამხედველობისათვის რისკებზე დაფუძნებული კვლევების სტატისტიკის გამოყენება, EFSA-ს (ევროპის სასურსათო უსაფრთხოების ორგანო) მეთოდოლოგიის მიხედვით.</p>

საქართველოსა და ევროკავშირს შორის ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების (DCFTA-ის) და მის მიღმა ვალდებულებების განხორციელების 2025 წლის შესრულების ანგარიში

აქტივობა	ინდიკატორი	დადასტურების წყარო	პასუხისმგებელი უწყება	პარტნიორი უწყება	შესრულების ანგარიში
					<p>27. ENPARD IV პროექტის ფარგლებში მიმდინარე წლის 1-2 ოქტომბერს NFA თანამშრომლებმა მონაწილეობა მიიღეს ჩეხეთის რესპუბლიკის ზედამხედველობისა და კვლევითი ინსტიტუტის (UKZUZ)-ის ექსპერტების ტრენინგში თემაზე: „მცენარეთა ჯანმრთელობის რეგულაციების განხორციელების შესაძლებლობების მიმოხილვა საქართველოში“.</p> <p>28. ENPARD IV პროექტის ფარგლებში მიმდინარე წლის 6-8 და 28 ოქტომბერს NFA თანამშრომლებმა მონაწილეობა მიიღეს ჩეხეთის რესპუბლიკის ზედამხედველობისა და კვლევითი ინსტიტუტის (UKZUZ)-ის ექსპერტების სემინარზე თემაზე: ოფიციალური კონტროლი მცენარეთა დაცვის საშუალებების (PPP) სფეროში.</p> <p>29. 8-12 დეკემბერს, პოლონეთში, BTSF ტრენინგს თემაზე: BTSF training course on Animal Welfare during Transport. დაესწრო NFA-ის 2 თანამშრომელი.</p> <p>30. 19-20 დეკემბერს ზაგრებში გამართულ ტრენინგს თემაზე: Fostering Responsible Dog and Cat Ownership and Welfare in Europe. დაესწრო NFA-ის 2 თანამშრომელი;</p> <p>31. 2025 წლის იანვარი-მარტის პერიოდში სსიპ სოფლის მეურნეობის სახელმწიფო ლაბორატორიის ათმა თანამშრომელმა გაიარა სწავლება - პროფესიული ტესტირება საქართველოში - შესავალი EN ISO/IEC 17043-2023</p>

საქართველოსა და ევროკავშირს შორის ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების (DCFTA-ის) და მის მიღმა ვალდებულებების განხორციელების 2025 წლის შესრულების ანგარიში

აქტივობა	ინდიკატორი	დადასტურების წყარო	პასუხისმგებელი უწყება	პარტნიორი უწყება	შესრულების ანგარიში
					<p>32. ლაბორატორიის ცხოველთა დაავადებების დიაგნოსტიკის დეპარტამენტის ერთმა თანამშრომელმა იტალიაში, ქ. ბრეშაში გაიარა სწავლება თემაზე: თურქულის ვირუსის დიაგნოსტიკის მეთოდების შესწავლა; სწავლება ორგანიზებული იყო ევროპული კომისიისა და ISZLER-ის (ლომბარდიისა და ემილია-რომანიის ექსპერიმენტული ზოოპრაქტიკული ინსტიტუტი) მიერ.</p> <p>33. ლაბორატორიის სურსათის კვლევის დეპარტამენტის თანამშრომელმა გაიარა სწავლება ქ. შტუდგარდში, გერმანიაში NSF Euro Consultants-ის ორგანიზებულ BTSF ხარისხის მართვის მოთხოვნების (GLP და ISO 17025) და ხილ-ბოსტნეულში ნიტრატების და ქიმიური ნარჩენების ლაბორატორიული კვლევების პრაქტიკულ სწავლებაში.</p> <p>34. ლაბორატორიის სურსათის კვლევის დეპარტამენტის თანამშრომელმა გაიარა პრაქტიკული სწავლება ალერგენების კვლევაში.</p> <p>35. ლაბორატორიის მცენარეთა მავნე ორგანიზმების დეპარტამენტის თანამშრომელმა მონაწილეობა მიიღო ჰუბეის (ჩინეთი) ბიოტექნოლოგიის პროფესიულ კოლეჯში ჩატარებულ სწავლებაში: „სოფლის მეურნეობის ტექნოლოგიები.“</p>

საქართველოსა და ევროკავშირის შორის ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების (DCFTA-ის) და მის მიღმა ვალდებულებების განხორციელების 2025 წლის შესრულების ანგარიში

აქტივობა	ინდიკატორი	დადასტურების წყარო	პასუხისმგებელი უწყება	პარტნიორი უწყება	შესრულების ანგარიში
					<p>SLA-ს 10 სპეციალისტმა მიიღო მონაწილეობა ტრენინგში - „კვალიფიკაციის ტესტირება საქართველოში - შესავალი EN ISO/IEC 17043-2023“.</p> <p>SLA-ს ცხოველთა დაავადებათა დიაგნოსტიკის დეპარტამენტის ერთი სპეციალისტი დაესწრო ტრენინგს - „FMDV დიაგნოსტიკის მეთოდები“, რომელიც ორგანიზებული იყო ევროკომისიისა და ISZLER-ის მიერ, იტალიის ქალაქ ბრეშაში.</p> <p>სურსათის უვნებლობის დეპარტამენტის ერთი სპეციალისტი მონაწილეობდა NSF Euro Consultants-ის მიერ ორგანიზებულ ტრენინგში შტუტგარტში, გერმანია. ტრენინგი მოიცავდა ხარისხის მართვის მოთხოვნებს (GLP და ISO 17025) და ხილსა და ბოსტნეულში ნიტრატებისა და ქიმიური ნარჩენების ლაბორატორიული ტესტირების პრაქტიკულ აქტივობებს.</p>
4.3.3. სანიტარული და ფიტოსანიტარული მიმართულებით ლაბორატორიული დიაგნოსტიკის ახალი მეთოდების დანერგვა ან/და აკრედიტაციის სფეროს გაფართოება	ლაბორატორიაში დანერგილი და/ან აკრედიტირებული 15 კვლევის მეთოდი, რომლებიც შემდგომ დაემატება ლაბორატორიული მომსახურების (კვლევების)	DCFTA-ს განხორციელების სამოქმედო გეგმის შესრულების წლიური ანგარიში www.DCFTA.gov.ge	საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო	სსიპ - სოფლის მეურნეობის სახელმწიფო ლაბორატორია	<p>მცენარეთა მავნე ორგანიზმების დიაგნოსტიკის დეპარტამენტში დაინერგა 17 ახალი მეთოდი:</p> <ol style="list-style-type: none"> ჩინური ხარაბუხას - <i>Anoplophora cinensis</i> - ს მორფოლოგიური იდენტიფიკაცია; <i>Xiphinema vuittenezi</i> -ს მორფოლოგიურ-მორფომეტრიული დახასიათება და იდენტიფიკაცია; ლენცოფას (<i>Hyoscyamus niger</i> L.) მორფოლოგიური იდენტიფიკაცია; <i>Pseudomonas viridiflava</i> იდენტიფიკაცია პოლიმერაზული ჯაჭვური რეაქციის მეთოდით;

საქართველოსა და ევროკავშირის შორის ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების (DCFTA-ის) და მის მიღმა ვალდებულებების განხორციელების 2025 წლის შესრულების ანგარიში

აქტივობა	ინდიკატორი	დადასტურების წყარო	პასუხისმგებელი უწყება	პარტნიორი უწყება	შესრულების ანგარიში
	ჩამონათვალს (პრეისკურანტს)				<p>5. პომიდვრის ყავისფერი ლაქიანობის ვირუსის (Tomato brown rugose fruit virus-ToBRFV) გამოვლენა ორმაგი ანტისხეულის სენდვიჩ, ფერმენტდაკავშირებული იმუნოსორბენტული ანალიზის გამოყენებით (DAS ELISA);</p> <p>6. <i>Pseudomonas viridiflava</i> იდენტიფიკაცია პოლიმერაზულ ჯაჭვური რეაქციის მეთოდით;</p> <p>7. მოცვის დაავადების გამომწვევის <i>Diaporthe vaccinii</i>-ის გამოვლენა და მორფოლოგიური იდენტიფიკაცია;</p> <p>8. ვაშლის ქერქის კიბოს გამომწვევი <i>Neofabraea alba</i>-ს და ვაშლის ანთრაქნოზის გამომწვევის <i>Neofabraea malicorticis</i> გამოვლენა და მორფოლოგიური იდენტიფიკაცია;</p> <p>9. ციტრუსის ფესვის გალიანი ნემატოდის <i>Meloidogyne indica</i>-ს მორფოლოგიურ-მორფომეტრული დახასიათება და იდენტიფიკაცია;</p> <p>10. ატმის ნაყოფჭამიას- <i>Carposina sasakii</i> მორფოლოგიური იდენტიფიკაცია;</p> <p>11. მავნე ხვატარების იდენტიფიკაცია;</p> <p>12. ქლიავის ჯუჯა ვირუსის (Prune dwarf virus-PDV) გამოვლენა ორმაგი ანტისხეულის სენდვიჩ, ფერმენტდაკავშირებული იმუნოსორბენტული ანალიზის გამოყენებით (DAS ELISA);</p>

საქართველოსა და ევროკავშირის შორის ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების (DCFTA-ის) და მის მიღმა ვალდებულებების განხორციელების 2025 წლის შესრულების ანგარიში

აქტივობა	ინდიკატორი	დადასტურების წყარო	პასუხისმგებელი უწყება	პარტნიორი უწყება	შესრულების ანგარიში
					<p>13. ჯიჯლაყას (<i>Amaranthus retroflexus</i> L.) მორფოლოგიური რკვევა 10;</p> <p>14. ფესვის ტეხასური სიდამპლის გამომწვევის <i>Phymatotrichopsis omnivora</i>-ს გამოვლენა და მორფოლოგიური იდენტიფიკაცია;</p> <p>15. ყანის ჭლექის (<i>Fallopia convolvulus</i> (L.) Á.Löve) მორფოლოგიური რკვევა;</p> <p>16. <i>Curtobacterium flaccumfaciens</i> pv. <i>flaccumfaciens</i> გამოვლენა და მორფოლოგიურ-ბიოქიმიური იდენტიფიკაცია;</p> <p>17. პეპინო მოზაიკ ვირუსის იდენტიფიკაცია იმუნოფერმენტული (ELISA) მეთოდით.</p> <p>სურსათის კვლევის დეპარტამენტში დაინერგა 5 ახალი მეთოდი:</p> <ol style="list-style-type: none"> 1. აფლატოქსინი B1-ის განსაზღვრა ცხოველთა საკვებში; 2. ფტორქინოლონების ჯგუფის ანტიბიოტიკების განსაზღვრა თავლში სითხურ ქრომატოგრაფთან შეუღლებული სამმაგ კვადრუპოლიანი მასსპექტრომეტრის (TSQ QUANTIS) საშუალებით; 3. პესტიციდების ნარჩენების განსაზღვრა მცენარეული და ცხოველური წარმოშობის ცხოველთა საკვებში QuEChers-ის მეთოდით GC/MS/MS და LC/MS/MS-ის გამოყენებით;

საქართველოსა და ევროკავშირს შორის ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების (DCFTA-ის) და მის მიღმა ვალდებულებების განხორციელების 2025 წლის შესრულების ანგარიში

აქტივობა	ინდიკატორი	დადასტურების წყარო	პასუხისმგებელი უწყება	პარტნიორი უწყება	შესრულების ანგარიში
					<p>4. აფლატოქსინი M1-ის განსაზღვრა რძის ფხვნილში მაღალეფექტური სითხური ქრომატოგრაფის გამოყენებით;</p> <p>5. Toluidine საღებავის განსაზღვრა საკვებ პროდუქტებში მაღალეფექტური სითხური ქრომატოგრაფის გამოყენებით.</p> <p>ცხოველთა დაავადებების დიაგნოსტიკის დეპარტამენტში დაინერგა 4 ახალი მეთოდი, შესაბამისად:</p> <p>1. ბორელიოზის საწინააღმდეგო ანტისხეულების ხარისხობრივი (თვისობრივი) განსაზღვრა ცხოველთა შრატში ELISA მეთოდით;</p> <p>2. მრკ-ს, ცხვრის და თხის პლაზმასა და შრატში კაპრიპოქსის ვირუსების (CPV): ნოდულარული დერმატიტის ვირუსის (LSDV), თხის ყვავილის ვირუსის (GTPV) და ცხვრის ყვავილის ვირუსის (SPPV) საწინააღმდეგო ანტისხეულების აღმომჩენი ორმაგი ანტიგენ ELISA</p> <p>3. ღორის ვეზიკულური დაავადება- ELISA მეთოდი;</p> <p>4. ფუტკრის ტროპილელაპსი-PCR მეთოდი.</p>

საქართველოსა და ევროკავშირის შორის ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების (DCFTA-ის) და მის მიღმა ვალდებულებების განხორციელების 2025 წლის შესრულების ანგარიში

აქტივობა	ინდიკატორი	დადასტურების წყარო	პასუხისმგებელი უწყება	პარტნიორი უწყება	შესრულების ანგარიში
ამოცანა 4.4.	სანიტარიული, ფიტოსანიტარიული და ვეტერინარული სასაზღვრო კონტროლის განხორციელება				
4.4.1 სანიტარიული, ფიტოსანიტარიული და ვეტერინარული სასაზღვრო კონტროლის პროცედურების განხორციელება	განხორციელებული პროცედურების ფიტოსანიტარიული კონტროლის პროცედურების რაოდენობა 25 000; ვეტერინარული კონტროლის არაცხოველური სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის კონტროლის - 4500	განხორციელებული პროცედურების შედეგები ასახულია კონტროლის აქტებში - შესაბამის პროგრამულ მოდულში	სსიპ შემოსავლები ს სამსახური	საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლი ს მეურნეობის სამინისტროს სურსათის ეროვნული სააგენტო	ვეტერინარული სასაზღვრო კონტროლი განხორციელდა - 19924 სასაქონლო პარტიის მიმართ ფიტოსანიტარიული სასაზღვრო კონტროლი განხორციელდა - 34626 სასაქონლო პარტიის მიმართ არაცხოველური წარმოშობის სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის სასაზღვრო კონტროლი განხორციელდა - 4915 სასაქონლო პარტიის მიმართ
მიზანი 5.	საბაჟო სფეროში ევროკავშირის კანონმდებლობასა და ევროკავშირის საუკეთესო პრაქტიკასთან დაახლოება				
ამოცანა 5.1.	საქართველოს ავტორიზებული ეკონომიკური ოპერატორების (AEO) პროგრამის შემდგომი დაახლოება ევროკავშირის პროგრამასთან				
5.1.1 AEO პროგრამის შესაძლებლობების განვითარება	AEO პროგრამის განვითარების მიზნით	უწყების წლიური ანგარიში rs.ge	სსიპ შემოსავლები ს სამსახური		მიმდინარეობს დონორი ორგანიზაციების იდენტიფიცირება AEO პროგრამის შესაძლებლობების განვითარებაზე მიმართული ტექნიკური დახმარების შეხვედრების ორგანიზების მიზნით. პირველ სამ

საქართველოსა და ევროკავშირის შორის ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების (DCFTA-ის) და მის მიღმა ვალდებულებების განხორციელების 2025 წლის შესრულების ანგარიში

აქტივობა	ინდიკატორი	დადასტურების წყარო	პასუხისმგებელი უწყება	პარტნიორი უწყება	შესრულების ანგარიში
	გამართული ტექნიკური მხარდაჭერის შეხვედრები				<p>კვარტალში დარეგისტრირდა ხუთი ახალი AEO (მათ შორის ორი AEO-S), მიმდინარე ეტაპზე პროგრამაში რეგისტრირებულია 30 AEO კომპანია, მათ შორის 22 AEO-S.</p> <p>ლიეტუვაში გაიმართა აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნების საბაჟო წარმომადგენლების სასწავლო ვიზიტი ლიტვის საბაჟოზე. ღონისძიების ფარგლებში, საქართველოს საბაჟოს წარმომადგენლებს შესაძლებლობა მიეცათ, გაცნობოდნენ ლიეტუვის საბაჟო ადმინისტრაციის ავტორიზებული ეკონომიკური ოპერატორის (AEO) პროგრამის ფუნქციონალურობასა და სარგებელს.</p>
ამოცანა 5.2.	„ტრანზიტის საერთო პროცედურების შესახებ“ (CTC) და „ერთიანი ადმინისტრირების დოკუმენტის“ (SAD) კონვენციებთან მიერთების მიზნით “ახალი კომპიუტერიზებული სატრანზიტო სისტემის” “NCTS” იმპლემენტაციისთვის საინფორმაციო ტექნოლოგიური მხარდაჭერა				
5.2.1. „ახალი კომპიუტერიზებული სატრანზიტო სისტემის (NCTS)” (New Computerized Transit System) ამოქმედება	„ახალი კომპიუტერიზებული სატრანზიტო სისტემა (NCTS)” (New Computerized Transit System) ამოქმედებულია	Rs.ge; https://www.ncts.rs.ge/#/home წლიური ანგარიში/პრესრელიზი;	სსიპ შემოსავლები ს სამსახური	საქართველოს ფინანსთა სამინისტრო;	„ტრანზიტის საერთო პროცედურების შესახებ“ (CTC) და „ერთიანი ადმინისტრირების დოკუმენტის“ (SAD) კონვენციების წევრი ქვეყნების მიმართულებით და უკან, სატრანზიტო გადაზიდვები ხორციელდება ახალი კომპიუტერიზებული სატრანზიტო სისტემის (NCTS) მეშვეობით 2025 წლის 1 თებერვლიდან.

საქართველოსა და ევროკავშირის შორის ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების (DCFTA-ის) და მის მიღმა ვალდებულებების განხორციელების 2025 წლის შესრულების ანგარიში

აქტივობა	ინდიკატორი	დადასტურების წყარო	პასუხისმგებელი უწყება	პარტნიორი უწყება	შესრულების ანგარიში
5.2.2. „ახალი კომპიუტერიზებული სატრანზიტო სისტემის (NCTS)“ (New Computerized Transit System) განახლება (მე-6 ფაზა)	„ახალი კომპიუტერიზებული სატრანზიტო სისტემა (NCTS)“ (New Computerized Transit System) განახლებული ა მე-6 ფაზის სპეციფიკაციების შესაბამისად	Rs.ge; https://www.ncts.rs.ge/#/home წლიური ანგარიში/პრესრელიზი;	სსიპ შემოსავლები ს სამსახური	საქართველოს ფინანსთა სამინისტრო;	ახალი კომპიუტერიზებული სატრანზიტო სისტემის მე-6 ფაზა ამოქმედდა 2025 წლის 20 აგვისტოდან.
მიზანი 6.	დაფუძნების, მომსახურებით ვაჭრობისა და ელექტრონული კომერციის სფეროში საკანონმდებლო და ინსტიტუციური დაახლოება ევროკავშირის შესაბამის კანონმდებლობასთან				
ამოცანა 6.1.	ტელეკომუნიკაციების, ელ. კომერციისა და ფოსტის მომსახურების სფეროებში ევროპული საუკეთესო პრაქტიკის შესაბამისი სამართლებრივი ბაზის შემუშავება და საფოსტო ბაზრის განვითარების ხელშეწყობა				
6.1.1. ასოცირების შეთანხმების XV-B და XV-C დანართების განახლება	მიღებული განახლებული XV-B და XV-C დანართები	www.matsne.gov.ge www.DCFTA.gov.ge	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო	საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია	ევროკომისიასთან შედგა შეთანხმება ასოცირების შეთანხმების დანართებში XV-B (სატელეკომუნიკაციო მომსახურებისათვის განსაზღვრული წესები) და XV-C (საფოსტო და საკურიერო მომსახურებებისთვის მოქმედი წესები) ცვლილებების შეტანაზე; ორივე დანართთან მიმართებით მხარეების მიერ ცვლილებების თაობაზე მიღებულია გადაწყვეტილება. თუმცა ცვლილებების შეტანის მიზნით, შემდგომი სამართლებრივი პროცედურების განხორციელება შეჩერებულია.

საქართველოსა და ევროკავშირის შორის ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების (DCFTA-ის) და მის მიღმა ვალდებულებების განხორციელების 2025 წლის შესრულების ანგარიში

აქტივობა	ინდიკატორი	დადასტურების წყარო	პასუხისმგებელი უწყება	პარტნიორი უწყება	შესრულების ანგარიში
6.1.2. საქართველოს ელექტრონული კომუნიკაციების კანონმდებლობის ევროპულ ელექტრონულ საკომუნიკაციო კოდექსთან (EECC) დაახლოება	მომზადებული საკანონმდებლო პროექტები	dcfta.gov.ge	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო	საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია	<p>მომზადებულია ცვლილებების პროექტი საქართველოს კანონში „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“, ევროპარლამენტის შემდეგ დირექტივებთან დაახლოების მიზნით:</p> <ul style="list-style-type: none"> • ელექტრონული კომუნიკაციების სექტორში პერსონალური მონაცემების დამუშავების და კონფიდენციალურობის დაცვის შესახებ (2002/58/EC); • ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელებისა და სერვისების ავტორიზაციის შესახებ (2002/20/EC); • ელექტრონულ საკომუნიკაციო ქსელებთან და მათთან დაკავშირებულ ობიექტებთან წვდომისა და ურთიერთდაკავშირების შესახებ (2002/19/EC); • ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელებისა და სერვისების საერთო მარეგულირებელი ჩარჩოს შესახებ (2002/21/EC). <p>ამასთან, სატელეკომუნიკაციო უნივერსალური მომსახურების დანერგვის მიზნით, მომზადებულია ევროპული ელექტრონული საკომუნიკაციო კოდექსის (EECC) მიხედვით ცვლილებების პროექტი საქართველოს კანონში „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“.</p> <p>თუმცა, ევროკავშირთან მოლაპარაკებების შედეგად, იგეგმება XV-B დანართის განახლება, რომლის შესაბამისადაც ზემოაღნიშნული დირექტივებით განსაზღვრული საკითხები იმპლემენტირებული იქნება ევროპული ელექტრონული საკომუნიკაციო კოდექსის (EECC) შესაბამისად. დანართი XV-B-ის განახლების თაობაზე მიღებულია გადაწყვეტილება. თუმცა, ცვლილებების შეტანის მიზნით, შემდგომი</p>

საქართველოსა და ევროკავშირის შორის ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების (DCFTA-ის) და მის მიღმა ვალდებულებების განხორციელების 2025 წლის შესრულების ანგარიში

აქტივობა	ინდიკატორი	დადასტურების წყარო	პასუხისმგებელი უწყება	პარტნიორი უწყება	შესრულების ანგარიში
					სამართლებრივი პროცედურების განხორციელება შეჩერებულია.
6.1.3. ევროკომისიის 2024 წლის გაფართოების ანგარიშის რეკომენდაციების შესრულების მიზნით ყოვლისმომცველი ციფრული სტრატეგიის შემუშავება, ევროკავშირის სტრატეგიების Shaping Europe's Digital Future და „ციფრული კომპასის“ შესაბამისად	დამტკიცებულ ი საქართველოს ციფრული ეკონომიკისა და საინფორმაციო საზოგადოების განვითარების 2025-2030 წლების ეროვნული სტრატეგია და განხორციელების 2025-2027 წლების სამოქმედო გეგმა	საქართველოს საკანონმდებლო მაცნე matsne.gov.ge	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო		„საქართველოს ციფრული ეკონომიკისა და საინფორმაციო საზოგადოების განვითარების 2025 – 2030 წლების სტრატეგიისა და საქართველოს ციფრული ეკონომიკისა და საინფორმაციო საზოგადოების განვითარების 2025 – 2030 წლების სტრატეგიის განხორციელების 2025 – 2027 წლების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2025 წლის 21 თებერვლის N49 დადგენილებით დამტკიცდა „საქართველოს ციფრული ეკონომიკისა და საინფორმაციო საზოგადოების განვითარების 2025 – 2030 წლების სტრატეგია“, და „საქართველოს ციფრული ეკონომიკისა და საინფორმაციო საზოგადოების განვითარების 2025 – 2030 წლების სტრატეგიის განხორციელების 2025 – 2027 წლების სამოქმედო გეგმა. სტრატეგია და მისი სამოქმედო გეგმა მომზადებულია ევროკავშირის სტრატეგიების - Shaping Europe's Digital Future და „ციფრული კომპასის“ შესაბამისად.
6.1.4. საქართველოს საფოსტო კანონმდებლობის დაახლოება ევროკავშირის კანონმდებლობასთან	მიღებული "ფოსტის შესახებ" საქართველოს კანონი	საქართველოს საკანონმდებლო მაცნე matsne.gov.ge	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო		ევროკავშირთან მოლაპარაკებების შედეგად, შეთანხმება შედგა XV-C დანართის განახლებაზე (რომელზეც მიღებული იყო გადაწყვეტილება და იგეგმებოდა, ცვლილებების შეტანის მიზნით, შემდგომი სამართლებრივი პროცედურების განხორციელება, რომელიც შეჩერდა), რომლის შესაბამისად, 97/67/EC amended by Directives

საქართველოსა და ევროკავშირის შორის ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების (DCFTA-ის) და მის მიღმა ვალდებულებების განხორციელების 2025 წლის შესრულების ანგარიში

აქტივობა	ინდიკატორი	დადასტურების წყარო	პასუხისმგებელი უწყება	პარტნიორი უწყება	შესრულების ანგარიში
					2002/39/EC, 2008/6/EC დირექტივებზე დამატებით, საქართველო აიღებდა საზღვრისპირა ამანათების მიწოდების შესახებ რეგულაციებთან ((EU) 2018/644, (EU) 2018/1263) დაახლოვების ვალდებულებას. ეს უკანასკნელი Facility for the Implementation of the EU – Georgia Association Agreement-ის ტექნიკური დახმარების ფარგლებში უკვე აისახა „ფოსტის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტში. უახლოეს პერიოდში დაგეგმილია კანონპროექტისა და მისი თანმდევი კანონპროექტების წარდგენა საქართველოს მთავრობისთვის.
მიზანი 7.	საჯარო შესყიდვების სფეროში საკანონმდებლო და ინსტიტუციური დაახლოება ევროკავშირის შესაბამის კანონმდებლობასთან და ინსტიტუციური შესაძლებლობების განვითარება				
ამოცანა 7.1.	საჯარო შესყიდვების შესახებ ახალი კანონის და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების მიღება და ამ თემატიკასთან დაკავშირებული სახელმძღვანელოების, მეთოდური მითითებების და ინსტრუქციების შემუშავება				
7.1.1. საჯარო შესყიდვების სფეროში საკანონმდებლო ცვლილებების მომზადება და განხორციელება ასოცირების შეთანხმების, XVI-C, XVI-D, XVI-E, XVI-F, XVI-G, XVI-H, XVI-I, XVI-J, XVI-K დანართების შესაბამისად	მიღებული საკანონმდებლო ცვლილებები	საქართველოს საკანონმდებლო მაცნე matsne.gov.ge	სსიპ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო; ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო;	საჯარო და კერძო თანამშრომლობის სააგენტო	საჯარო შესყიდვების შესახებ კანონის ამოქმედებამდე, ევროკავშირის ვალდებულებებთან დაახლოების მიზნით მომზადდა სახელმწიფო შესყიდვების შესახებ კანონში ცვლილებები, რომელიც მიიღო საქართველოს პარლამენტმა 2025 წლის 12 ნოემბერს. განხორციელებული ცვლილებების თანახმად: • დადგინდა „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მოქმედების სფეროდან დამატებითი გამონაკლისები იმ სახელმწიფო შესყიდვებზე, რომლებიც ეხება საარბიტრაჟო, მედიაციის ან სხვადასხვა სახის იურიდიულ მომსახურებებს. • 2026 წლის 1 იანვრიდან, ბაზრის კვლევა შემსყიდველი ორგანიზაციებისთვის სავალდებულო

საქართველოსა და ევროკავშირს შორის ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების (DCFTA-ის) და მის მიღმა ვალდებულებების განხორციელების 2025 წლის შესრულების ანგარიში

აქტივობა	ინდიკატორი	დადასტურების წყარო	პასუხისმგებელი უწყება	პარტნიორი უწყება	შესრულების ანგარიში
					<p>გახდება, ასევე ამოქმედდება ელექტრონული ტენდერის ჩატარებისას ვადების შერჩევასთან და ხელოვნურ დაყოფასთან დაკავშირებული ცვლილებები, რაც გავრცელდება 2026 წლის 1 იანვრის შემდგომ გამოცხადებულ სახელმწიფო შესყიდვებზე.</p> <ul style="list-style-type: none"> • 2026 წლის 1 ივნისიდან შეიქმნება ახალი საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ცენტრალური შემსყიდველი ორგანო, და ამოქმედდება მის ფუნქციონირებასთან დაკავშირებული კანონმდებლობით გათვალისწინებული დებულებები (რომლებიც გავრცელდება 2026 წლის 1 ივნისიდან გამოცხადებულ კონსოლიდირებულ ტენდერებზე).
<p>7.1.2. საჯარო შესყიდვების შესახებ კანონიდან გამომდინარე კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების შემუშავება</p>	<p>შესაბამისი კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების პროექტების მომზადება</p>	<p>procurement.gov.ge; spa.ge;</p>	<p>სსიპ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო</p>		<p>სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოში აქტიური მუშაობის შედეგად და უცხოელი ექსპერტის მხარდაჭერით, შემუშავდა „საჯარო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული 33 კანონქვემდებარე ნორმატიული აქტი, რომელიც უნდა ამოქმედდეს 2027 წლის 1 იანვრიდან. აქედან გამომდინარე, შექმნილია სამუშაო ჯგუფი, ნორმატიული აქტების ევროდირექტივებთან დაახლოებისთვისა და ევროკომისიის მიერ გამოთქმული შენიშვნების ასახვის მიზნით.</p> <p>„პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის და „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის და ნორმატიული აქტებით დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტომ დაამტკიცა პერსონალურ მონაცემთა დაცვის პოლიტიკის დოკუმენტი. პოლიტიკის დოკუმენტის მიზანია</p>

საქართველოსა და ევროკავშირის შორის ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების (DCFTA-ის) და მის მიღმა ვალდებულებების განხორციელების 2025 წლის შესრულების ანგარიში

აქტივობა	ინდიკატორი	დადასტურების წყარო	პასუხისმგებელი უწყება	პარტნიორი უწყება	შესრულების ანგარიში
					<p>სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში პერსონალურ მონაცემთა დამუშავება/დაცვა განხორციელდეს კანონშესაბამისად, საუკეთესო ევროპული პრაქტიკის მიხედვითა და კანონით გათვალისწინებული ნორმებისა და თანამედროვე მოთხოვნების დაცვით.</p> <p>საქართველოს პარლამენტის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომიტეტთან არსებული ბიზნეს სექტორთან მომუშავე სამუშაო ჯგუფის ფარგლებში, მიმდინარე წლის 9 ივლისს, გაიმართა სამუშაო შეხვედრა მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულების ორგანიზაციებთან. აღნიშნულ სამუშაო შეხვედრაზე, სხვა საკითხებთან ერთად განიხილეს, „საჯარო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის ფარგლებში, მდგრადი საჯარო შესყიდვების უზრუნველყოფის მიზნით, შესაბამისი კანონქვემდებარე აქტის შემუშავების პროცესში კოორდინაციის აუცილებლობის საკითხი.</p>
<p>7.1.3. საჯარო შესყიდვების შესახებ კანონიდან გამომდინარე სახელმძღვანელოების, მეთოდური მითითებებისა და ინსტრუქციების შემუშავება</p>	<p>მომზადებულ ი და გამოქვეყნებული მეთოდური მითითებები, სახელმძღვანელოები და ინსტრუქციები</p>	<p>სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს e-Newsletter; procurement.gov.ge; spa.ge</p>	<p>სსიპ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო</p>		<p>სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო პერმანენტულად აგრძელებს მუშაობას ახალი სახელმძღვანელოების, მეთოდური მითითებებისა და ინსტრუქციების შემუშავებაზე, რაც ხელს შეუწყობს სახელმწიფო შესყიდვების ახალი პროცედურების და ინსტრუმენტების, აგრეთვე სხვა ახალი დებულებების თაობაზე ცოდნის ზრდას, როგორც ეკონომიკური ოპერატორებისთვის, ასევე შემსყიდველი ორგანიზაციებისთვის.</p>

საქართველოსა და ევროკავშირის შორის ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების (DCFTA-ის) და მის მიღმა ვალდებულებების განხორციელების 2025 წლის შესრულების ანგარიში

აქტივობა	ინდიკატორი	დადასტურების წყარო	პასუხისმგებელი უწყება	პარტნიორი უწყება	შესრულების ანგარიში
ამოცანა 7.2.	სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის მოდერნიზება				
7.2.1. სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის ახალი ელ. სერვისების, პროცედურების და ინსტრუმენტების განვითარება	სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის დამატებითი ცალკეული სერვისები, მოდულები და შესაძლებლობები	მოდერნიზებული სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის (e-Procurement; Electronic Government Procurement system) სატესტო რეჟიმი; სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს წლიური ანგარიში; სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს e-Newsletter; procurement.gov.ge; spa.ge	სსიპ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო	იუსტიციის სამინისტროს სსიპ ციფრული მმართველობის სააგენტო; ფინანსთა სამინისტროს სსიპ საფინანსო-ანალიტიკური სამსახური	<p>სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი სისტემის (ელექტრონული შესყიდვები) ახალი ელექტრონული სერვისების, პროცედურებისა და ინსტრუმენტების შემუშავება უწყვეტად მიმდინარეობს. ის ითვალისწინებს არსებული ელექტრონული სისტემის შემდგომ განვითარებას და საუკეთესო ევროპული პრაქტიკის დანერგვის უზრუნველყოფას.</p> <p>სასწავლო ცენტრის საგამოცდო პროგრამას დაემატა ტრენინგებისა და ტრენერების შეფასების კითხვარი. დამატებითი ძალისხმევა ხორციელდება შედეგებისა და სტატისტიკის დიაგრამული ვიზუალიზაციის შესაქმნელად.</p> <p>გარდა ამისა, განახლდა სასწავლო ცენტრის შეფასების კითხვარი, აღდგა ბრაუზერის მართვა და დაიწყო ახალი ვებსაიტის, emarket.spa.ge-ს, განახლების და გადაწერის პროცესი.</p> <p>საუკეთესო ევროპული პრაქტიკის გათვალისწინებით, საქართველოს ელექტრონული შესყიდვების სისტემაში დანერგილია ახალი ციფრული ბაზრის კვლევის მოდული. ეს საშუალებას აძლევს შემსყიდველ ორგანიზაციებს, ჩაატარონ ბაზრის კვლევა უშუალოდ ელექტრონულ სისტემაში, რითაც დროთა განმავლობაში კიდევ უფრო ხელს უწყობს საქართველოს სახელმწიფო შესყიდვების ეფექტურად განხორციელებას.</p>

საქართველოსა და ევროკავშირს შორის ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების (DCFTA-ის) და მის მიღმა ვალდებულებების განხორციელების 2025 წლის შესრულების ანგარიში

აქტივობა	ინდიკატორი	დადასტურების წყარო	პასუხისმგებელი უწყება	პარტნიორი უწყება	შესრულების ანგარიში
					<p>ელექტრონული შესყიდვების სისტემაში დანერგილია კონტრაქტორი ორგანოების მიერ გამოქვეყნებული კონკრეტული ბაზრის კვლევის განცხადებები, არარეგისტრირებული მიმწოდებლების მიერ ელექტრონული ფოსტით წარდგენილი ბაზრის კვლევის ინფორმაციის ასახვის შესაძლებლობა. გარდა ამისა, არარეზიდენტ და არარეგისტრირებულ მიმწოდებლებს შეუძლიათ ელექტრონული შესყიდვების სისტემის მთავარი გვერდიდან პირდაპირ გაიარონ გამარტივებული რეგისტრაციის პროცესი და მონაწილეობა მიიღონ ბაზრის კვლევის პროცედურებში.</p> <p>ელექტრონულ სისტემაში შემსყიდველი ორგანიზაციების მიერ გამოცხადებულ კონკრეტულ ბაზრის კვლევაში, გაჩნდა სისტემაში არარეგისტრირებული მიმწოდებლების მიერ მეილით მოწოდებული ბაზრის კვლევის შესახებ ინფორმაციის ასახვის შესაძლებლობა. ასევე, არარეზიდენტ და სისტემაში არარეგისტრირებულ მიმწოდებლებს შესაძლებლობა აქვთ ელექტრონული სისტემის მთავარი გვერდიდან გაიარონ მარტივი რეგისტრაცია და მიიღონ მონაწილეობა ბაზრის კვლევაში.</p> <p>ტენდერების ერთიან ელექტრონულ სისტემაში, მიმწოდებლების მიერ მონიშნული საინტერესო CPV კოდებზე შეტყობინებები გაიყო 2 ნაწილად. ბაზრის კვლევის მოდულში გადავიდა ბაზრის კვლევის შეტყობინებები, ხოლო ტენდერების და სხვა დარჩა მთავარ გვერდზე.</p>

საქართველოსა და ევროკავშირის შორის ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების (DCFTA-ის) და მის მიღმა ვალდებულებების განხორციელების 2025 წლის შესრულების ანგარიში

აქტივობა	ინდიკატორი	დადასტურების წყარო	პასუხისმგებელი უწყება	პარტნიორი უწყება	შესრულების ანგარიში
					<p>შეიქმნა სამშენებლო სამუშაოების ფასების პორტალის ვებ-გვერდი - cpp.procurement.gov.ge. ვებ-გვერდზე ნებისმიერ დაინტერესებულ პირს შეუძლია მოიკვლიოს 1 კაც/საათის სარეკომენდაციო სახარჯთაღრიცხვო ღირებულება. აღნიშნული ვებ-გვერდი საწყის ეტაპზეა და ინფორმაცია დაემატება როგორც კვარტალურად, ასევე წლიურად.</p>
ამოცანა 7.3.	ადამიანური რესურსების განვითარება სახელმწიფო შესყიდვების სფეროში				
7.3.1. საჯარო შესყიდვების შესახებ ახალი კანონმდებლობიდან გამომდინარე ტრენინგების განხორციელება სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს მინიმუმ 20 გადამზადებული თანამშრომელი	სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს მინიმუმ 20 გადამზადებული თანამშრომელი	სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს წლიური ანგარიში; სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს e-Newsletter; procurement.gov.ge ; spa.ge	სსიპ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო	GIZ	<p>სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს წარმომადგენლებმა მონაწილეობა მიიღეს ნიდერლანდების სამეფოს ქ. ჰააგაში, 2025 წლის 10-21 მარტს „კანონის უზენაესობის ტრენინგების პროგრამა - The MATRA Rule of Law Training Program“-ში. აღნიშნული პროგრამა ჰელსინკის კომიტეტის, ლეიდენის სამართლის სკოლისა და ჰააგის აკადემიის მიერ არის მხარდაჭერილი, რომელიც ქვეყნის კანონის უზენაესობის სფეროში ინსტიტუციური შესაძლებლობის განვითარებას ისახავს მიზნად.</p> <p>მიმდინარე წლის 18-21 ნოემბერს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოში სტუმრად იმყოფებოდა თურქეთის საჯარო შესყიდვების უწყების (KIK) მისია. ვიზიტის მინაზი იყო ორ უწყებას შორის საჯარო შესყიდვების სფეროში მოწინავე გამოცდილების გაზიარება. ვიზიტის განმავლობაში გაიმართა საქმიანი შეხვედრები, რომლის ფარგლებში მხარეები გაეცნენ ორი ქვეყნის საჯარო შესყიდვების ელექტრონულ სისტემას, მოწინავე გამოცდილებას და მიმდინარე რეფორმებს. აღსანიშნავია, რომ ვიზიტი გაიმართა თურქეთის თანამშრომლობისა და კოორდინაციის სააგენტოს (TIKA) მხარდაჭერით.</p>

საქართველოსა და ევროკავშირის შორის ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების (DCFTA-ის) და მის მიღმა ვალდებულებების განხორციელების 2025 წლის შესრულების ანგარიში

აქტივობა	ინდიკატორი	დადასტურების წყარო	პასუხისმგებელი უწყება	პარტნიორი უწყება	შესრულების ანგარიში
					<p>აღნიშნული მხარდაჭერის ფარგლებში ასევე დაგეგმილია სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს საპასუხო ვიზიტი თურქეთის რესპუბლიკაში და ორ უწყებას შორის პარტნიორული ურთიერთობების კიდევ უფრო გამყარებისათვის ურთიერთანამშრომლობის მემორანდუმის ხელმოწერა.</p> <p>2025 წლის 26-27 ნოემბერს, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ხელმძღვანელმა პირებმა მონაწილეობა მიიღეს ე. სეულში (კორეის რესპუბლიკა) გამართულ საერთაშორისო სემინარში „2025 International Procurement Workshop of the Asia Pacific Public Procurement Network“. სემინარი გაიმართა აზიის განვითარების ბანკის და კორეის რესპუბლიკის საჯარო შესყიდვების უწყების ორგანიზებით. სემინარზე მონაწილეებმა განიხილეს საჯარო შესყიდვების სფეროს განვითარების თანამედროვე ტენდენციები და გამოწვევები.</p> <p>8-11 დეკემბერს, ბუდაპეშტის დიპლომატიური დიალოგის ფარგლებში, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თანამშრომლებმა მონაწილეობა მიიღეს ბუდაპეშტში გამართული სემინარების მეოთხე რაუნდში. ინიციატივის მიზანს წარმოადგენდა საქართველოსა და უნგრეთს შორის პროფესიული და დიპლომატიური ურთიერთობების გაძლიერება, ასევე მონაწილეთათვის უნგრეთის საუკეთესო პრაქტიკის გაცნობა საჯარო ადმინისტრირების, ეკონომიკური განვითარების და ევროკავშირში ინტეგრაციის მიმართულებით. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს წარმომადგენლებმა,</p>

საქართველოსა და ევროკავშირს შორის ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების (DCFTA-ის) და მის მიღმა ვალდებულებების განხორციელების 2025 წლის შესრულების ანგარიში

აქტივობა	ინდიკატორი	დადასტურების წყარო	პასუხისმგებელი უწყება	პარტნიორი უწყება	შესრულების ანგარიში
					<p>შეისწავლეს უნგრეთის ევროკავშირში გაწევრიანების შემდგომი გამოცდილება. სემინარების ფარგლებში განხილული იყო ევროკავშირის სტრუქტურული ფონდების მართვა, ფინანსური დახმარების მექანიზმები, საგადასახადო პოლიტიკა, თაღლითობასთან წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებები, ასევე ინსტიტუციური და საბიუჯეტო ჩარჩოები.</p>
<p>7.3.2. საჯარო შესყიდვების შესახებ ახალი კანონიდან გამომდინარე ტრენინგების განხორციელება შემსყიდველი ორგანიზაციების, ეკონომიკური ოპერატორებისა და სხვა დაინტერესებული მხარეებისათვის</p>	<p>შემსყიდველი ორგანიზაციები ის, ეკონომიკური ოპერატორები ს და დაინტერესებული მხარეების გადამზადებული თანამშრომლების რაოდენობა: 15 ნაკადი 2025 სასწავლო წლის განმავლობაში ჯამში 320 მსმენელი</p>	<p>სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს წლიური ანგარიში; სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს e-Newsletter; procurement.gov.ge; spa.ge</p>	<p>სსიპ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო</p>	<p>GIZ; სავაჭრო-სამრეწველო პალატა; ბიზნეს ასოციაციები</p>	<p>სახელმწიფოს შესყიდვების სააგენტოს სასწავლო ცენტრში, სააგენტოს თანამშრომლების მიერ, 2025 წელს ჯამში ჩატარდა ტრენინგების 15 ციკლი თემაზე „სახელმწიფო შესყიდვების კურსი“.</p> <p>აღნიშნული ტრენინგის ფარგლებში, ჯამში გადამზადდა 341 სპეციალისტი, რომლებიც შესყიდვების კუთხით, დასაქმებულები არიან სახელმწიფო უწყებებში, მათზე დაქვემდებარებულ სსიპ-ებსა და შპს-ებში, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში, მათ მიერ დაფუძნებულ და მათ მართვაში არსებულ ააიპ-ებში. მონაწილეებს ტესტირების საფუძველზე გადაეცათ სერტიფიკატები.</p>

საქართველოსა და ევროკავშირის შორის ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების (DCFTA-ის) და მის მიღმა ვალდებულებების განხორციელების 2025 წლის შესრულების ანგარიში

აქტივობა	ინდიკატორი	დადასტურების წყარო	პასუხისმგებელი უწყება	პარტნიორი უწყება	შესრულების ანგარიში
მიზანი 8.	ინტელექტუალური საკუთრების სფეროში ევროკავშირის სტანდარტებთან და საუკეთესო პრაქტიკასთან დაახლოება				
ამოცანა 8.1.	ინტელექტუალური საკუთრების სფეროში მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა				
8.1.1 შესაბამისი სამთავრობო ან აღმასრულებელი უწყებების წარმომადგენლებისათვის, მსამართლეებისათვის და ადვოკატებისათვის ინტელექტუალური საკუთრების უფლებებთან დაკავშირებულ საკითხებზე ტრენინგების ჩატარება	საანგარიშო პერიოდში ორგანიზებული/ჩატარებული არანაკლებ 5 ტრენინგი/სემინარი/სამუშაო შეხვედრა	Sakpatenti.gov.ge	სსიპ ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი - „საქპატენტი“	სსიპ იუსტიციის უმაღლესი სკოლა	<p>2025 წლის 27 თებერვალს, საქპატენტის ინიციატივით გაფორმდა სამმხრივი მემორანდუმი ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაციას (WIPO), ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტს (KIU) და საქპატენტს შორის. მემორანდუმის საფუძველზე საქართველოში პირველად დაინერგა ერთობლივი საერთაშორისო სამაგისტრო პროგრამა — „ინტელექტუალური საკუთრება, ინოვაციები და მეწარმეობა“.</p> <p>პროგრამა მიზნად ისახავს ინტელექტუალური საკუთრების სფეროში მაღალკვალიფიციური სპეციალისტების მომზადებას და განკუთვნილია, მათ შორის:</p> <ul style="list-style-type: none"> • სამთავრობო და აღმასრულებელი უწყებების წარმომადგენლებისთვის, • მსამართლეებისთვის, • ადვოკატებისთვის და • სხვა დაინტერესებული პროფესიონალებისთვის. <p>პროგრამის პირველი ნაკადისთვის (20 სტუდენტი) სწავლა დაიწყო 2025 წლის 22 სექტემბრიდან.</p>
8.1.2 ევროკავშირის 2024 წლის გაფართოების ანგარიშის შესაბამისად მოლაპარაკებების დაწყება ევროპის საპატენტო	ევროკავშირის საპატენტო ორგანიზაციის ადმინისტრაციულ საბჭოსთან გაგზავნილი	Sakpatenti.gov.ge	სსიპ ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული		საქპატენტის მიერ დაზუსტდა მოლაპარაკებების დაწყების პროცედურა, რომელიც, ასევე, ზოგადად, განხილული იყო ევროპის საპატენტო ოფისთან სამუშაო შეხვედრაზე. დაწყებულია ქვეყნის შიდა პროცედურები, რომელიც ეხება კონვენციასთან მიერთების ინტერესის გამოხატვას. კერძოდ, 2025

საქართველოსა და ევროკავშირის შორის ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების (DCFTA-ის) და მის მიღმა ვალდებულებების განხორციელების 2025 წლის შესრულების ანგარიში

აქტივობა	ინდიკატორი	დადასტურების წყარო	პასუხისმგებელი უწყება	პარტნიორი უწყება	შესრულების ანგარიში
კონვენციასთან მიერთების მიზნით	მიმართვა მოლაპარაკებების დაწყების თაობაზე		ცენტრი - „საქპატენტი“		<p>წლის 22 აპრილს, საქპატენტმა მიმართა საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს, რათა თავისი კომპეტენციის ფარგლებში განახორციელოს პროცესის მხარდაჭერა. ქართულ ენაზე ითარგმნა და ოფიციალურად დამოწმდა ევროპის საპატენტო კონვენცია და მისი განუყოფელი საკანონმდებლო აქტები და პროტოკოლები.</p> <p>2025 წლის 26 ივნისს საქპატენტმა ოფიციალურად მიმართა ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს, ევროპის საპატენტო კონვენციასთან მიერთებისთვის შესაბამისი შიდასახელმწიფოებრივი სამართლებრივი პროცედურების განხორციელების მიზნით. შიდასახელმწიფოებრივი პროცედურების დასრულების შემდგომ, რაც გულისხმობს შესაბამისი ადმინისტრაციული ორგანოების მოსაზრებებისა და დასკვნების წარმოდგენას ევროპის საპატენტო კონვენციისა და მისი განუყოფელი დოკუმენტების თაობაზე წარმოდგენილი დასკვნების გათვალისწინებით, ევროპის საპატენტო ორგანიზაციის ადმინისტრაციულ საბჭოში გაიგზავნა ევროპის საპატენტო კონვენციასთან მიერთების თაობაზე ინტერესის გამოხატვის წერილი.</p>
ამოცანა 8.2.	სსიპ - საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის - „საქპატენტის“ ინსტიტუციური გაძლიერება				
8.2.1. საქპატენტის თანამშრომელთათვის ტრენინგებისა და სამუშაო შეხვედრების გამართვა; მესამე	თანამშრომელთათვის ორგანიზებული შეხვედრებისა	Sakpatenti.gov.ge	სსიპ ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული		2025 წლის 7-8 თებერვალს გაიმართა საქართველო-შვეიცარიის ინტელექტუალური საკუთრების ერთობლივი პროექტის (GESIP) დასკვნითი ღონისძიება. ღონისძიებას ესწრებოდნენ: ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის

საქართველოსა და ევროკავშირის შორის ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების (DCFTA-ის) და მის მიღმა ვალდებულებების განხორციელების 2025 წლის შესრულების ანგარიში

აქტივობა	ინდიკატორი	დადასტურების წყარო	პასუხისმგებელი უწყება	პარტნიორი უწყება	შესრულების ანგარიში
<p>ქვეყნების მთავრობებსა და სამრეწველო ასოციაციებთან ორმხრივი შეხვედრების, და სემინარების ორგანიზება, რათა გაზიარებულ იქნას განვითარებული ქვეყნების საუკეთესო პრაქტიკა და გამოცდილება</p>	<p>და ტრენინგების რაოდენობა (არანაკლებ 5 ტრენინგი/სამუშაო შეხვედრა/სემინარი</p>		<p>ცენტრი - „საქპატენტი“</p>		<p>– „საქპატენტის“, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს, სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტოს, საქართველოს აკრედიტაციის ცენტრის, სსიპ ღვინის ეროვნული სააგენტოსა და შვეიცარიის საელჩოს წარმომადგენლები. ღონისძიებაზე ხაზი გაესვა ინტელექტუალური საკუთრების დაცვის სფეროში სამომხმარებლო სერვისების გაუმჯობესებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების ეფექტიანი დაცვის მექანიზმების შემუშავების მნიშვნელობას, ასევე, ყურადღება გამახვილდა პროექტის ფარგლებში, მჭიდრო თანამშრომლობის შედეგად მიღწეულ წარმატებებზე და ინტელექტუალური საკუთრების ინსტიტუციური გაძლიერების როლზე ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების საქმეში. ღონისძიებაზე შვეიცარიის ორგანული სოფლის მეურნეობის კვლევითი ინსტიტუტის (FiBL) ექსპერტმა ისაუბრა გეოგრაფიული აღნიშვნების რეგისტრაციასა და მართვაში ჩართულ უწყებებს შორის კოორდინაციის შვეიცარიულ გამოცდილებაზე.</p> <p>2025 წლის 26 თებერვალს, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს ახალი კანონის მოთხოვნების გათვალისწინებისა და პერსონალურ მონაცემთა დაცვის ერთგვაროვანი პრაქტიკის უზრუნველყოფის მიზნით, საქპატენტში ჩატარდა ერთდღიანი ტრენინგი, რომელიც პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურთან თანამშრომლობით განხორციელდა. ტრენინგს დაესწრო 21 თანამშრომელი, მათ შორის საქპატენტის</p>

საქართველოსა და ევროკავშირის შორის ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების (DCFTA-ის) და მის მიღმა ვალდებულებების განხორციელების 2025 წლის შესრულების ანგარიში

აქტივობა	ინდიკატორი	დადასტურების წყარო	პასუხისმგებელი უწყება	პარტნიორი უწყება	შესრულების ანგარიში
					<p>პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერი და მაღალი და საშუალო მენეჯერული რგოლის თანამშრომლები.</p> <p>2025 წლის 10 აპრილს საქპატენტის წარმომადგენელმა მონაწილეობა მიიღო საინფორმაციო სესიაზე საავტორო უფლებებისა და გენერაციული ხელოვნური ინტელექტის შესახებ, რომელიც გაიმართა ქალაქ ჟენევაში, ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაციის (WIPO) სათავე ოფისში. სესიის ფარგლებში მონაწილეებმა იმსჯელეს დისკუსიაში მონაწილე ქვეყნების მიდგომაზე, რომლებიც ეხება ხელოვნური ინტელექტის განვითარების დროს სხვადასხვა ინტერესის დაბალანსებას. ღონისძიების ფარგლებში საქპატენტის წარმომადგენელმა ისაუბრა საქართველოს გამოცდილებაზე საავტორო უფლებებისა და ხელოვნური ინტელექტის მიმართულებით და ასევე, ყურადღება გაამახვილა რეფორმებზე, რომლებიც განხორციელდა საქართველოში საავტორო უფლებების დაცვისა და კოლექტიურ საფუძველზე საავტორო უფლებების მართვის სისტემის გაუმჯობესებისათვის.</p> <p>2025 წლის 14-16 აპრილს საქპატენტის წარმომადგენელმა მონაწილეობა მიიღო ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაციის (WIPO) საინფორმაციო და კომუნიკაციების ტექნოლოგიების ხელმძღვანელობის დიალოგის (WILD) პირველ სესიაზე, რომელიც გაიმართა ქალაქ ჟენევაში, ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაციის (WIPO) სათავე ოფისში. სესიაზე განიხილეს ისეთი თემები,</p>

საქართველოსა და ევროკავშირს შორის ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების (DCFTA-ის) და მის მიღმა ვალდებულებების განხორციელების 2025 წლის შესრულების ანგარიში

აქტივობა	ინდიკატორი	დადასტურების წყარო	პასუხისმგებელი უწყება	პარტნიორი უწყება	შესრულების ანგარიში
					<p>როგორებიცაა: განვითარებადი ტექნოლოგიები – ძირითადი გამოწვევები და შესაძლებლობები; ციფრული ბიზნესსტრატეგია და საუკეთესო პრაქტიკები და ა.შ. სესიაზე ციფრული ტრანსფორმაციისა და გამოწვევების შესახებ პრეზენტაციით წარსდგა საქპატენტის წარმომადგენელი, რომელმაც მონაწილეებს გააცნო საქპატენტში მიმდინარე ციფრული ტრანსფორმაციის პროექტები.</p> <p>2025 წლის 30 აპრილი - 2 მაისს საქპატენტის წარმომადგენელმა მონაწილეობა მიიღო სიმპოზიუმზე „ქალები და ინტელექტუალური საკუთრება“, რომელიც გაიმართა ქალაქ ჟენევაში, ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაციის (WIPO) სათავე ოფისში. სიმპოზიუმზე განიხილეს ისეთი მნიშვნელოვანი თემები, როგორებიცაა: ქალთა ლიდერობისა და კარიერული განვითარების ხელშეწყობა ინტელექტუალური საკუთრების სფეროში, მენტორობის პროგრამების მნიშვნელობა, ინოვაციური მიდგომები ახალგაზრდა მეწარმე ქალების მხარდასაჭერად, ასევე, მონაცემთა ანალიზისა და პოლიტიკის განვითარების როლი ინტელექტუალური საკუთრებისა და ინოვაციების სფეროში ქალების წინაშე არსებული გამოწვევების დასაძლევად. ღონისძიების ფარგლებში საქპატენტის წარმომადგენელმა სიმპოზიუმის მონაწილეებს გააცნო ორგანიზაციის ხედვა ინტელექტუალური საკუთრების დაცვის სფეროში ქალთა გაძლიერებისა და ჩართულობის შესახებ შიდა ინსტიტუციური პოლიტიკის დონეზე. ყურადღება გამახვილდა</p>

საქართველოსა და ევროკავშირის შორის ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების (DCFTA-ის) და მის მიღმა ვალდებულებების განხორციელების 2025 წლის შესრულების ანგარიში

აქტივობა	ინდიკატორი	დადასტურების წყარო	პასუხისმგებელი უწყება	პარტნიორი უწყება	შესრულების ანგარიში
					<p>საქპატენტის პრაქტიკაზე გენდერული მონაცემების შეგროვებისა და ანალიზის მიმართულებით.</p> <p>2025 წლის 4-11 მაისს საქპატენტის წარმომადგენელმა მონაწილეობა მიიღო საქართველო-შვეიცარიის ინტელექტუალური საკუთრების ერთობლივი პროექტის (GESIP) ფარგლებში, შვეიცარიასა და საფრანგეთში გეოგრაფიული აღნიშვნების შესახებ სასწავლო ტურში. სასწავლო ვიზიტის საერთო მიზანს წარმოადგენდა მწარმოებლებისა და სახელმწიფო უწყებებისთვის გეოგრაფიულ აღნიშვნებთან დაკავშირებული პრაქტიკის გაზიარება. ვიზიტის ფარგლებში, ძირითადი აქცენტი გაკეთდა ისეთ თემებზე, როგორებიცაა: გეოგრაფიული აღნიშვნების კონტროლი და სერტიფიცირება, საკვების უსაფრთხოების სტანდარტების მოქნილობა და რეგულაციები, ბაზრის ზედამხედველობა და კონტრაფაქციის წინააღმდეგ ბრძოლა, მარკეტინგი და გეოგრაფიული აღნიშვნების პოპულარიზაცია, კავშირი გეოგრაფიულ აღნიშვნებსა და აგრარულ ტურიზმს შორის, ადგილწარმოშობის დასახელებებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების რეგისტრაციის განაცხადების განხილვა, ასევე, სენსორული ანალიზი და მდგრადი მეურნეობის ხელშეწყობა.</p> <p>2025 წლის 5-11 მაისს საქპატენტის წარმომადგენელმა მონაწილეობა მიიღო ინდოეთის ქალაქ ჰაიდარაბადში მაღალი დონის საერთაშორისო სასერტიფიკაციო სასწავლო პროგრამაში. ღონისძიება ორგანიზებული იყო ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაციის (WIPO) აკადემიის, ინდოეთის</p>

საქართველოსა და ევროკავშირის შორის ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების (DCFTA-ის) და მის მიღმა ვალდებულებების განხორციელების 2025 წლის შესრულების ანგარიში

აქტივობა	ინდიკატორი	დადასტურების წყარო	პასუხისმგებელი უწყება	პარტნიორი უწყება	შესრულების ანგარიში
					<p>პატენტების, დიზაინებისა და სასაქონლო ნიშნების გენერალური კონტროლიორის ოფისისა (CGPDTM) და რაჯივ განდის სახელობის ინტელექტუალური საკუთრების მართვის ეროვნული ინსტიტუტის (RGNIIPM) მიერ. სასწავლო პროგრამის ფარგლებში დეტალურად იქნა განხილული ინდოეთის საპატენტო სისტემა, სამართლებრივი და ინსტიტუციური მოწყობა, აგრეთვე, პროცესები, რომლებიც დაკავშირებულია გამოგონების პატენტუნარიანობის კრიტერიუმების შეფასებასა და პატენტის გაცემის ეტაპებთან. მონაწილეებმა დეტალურად შეისწავლეს პატენტუნარიანობის ძირითადი კრიტერიუმები – სიახლე, საგამომგონებლო დონე და სამრეწველო გამოყენებადობა. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო, ასევე, საპატენტო განაცხადების განხილვის სამართლებრივ პროცედურებსა და განაცხადის მიმდინარეობის ეტაპებს ძიების ანგარიშის შედგენიდან საბოლოო გადაწყვეტილებამდე. საქპატენტის წარმომადგენელმა პროგრამის მონაწილეებს მიაწოდა ინფორმაცია საქართველოს საპატენტო სისტემის მუშაობისა და ექსპერტიზის პროცესში გამოყენებული საძიებო ტექნიკის შესახებ.</p> <p>27 და 28 მაისს ევროპის საპატენტო უწყების (EPO) ექსპერტებმა საქპატენტის გამოგონებისა და ახალი ჯიშების დეპარტამენტის ქიმიის, მედიცინისა და ბიოლოგიის სამმართველოს თანამშრომლებისთვის ვირუსის შტამებზე საპატენტო ექსპერტიზის გამოცდილების გაზიარების მიზნით სასწავლო სესიები ჩაატარეს. სასწავლო აქტივობის მიზანი იყო საქპატენტის თანამშრომლების პროფესიული განვითარების ხელშეწყობა და მათთვის იმ</p>

საქართველოსა და ევროკავშირის შორის ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების (DCFTA-ის) და მის მიღმა ვალდებულებების განხორციელების 2025 წლის შესრულების ანგარიში

აქტივობა	ინდიკატორი	დადასტურების წყარო	პასუხისმგებელი უწყება	პარტნიორი უწყება	შესრულების ანგარიში
					<p>სტანდარტებისა და ინსტრუმენტების გაცნობა, რომლებიც ევროპის საპატენტო უწყების მიერ ექსპერტიზის ეტაპზე გამოიყენება.</p> <p>2025 წლის 12-13 ივნისს საქპატენტის წარმომადგენლებმა ონლაინ ფორმატში მონაწილეობა მიიღეს oriGIn-ის 2025 წლის ექსპერტთა შეხვედრაზე. 2025 წლის შეხვედრაზე წარმოდგენილი იყო მომხსენებლების შთამბეჭდავი შემადგენლობა, რომლებმაც შეისწავლეს გეოგრაფიული აღნიშვნების დაცვისა და აღსრულების უახლეს ტენდენციები და ძირითადი საკითხები, განსაკუთრებული აქცენტი გაამახვილეს ტექნოლოგიურ ინოვაციებზე. შეხვედრაზე განხილული იყო ისეთი საკითხები, როგორცაა: საერთაშორისო გეოგრაფიული აღნიშვნების შეთანხმებების იმპლემენტაცია; გეოგრაფიული აღნიშვნების დაცვის, აღსრულების, კვლევის, კომუნიკაციისა და მდგრადობის ტექნოლოგია; გეოგრაფიული აღნიშვნების სამკურნალო მექანიზმები TLD-ში; სასაქონლო ნიშნების განცხადებები, რომლებიც კონფლიქტშია გეოგრაფიულ აღნიშვნებთან; ხელნაკეთი და სამრეწველო გეოგრაფიული აღნიშვნები, გამოწვევები და შესაძლებლობები.</p> <p>2025 წლის 16 ოქტომბერს საქპატენტის თანამშრომლებმა ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაციის (WIPO) სასწავლო ონლაინ ტრენინგში მიიღეს მონაწილეობა. ტრენინგის თემა იყო eLisbon IT პლატფორმის გამოყენება და სამართლებრივი პროცედურები, რომლებიც დაკავშირებულია ადგილწარმოშობის</p>

საქართველოსა და ევროკავშირს შორის ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების (DCFTA-ის) და მის მიღმა ვალდებულებების განხორციელების 2025 წლის შესრულების ანგარიში

აქტივობა	ინდიკატორი	დადასტურების წყარო	პასუხისმგებელი უწყება	პარტნიორი უწყება	შესრულების ანგარიში
					<p>დასახელებებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების რეგისტრაციასთან. სესიის ფარგლებში მონაწილეებმა დეტალურად განიხილეს ლისაბონის სისტემის პროცედურები, მათ შორის, ჟენევის აქტის განხორციელების წესები.</p> <p>2025 წლის 18 ოქტომბერს საქპატენტის თავმჯდომარე ჩინეთის სახალხო რესპუბლიკას ეწვია, სადაც მონაწილეობა მიიღო და სიტყვით წარსდგა ინტელექტუალური საკუთრების შანხაის რიგით 22-ე საერთაშორისო ფორუმში. ფორუმის წლებვანდელი თემა იყო „ინტელექტუალური საკუთრება და ხელოვნური ინტელექტი“.</p> <p>2025 წლის 19 ნოემბერს ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაციისა (WIPO) და საქპატენტის თანამშრომლობით, გაიმართა ეროვნული ვებინარი: „საპატენტო კოოპერაციის ხელშეკრულების (PCT) სისტემის მიმოხილვა: ეროვნული ვებინარი საქართველოს განმცხადებლებისთვის“, რომლის მიზანი იყო ქართველი გამომგონებლების, განმცხადებლებისა და სხვა დაინტერესებულ პირთათვის PCT სისტემის გაცნობა. ვებინარს დასწრო 90-მდე მონაწილე.</p> <p>2025 წლის 20 ნოემბერს საქპატენტისა და „oriGIn - საქართველოს“ წარმომადგენლებმა ევროპისა და ცენტრალური აზიის გეოგრაფიული აღნიშვნების მე-5 რეგიონულ საკონსულტაციო შეხვედრაში ონლაინ მიიღეს მონაწილეობა. შეხვედრის მონაწილეებმა განიხილეს გეოგრაფიული აღნიშვნების სისტემების როლი ქვეყნების ეკონომიკურ, სოციალურ და</p>

საქართველოსა და ევროკავშირის შორის ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების (DCFTA-ის) და მის მიღმა ვალდებულებების განხორციელების 2025 წლის შესრულების ანგარიში

აქტივობა	ინდიკატორი	დადასტურების წყარო	პასუხისმგებელი უწყება	პარტნიორი უწყება	შესრულების ანგარიში
					<p>გარემოსდაცვით განვითარებაში, ასევე, იმსჯელებს სახელმწიფოს, ბიზნესსა და საერთაშორისო ორგანიზაციებს შორის თანამშრომლობის გაღრმავების შესაძლებლობებზე.</p> <p>2025 წლის 1-5 დეკემბერს, შვეიცარიაში, ქალაქ ჟენევაში ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაციის (WIPO) საავტორო და მომიჯნავე უფლებების მუდმივმოქმედი კომიტეტის (Standing Committee on Copyright and Related Rights – SCCR) რიგით 47-ე სესია გაიმართა, რომელშიც მონაწილეობა მიიღო საქპატენტის წარმომადგენელმა. კომიტეტის მიზანია საავტორო და მომიჯნავე უფლებების სფეროში არსებული გამოწვევებისა და სიახლეების განხილვა, საერთაშორისო სტანდარტების განვითარება და პოლიტიკის შემდგომი ჰარმონიზაცია.</p> <p>2025 წლის 05 ნოემბერს და 05 დეკემბერს სახელმწიფო ენის ერთიანი პროგრამის ფარგლებში საქპატენტის სათავო ოფისში ორეტაპიანი ტრენინგი ჩატარდა, რომლის მიზანი იყო საქპატენტის თანამშრომლებისთვის სახელმწიფო ენის დეპარტამენტის მიერ შემუშავებული უცხოური ენების ტრანსკრიფცია-ტრანსლიტერაციის წესებისა და სალიტერატურო ენის განახლებული ნორმების გაცნობა. ტრენინგში მონაწილეობა მიიღო საქპატენტის სხვადასხვა სტრუქტურული ერთეულის 14-მა თანამშრომელმა.</p> <p>2025 წლის 8-12 დეკემბერს საქპატენტის წარმომადგენლებმა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ქ.</p>

საქართველოსა და ევროკავშირის შორის ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების (DCFTA-ის) და მის მიღმა ვალდებულებების განხორციელების 2025 წლის შესრულების ანგარიში

აქტივობა	ინდიკატორი	დადასტურების წყარო	პასუხისმგებელი უწყება	პარტნიორი უწყება	შესრულების ანგარიში
					<p>ჩონკინგში, ჩინეთის ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ადმინისტრაციის (CNIPA) ორგანიზებით, „სარტყლისა და გზის“ ფარგლებში ინტელექტუალური საკუთრების შესახებ ტრენინგ-სემინარში მიიღეს მონაწილეობა. სემინარის ფარგლებში გაიმართა ინტელექტუალური საკუთრების სესიები, სადაც მონაწილეებმა წარადგინეს თავიანთი ქვეყნების უახლესი მიღწევები კანონმდებლობის, პოლიტიკის შემუშავებისა და სტრატეგიული დაცვის სფეროში.</p>
<p>8.2.2 საქპატენტის საქმიანობის პროცესში 1992-2017 წ.წ. ფორმირებული მატერიალური დოკუმენტების სამეცნიერო-ტექნიკური დამუშავება და გაციფრულება (დიגיტალიზაცია)</p>	<p>დოკუმენტების დამუშავება/გაციფრულება განხორციელდა 3 ეტაპად: III ეტაპი 2025 წლის ბოლომდე გამოგონებისა და ახალი ჯიშების დეპარტამენტი ს 1997-2007 წლების (10 წლის) დოკუმენტების საერთო რაოდენობის 100%-ის სამეცნიერო-ტექნიკური</p>	<p>Sakpatenti.gov.ge</p>	<p>სსიპ ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი - „საქპატენტი“</p>		<p>საანგარიშო პერიოდში დოკუმენტების დამუშავება-გაციფრულება მიმდინარეობდა გეგმაზომიერად, კერძოდ, განხორციელდა:</p> <ol style="list-style-type: none"> 1.გამოგონებისა და ახალი ჯიშების დეპარტამენტის 1997-2007 წლების დოკუმენტების სამეცნიერო დამუშავება – სულ 8334 განაცხადი (6136 საქმე), მათ შორის, გამოგონების დეპარტამენტში არსებული, არადაარქივებული 1489 განაცხადის სამეცნიერო დამუშავება. ხოლო ტექნიკურად დამუშავდა 3779 განაცხადი (1899 საქმე); 2.გამოგონებისა და ახალი ჯიშების დეპარტამენტის 1994-1995 წლების დოკუმენტების გაციფრულება – სულ 788 საქმე (458794 ფაილი); 3. სასაქონლო ნიშნების დეპარტამენტის 1995-1996 წლების დოკუმენტების სამეცნიერო დამუშავება – 2620 განაცხადი (873 საქმე).

საქართველოსა და ევროკავშირის შორის ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების (DCFTA-ის) და მის მიღმა ვალდებულებების განხორციელების 2025 წლის შესრულების ანგარიში

აქტივობა	ინდიკატორი	დადასტურების წყარო	პასუხისმგებელი უწყება	პარტნიორი უწყება	შესრულების ანგარიში
	დამუშავება, მათ შორის 100 % გაციფრულება სასაქონლო ნიშნების დეპარტამენტი ს 1994-1996 წლების (3 წლის) დოკუმენტების 100% დამუშავება და 80% გაციფრულება				
ამოცანა 8.3.	პატენტწმუნებულთა საკვალიფიკაციო სისტემის რეფორმასიპ - საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის - „საქპატენტის“ ინსტიტუციური გაძლიერება				
8.3.1 პატენტწმუნებულთა საკვალიფიკაციო გამოცდასთან დაკავშირებით მარეგულირებელი ჩარჩოს განსაზღვრა საუკეთესო ევროპული პრაქტიკის შესაბამისად	საქპატენტის თავმჯდომარის ბრძანებით დამტკიცებული საკვალიფიკაციო გამოცდის ჩატარების ფორმა, წესი და პროგრამა (საგამოცდო საკითხების)	Sakpatenti.gov.ge Matsne.gov.ge	სსიპ ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი - „საქპატენტი“		საქპატენტის თავმჯდომარის ბრძანებით დამტკიცდა: 1. „საქართველოს პატენტწმუნებულის პროფესიული პასუხისმგებლობის სავალდებულო დაზღვევის წესის, პირობებისა და სადაზღვევო თანხის მინიმალური ოდენობის დამტკიცების შესახებ“ საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – საქპატენტის თავმჯდომარის 2025 წლის 31 იანვრის №13 ბრძანება. 2. „საქართველოს პატენტწმუნებულთა რეესტრის წარმოების წესის, საქართველოს პატენტწმუნებულის მოწმობის ფორმისა და გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ საჯარო სამართლის

საქართველოსა და ევროკავშირის შორის ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების (DCFTA-ის) და მის მიღმა ვალდებულებების განხორციელების 2025 წლის შესრულების ანგარიში

აქტივობა	ინდიკატორი	დადასტურების წყარო	პასუხისმგებელი უწყება	პარტნიორი უწყება	შესრულების ანგარიში
					<p>იურიდიული პირის – საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – საქპატენტის თავმჯდომარის 2025 წლის 31 იანვარის №12 ბრძანება.</p> <p>3. „საქართველოს პატენტრწმუნებულთა საკვალიფიკაციო გამოცდის ჩატარების ფორმის, წესისა და საგამოცდო პროგრამის, საქართველოს პატენტრწმუნებულთა საკვალიფიკაციო გამოცდის ჩაბარების დამადასტურებელი დოკუმენტის – სერტიფიკატის ფორმისა და გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – საქპატენტის თავმჯდომარის 2025 წლის 31 იანვარის №11 ბრძანება.</p>
ამოცანა 8.4.	ინტელექტუალური საკუთრების სფეროში ცნობიერების ამაღლება				
8.4.1 ტრენინგების, საინფორმაციო და სამუშაო შეხვედრების ჩატარება საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლების მიზნით	ჩატარებული ტრენინგების და სამუშაო შეხვედრების რაოდენობა (არანაკლებ 5 ტრენინგი/საინფორმაციო შეხვედრა)	Sakpatenti.gov.ge	სსიპ ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი - „საქპატენტი“	-	<p>2025 წლის 20 თებერვალს საქპატენტმა ახალგაზრდულ ლიტერატურულ ბანაკში მიიღო მონაწილეობა. ახალგაზრდული ლიტერატურული ბანაკის ფარგლებში, რომელიც თელავში გაიმართა, საქპატენტის იურიდიული დეპარტამენტის უფროსმა ბანაკის მონაწილეებს პრეზენტაცია წარუდგინა, სადაც საქპატენტის საქმიანობისა და ინტელექტუალური საკუთრების მნიშვნელობაზე ისაუბრა. გაიმართა დებატები საავტორო უფლებების დაცვის საკითხებზე, ასევე საქპატენტში ბოლო დროს განხორციელებულ საკანონმდებლო ცვლილებებსა თუ მიმდინარე რეფორმებზე.</p> <p>2025 წლის 6 თებერვალს საქპატენტმა 2024 წლის ათასწლეულის ინოვაციის კონკურსის ფინალისტი</p>

საქართველოსა და ევროკავშირის შორის ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების (DCFTA-ის) და მის მიღმა ვალდებულებების განხორციელების 2025 წლის შესრულების ანგარიში

აქტივობა	ინდიკატორი	დადასტურების წყარო	პასუხისმგებელი უწყება	პარტნიორი უწყება	შესრულების ანგარიში
					<p>გუნდი BEES დააჯილდოვა. საქპატენტი აქტიურადაა ჩართული ინოვაციებისა და ტექნოლოგიების განვითარებაზე მიმართულ სხვადასხვა ღონისძიების, მათ შორის, ათასწლეულის ინოვაციის კონკურსის განხორციელებაში. საქპატენტი მრავალი წელია თანამშრომლობს ათასწლეულის გამოწვევის ფონდთან და 2014 წლიდან – კონკურსის დაარსებიდან წარმოდგენილია კონკურსის ჟიურის შემადგენლობაში და მონაწილეობს საკონკურსო პროექტების შეფასებასა და გამარჯვებული გუნდების შერჩევაში.</p> <p>2025 წლის 24 იანვარს ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტში (KIU) საერთაშორისო ზამთრის სკოლა გაიხსნა, რომელიც ინტელექტუალური საკუთრების უფლებებს მიემდგვნა. KIU-ში გამართულ საერთაშორისო სეზონური (ზამთრის) სკოლის (International Excellence School (IES) გახსნის ღონისძიებას საქპატენტის თავმჯდომარე სოსო გიორგაძე დაესწრო და დამსწრე აუდიტორიას მიმართა. ზამთრის სკოლის აკადემიურ სივრცეში მოწვეულმა საერთაშორისო თუ ადგილობრივმა ექსპერტებმა ისაუბრეს ინტელექტუალური საკუთრების არსებით როლსა და მნიშვნელობაზე, ასევე, ჩატარდა სემინარები და სხვადასხვა სახის პრაქტიკული სწავლებები.</p> <p>2025 წლის 30 აპრილს საქპატენტმა ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო დღე აღნიშნა. ამ დღის აღნიშვნა მიზნად ისახავდა ინტელექტუალური საკუთრების შესახებ ფართო საზოგადოების ცნობიერების ამაღლებას, დარგის</p>

საქართველოსა და ევროკავშირის შორის ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების (DCFTA-ის) და მის მიღმა ვალდებულებების განხორციელების 2025 წლის შესრულების ანგარიში

აქტივობა	ინდიკატორი	დადასტურების წყარო	პასუხისმგებელი უწყება	პარტნიორი უწყება	შესრულების ანგარიში
					<p>პოპულარიზაციასა და სფეროს მიმართ ინტერესის გაღვივებას. ღონისძიება სასტუმრო „პარაგრაფ თბილისში“ გაიმართა. ღონისძიების ერთ-ერთი მიზანი იყო მუსიკალური შემოქმედების მხარდაჭერა, მუსიკოსების წვლილის დაფასება - მათი, ვინც ქმნის ახალ ბგერებს, მუსიკალურ სტილსა და ტექნოლოგიებს, აყალიბებს მუსიკის მომავალს და გვაგრძნობინებს მუსიკის რიტმს ყოველდღიურ ცხოვრებაში.</p> <p>2025 წლის 5 მაისს საქპატენტსა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიას შორის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა. მემორანდუმის ფარგლებში გათვალისწინებულია ერთობლივი სასწავლო და საგანმანათლებლო ღონისძიებების, მათ შორის, სეზონური სკოლების, ახალგაზრდული ბანაკების, კონფერენციების, ტრენინგებისა და სემინარების გამართვა, ასევე სხვა აქტივობების დაგეგმვა და განხორციელება.</p> <p>ინტელექტუალური საკუთრების ზოგადი კურსის საგაზაფხულო სესიაზე (DL101GE25S1) სწავლება დაიწყო 13 მაისს და დასრულდა 23 ივნისს. 197 რეგისტრირებული მონაწილიდან ფინალური ტესტი დაწერა 90-მა მონაწილემ. მათგან გამოცდა წარმატებით ჩააბარა 89-მა მონაწილემ.</p> <p>ინტელექტუალური საკუთრების ზოგადი კურსის საშემოდგომო სესიაზე (DL101GE25S2) სწავლება დაიწყო 10 ნოემბერს და დასრულდება 21 დეკემბერს.</p>

საქართველოსა და ევროკავშირის შორის ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების (DCFTA-ის) და მის მიღმა ვალდებულებების განხორციელების 2025 წლის შესრულების ანგარიში

აქტივობა	ინდიკატორი	დადასტურების წყარო	პასუხისმგებელი უწყება	პარტნიორი უწყება	შესრულების ანგარიში
					<p>კურსზე რეგისტრირებულია 120 მონაწილე, ფინალური გამოცდა ჩატარდება 22 და 23 დეკემბერს.</p> <p>2025 წლის 21 მაისს საქპატენტსა და თბილისის საბავშვო ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოს შორის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა. მისი მიზანია სკოლამდელი აღზრდის ბავშვებში შემოქმედებითი აზროვნების მიმართ ინტერესის გაღვივება, ასევე, კრეატიული უნარების განვითარება და სიახლეების აღქმის წახალისება. მემორანდუმის ფარგლებში მთელი თბილისის მასშტაბით 200-მდე საბავშვო ბაღს ეტაპობრივად გადაეცემა საქპატენტის მონაწილეობით გამოცემული და მისივე პოლიგრაფიულ ბაზაზე დაბეჭდილი საბავშვო ზღაპრები, რომლებიც ინტელექტუალური საკუთრების ობიექტების შესახებ სახალისო ისტორიებს ასახავს და შემეცნებით ხასიათს ატარებს.</p> <p>2025 წლის 23 მაისს საქპატენტის წარმომადგენლებმა მონაწილეობა მიიღეს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დასაქმების ფორუმში, სადაც სტუდენტებს უწყებაში საქმიანობის, დასაქმებისა და სტაჟირების შესაძლებლობების შესახებ ინფორმაცია გააცნეს.</p> <p>2025 წლის 02 ივნისს საქპატენტის წარმომადგენელმა მონაწილეობა მიიღო სამეწარმეო განათლების კონფერენციაში. ღონისძიება ემსახურებოდა საგანმანათლებლო დაწესებულებებს, ბიზნესსა და ადგილობრივ ორგანიზაციებს შორის თანამშრომლობის გაღრმავებასა და განათლებაზე ხელმისაწვდომობის გაზრდას. კონფერენციის მიზანი</p>

საქართველოსა და ევროკავშირის შორის ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების (DCFTA-ის) და მის მიღმა ვალდებულებების განხორციელების 2025 წლის შესრულების ანგარიში

აქტივობა	ინდიკატორი	დადასტურების წყარო	პასუხისმგებელი უწყება	პარტნიორი უწყება	შესრულების ანგარიში
					<p>იყო, ასევე, ახალგაზრდების დახმარება შრომით ბაზარზე არსებული ყველაზე მოთხოვნადი უნარების დაუფლებაში და მათი ხელშეწყობა საკუთარი სოციალური საწარმოების შექმნაში.</p> <p>2025 წლის 02 ივნისს საქპატენტს თბილისის №30 საბავშვო ბაღის აღსაზრდელები ეწვივნენ. ღონისძიება საქპატენტსა და თბილისის საბავშვო ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოს შორის გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის ფარგლებში განხორციელდა და ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღეს მიეძღვნა.</p> <p>2025 წლის 03 ივნისს საქპატენტმა ბოლნისის ადგილწარმოშობის დასახელების ღვინის ფესტივალში მიიღო მონაწილეობა, რომელიც წელს მესამედ ჩატარდა სლოგანით - „ ბოლნისი - ოქროსფერი ღვინის ქალაქი“. ფესტივალზე წარმოდგენილი იყო საქართველოს სხვადასხვა კუთხის 60-ზე მეტი მეღვინეობა, მათ შორის მსხვილი მწარმოებლებისა და მცირე თუ საშუალო მარნების, საოჯახო მეღვინეობების ადგილწარმოშობის დასახელების ღვინოები. ფესტივალის მიზანია ადგილწარმოშობის დასახელებით ნიშანდებული ღვინოების პოპულარიზაცია, ამ სტატუსის მქონე ღვინოების უპირატესობის წარმოჩენა და მათ შესახებ საზოგადოების ცნობიერების ამაღლება.</p> <p>2025 წლის 16 ივნისს საქპატენტმა მონაწილეობა მიიღო ბათუმის საბავშვო ბაღების სასკოლო ასაკის აღსაზრდელთა გამოსაშვებ ღონისძიებაში, სადაც საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების</p>

საქართველოსა და ევროკავშირს შორის ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების (DCFTA-ის) და მის მიღმა ვალდებულებების განხორციელების 2025 წლის შესრულების ანგარიში

აქტივობა	ინდიკატორი	დადასტურების წყარო	პასუხისმგებელი უწყება	პარტნიორი უწყება	შესრულების ანგარიში
					<p>ეროვნულ ცენტრსა და ბათუმის საბავშვო ბაღების გაერთიანებას შორის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა. საქპატენტის თავმჯდომარემ სოსო გიორგაძემ ბათუმის საბავშვო ბაღებს ინტელექტუალური საკუთრების თემაზე შექმნილი ზღაპრები გადასცა, რომელიც ინტელექტუალური საკუთრების ობიექტების შესახებ სახალისო ისტორიებს ასახავს და შემეცნებით ხასიათს ატარებს.</p> <p>30 ივნისიდან 4 ივლისის ჩათვლით მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ მისაქციელში გაიმართა 5-დღიანი საზაფხულო ბანაკი თემაზე: „ინტელექტუალური საკუთრება და ინოვაციები“. ღონისძიება ორგანიზებული იყო საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – „საქპატენტის“, თბილისის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურისა და ა(ა)იპ „თბილისის სპორტისა და ახალგაზრდობის ცენტრის“ მიერ. ბანაკში მონაწილეობა მიიღო ეროვნული სასწავლო ოლიმპიადის გამარჯვებულმა 15-18 წლის ასაკის 37-მა მოზარდმა. ბანაკის პროგრამა მიზნად ისახავდა ახალგაზრდებისთვის ინტელექტუალური საკუთრების სფეროს გაცნობას. მონაწილეები დეტალურ ინფორმაციას გაეცნენ შემდეგ საკითხებზე: გამოგონებები, სასაქონლო ნიშნები, გეოგრაფიული აღნიშვნები, დიზაინი და ახალი ჯიშები, ასევე საავტორო და მომიჯნავე უფლებებით დაცული ნაწარმოებები. სასწავლო სესიებზე განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდა ინოვაციებსა და თანამედროვე ტექნოლოგიებზე, მათ</p>

საქართველოსა და ევროკავშირის შორის ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების (DCFTA-ის) და მის მიღმა ვალდებულებების განხორციელების 2025 წლის შესრულების ანგარიში

აქტივობა	ინდიკატორი	დადასტურების წყარო	პასუხისმგებელი უწყება	პარტნიორი უწყება	შესრულების ანგარიში
					<p>შორის ხელოვნური ინტელექტის მიერ შექმნილი ნაწარმოებების სამართლებრივ დაცვაზე.</p> <p>2025 წლის 21-25 ივლისს ჩატარდა საერთაშორისო საზაფხულო სკოლა ინტელექტუალური საკუთრების სამართლის შესახებ “ELSA Summer School on Intellectual Property Law” საქპატენტისა და ევროპის იურისტ სტუდენტთა ასოციაციასთან თანამშრომლობით. საზაფხულო სკოლაში მონაწილეობა მიიღო ევროპის სხვადასხვა უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის 24-მა სტუდენტმა.</p> <p>2025 წლის 29 სექტემბრიდან 3 ოქტომბრის ჩათვლით ჩატარდა საქპატენტისა და ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაციის (WIPO) ერთობლივი საერთაშორისო სპეციალიზაციის კურსი გეოგრაფიული აღნიშვნების შესახებ, რომელშიც მონაწილეობა 17 სხვადასხვა ქვეყნის წარმომადგენელმა მიიღო. კურსს უძღვებიან საერთაშორისო და ადგილობრივი ექსპერტები. საბოლოო ჯამში, კურსის განხორციელება ემსახურება ქვეყნის პოპულარიზაციასა და საერთაშორისო პროფესიულ წრეებში საქართველოს პოზიციონირებას.</p> <p>2025 წლის 13 ოქტომბერს საქპატენტის მხარდაჭერით, გურჯაანის ღვინის ფესტივალი ჩატარდა. ახტალას პარკში 546 მეღვინე და მეწარმე გაერთიანდა და ერთ სივრცეში სხვადასხვა ღვინის სახეობას მოუყარა თავი.</p>

საქართველოსა და ევროკავშირის შორის ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების (DCFTA-ის) და მის მიღმა ვალდებულებების განხორციელების 2025 წლის შესრულების ანგარიში

აქტივობა	ინდიკატორი	დადასტურების წყარო	პასუხისმგებელი უწყება	პარტნიორი უწყება	შესრულების ანგარიში
					<p>2025 წ. 27 ოქტომბერს საქპატენტის მხარდაჭერით თელავში ტრადიციული ჭაჭის ფესტივალი გაიმართა</p> <p>2025 წლის 11 ნოემბერს, ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაციის (WIPO) ინიციატივით, ინტელექტუალური საკუთრების (IP) ექსპერტთა პროფესიული დღე აღინიშნა. საქპატენტი შეუერთდა WIPO-ს მოწოდებას და ჩაერთო WIPO-ს განვითარებისა და ინტელექტუალური საკუთრების კომიტეტის (CDIP) ფარგლებში საუდის არაბეთის მიერ ინიცირებულ პროექტში „ინტელექტუალური საკუთრების (IP) ექსპერტების გაძლიერება და აღნიშვნა“. ინტელექტუალური საკუთრების ექსპერტთა პროფესიული დღის აღნიშვნა კიდევ ერთი მნიშვნელოვანი აქტივობაა, რომელიც გამოხატავს WIPO-ს გლობალური კამპანიის მხარდაჭერას, რაც, თავის მხრივ, ხელს უწყობს სფეროს პოპულარიზაციასა და პროფესიული სტანდარტების განმტკიცებას.</p>
8.4.2. საინფორმაციო ხასიათის ბუკლეტებისა და ფლაერების გამოცემა	გამოცემული საინფორმაციო ხასიათის მასალების რაოდენობა	გამოცემული ბუკლეტები და ფლაერები	სსიპ ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი - „საქპატენტი“		<p>საანგარიშო პერიოდში (იანვარი – დეკემბერი) მდგომარეობით გაგრძელდა საინფორმაციო-შემეცნებითი ხასიათის მასალების გამოცემა-ბეჭდვა. კერძოდ, სულ დაიბეჭდა 6689 ერთეული საინფორმაციო ხასიათის მასალა:</p> <ol style="list-style-type: none"> 1. ჟურნალი „საქართველოს ადგილწარმოშობის დასახელებები და გეოგრაფიული აღნიშვნები“ (ინგლისურენოვანი ვერსია) (21X27, 160 გვ.) – ტირაჟი: 144 ეგზ.; 2. ბუკლეტი „კრეატიული დღიური“ (A4, 28 გვ.) – ტირაჟი: 65 ეგზ.;

საქართველოსა და ევროკავშირის შორის ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების (DCFTA-ის) და მის მიღმა ვალდებულებების განხორციელების 2025 წლის შესრულების ანგარიში

აქტივობა	ინდიკატორი	დადასტურების წყარო	პასუხისმგებელი უწყება	პარტნიორი უწყება	შესრულების ანგარიში
					<p>3. ბუკლეტი „საქართველოში რეგისტრირებული ადგილწარმოშობის დასახელებები“ (A4, 40 გვ) – ტირაჟი: 200 ეგზ.;</p> <p>4. მცირეფორმატიანი ბროშურა ზღაპარი „ქოლგა“ (A5, 16 გვ.) – ტირაჟი: 1500 ეგზ.;</p> <p>5. მცირეფორმატიანი ბროშურა ზღაპარი „სარეცხი მანქანა“ (A5, 16გვ.) – ტირაჟი: 1500 ეგზ.;</p> <p>6. მცირეფორმატიანი ბროშურა ზღაპარი „კომპასი“ (A5, 12 გვ.) – ტირაჟი: 1500 ეგზ.;</p> <p>7. მცირეფორმატიანი ბროშურა ზღაპარი „დორემიუს სოლასი“ (A5, 12 გვ.) – ტირაჟი: 1500 ეგზ.;</p> <p>8. ბუკლეტი „ლეგოს შექმნის ისტორია“ (A4, 4 გვ.) – ტირაჟი: 40 ეგზ.;</p> <p>9. საინფორმაციო ფურცელი „რა დრო განვლო ინტელექტუალურმა საკუთრებამ უძველესი დროდან დღემდე?“ (A3) – ტირაჟი: 40 ეგზ.</p> <p>10. საბავშვო კრებული „მზის სახლის ამბები“ (A4, 24გვ.) – 200 ეგზ.</p>
ამოცანა 8.5.	კონტრაფაქციისა და პირატობის წინააღმდეგ ეფექტური ღონისძიებების განხორციელება				
8.5.1. ინტელექტუალური საკუთრების უფლებების მფლობელთათვის და დაინტერესებული პირებისათვის სამუშაო შეხვედრებისა და სემინარების ჩატარება ცნობიერების ამაღლების მიზნით	მფლობელთათვის და დაინტერესებული პირებისათვის ჩატარებული სამუშაო შეხვედრების და ტრენინგების რაოდენობა	Sakpatenti.gov.ge	სსიპ ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი - „საქპატენტი“		„ქონებრივი უფლებების კოლექტიურ საფუძველზე მმართველი ორგანიზაცია – ინტელექტუალური საკუთრების მფლობელთა ასოციაციასთან“ (IPOA) გაიმართა სამუშაო შეხვედრა, რომლის მიზანი იყო კონტრაფაქციისა და პირატობის წინააღმდეგ საკითხების განხილვა.

საქართველოსა და ევროკავშირის შორის ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების (DCFTA-ის) და მის მიღმა ვალდებულებების განხორციელების 2025 წლის შესრულების ანგარიში

აქტივობა	ინდიკატორი	დადასტურების წყარო	პასუხისმგებელი უწყება	პარტნიორი უწყება	შესრულების ანგარიში
	(არანაკლებ 3 ტრენინგი/სემინარი ან/და სამუშაო შეხვედრა)				
ამოცანა 8.6.	ინტელექტუალური საკუთრების კანონმდებლობის დაახლოება ევროკავშირის კანონმდებლობასთან				
8.6.1. "დიზაინის შესახებ" საქართველოს კანონის ევროპარლამენტისა და საბჭოს „დიზაინების სამართლებრივი დაცვის შესახებ“ 1998 წლის 13 ოქტომბრის 98/71/E დირექტივასთან შესაბამისობაში მოყვანა	შემუშავებულია "დიზაინის შესახებ" საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე" საქართველოს კანონის პროექტი	DCFTA-ის სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში	სსიპ ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი - „საქპატენტი“		2025 წლის 11 ნოემბერს საქართველოს პარლამენტმა მიიღო „დიზაინის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის შესახებ საქართველოს კანონი, რომლის მეშვეობითაც „დიზაინის შესახებ“ საქართველოს კანონში აისახა რეკომენდაციები და მოხდა საქართველოს კანონმდებლობის ჰარმონიზება 1998 წლის 13 ოქტომბრის ევროპარლამენტისა და საბჭოს 98/71/EC დირექტივასთან დიზაინის სამართლებრივი დაცვის შესახებ და 2001 წლის 12 დეკემბრის საბჭოს (EC) No 6/2002 რეგულაციასთან „გაერთიანების დიზაინების შესახებ“.
8.6.2. "საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ" საქართველოს კანონის ევრო კავშირის საავტორო და მომიჯნავე უფლებების დაცვასთან დაკავშირებულ კანონმდებლობასთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით შედარებითი ანალიზისა (Gap ანალიზი) და კანონში	მომზადებულ ია შედარებითი ანალიზის (Gap ანალიზის) დოკუმენტი; შემუშავებულია "საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ"	DCFTA-ის სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში	სსიპ ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი - „საქპატენტი“		2025 წლის 9 დეკემბერს საქართველოს პარლამენტმა მიიღო „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე საქართველოს კანონი, რომლის მეშვეობითაც კანონში აისახა რეკომენდაციები და მოხდა საქართველოს კანონმდებლობის ჰარმონიზება 2019/790/EU საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ ერთიან ციფრულ ბაზარზე დირექტივასთან იმ ნაწილში, რომელიც შეეხება შუალედური მომსახურების მიმწოდებლების პასუხისმგებლობის საკითხის განსაზღვრას საავტორო, მომიჯნავე და მონაცემთა ბაზის დამამზადებლის უფლებების დამრღვევი

საქართველოსა და ევროკავშირის შორის ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების (DCFTA-ის) და მის მიღმა ვალდებულებების განხორციელების 2025 წლის შესრულების ანგარიში

აქტივობა	ინდიკატორი	დადასტურების წყარო	პასუხისმგებელი უწყება	პარტნიორი უწყება	შესრულების ანგარიში
შესატანი ცვლილებების პროექტის მომზადება.	საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონის პროექტი				ქმედებებისათვის და პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების საფუძველზე. კანონპროექტის მომზადებისას, ასევე, გამოყენებულ იქნა ევროპარლამენტისა და საბჭოს 2000/31/EC დირექტივა (ელექტრონული კომერციის დირექტივა).
მიზანი 9.	კონკურენციისა და ვაჭრობაში დაცვითი ზომების სფეროების განვითარება ევროკავშირის საუკეთესო პრაქტიკის გათვალისწინებით				
ამოცანა 9.1.	ცნობიერების ამაღლება საჯარო და კერძო სექტორის წარმომადგენლებში კონკურენციისა და ვაჭრობაში დაცვითი ზომების პოლიტიკის მიმართულებით				
9.1.1. კონკურენციის აქტუალურ საკითხებთან დაკავშირებით სემინარებისა და შეხვედრების ორგანიზება	მინიმუმ 3 ჩატარებული სემინარი/შეხვედრა	სააგენტოს წლიური ანგარიში, www.gcca.gov.ge	სსიპ საქართველოს კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგენტო		<p>2025 წელს სააგენტოს ორგანიზებითა და განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მხარდაჭერით, სააგენტოს წარმომადგენლებმა კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის პოლიტიკის მიმართ საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლების მიზნით, საქართველოს მასშტაბით გამართეს 44 შეხვედრა ქ.თბილისისა და რეგიონების სკოლებში, მათ შორის 2 შეხვედრა შშმ მოსწავლეებთან, 6 შეხვედრა - ოკუპირებულ ტერიტორიებთან არსებული გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში, 7 შეხვედრა - ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელ მოსწავლეებთან რეგიონებში.</p> <p>2025 წლის 3 ნოემბერს, სააგენტომ უმასპინძლა სხვადასხვა უნივერსიტეტის სტუდენტებს და გააცნო კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის პოლიტიკის აქტუალური საკითხები.</p>

საქართველოსა და ევროკავშირს შორის ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების (DCFTA-ის) და მის მიღმა ვალდებულებების განხორციელების 2025 წლის შესრულების ანგარიში

აქტივობა	ინდიკატორი	დადასტურების წყარო	პასუხისმგებელი უწყება	პარტნიორი უწყება	შესრულების ანგარიში
					<p>2025 წლის 13-15 ნოემბერს 13-15 ნოემბერს, კონკურენციისა და მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ IV საერთაშორისო კონფერენცია გაიმართა. კონფერენცია - სააგენტოს, ეროვნული ბანკის, სემეკის, დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის და კომუნიკაციების კომისიის ერთობლივი ორგანიზებით იმართება და, ღონისძიების ფარგლებში, საქართველოს 20-მდე ქვეყნის კონკურენციისა და მომხმარებელთა დაცვის უწყების ხელმძღვანელი პირები, ასევე მსხვილი საერთაშორისო ორგანიზაციების (World Bank, UNCTAD, OECD, ICN, ICPEN, Consumers International) წარმომადგენლები ეწვივნენ. კონფერენციის ფარგლებში, ადგილობრივი და საერთაშორისო ექსპერტების მონაწილეობით, 10 პანელური დისკუსია, მათ შორის 3 - საერთაშორისო და ერთი სექტორული კვლევის პრეზენტაცია გაიმართა.</p>
<p>9.1.2. ანტიდემპინგური ღონისძიებების გამოყენების საკითხებთან დაკავშირებით სემინარების და შეხვედრების ორგანიზება კერძო სექტორის წარმომადგენლებისთვის</p>	<p>მინიმუმ 1 ჩატარებული სემინარი/შეხვედრა</p>	<p>სააგენტოს წლიური ანგარიში, www.gcca.gov.ge</p>	<p>სსიპ საქართველოს კონკურენცია და მომხმარებლის დაცვის სააგენტო</p>		<p>2025 წლის 13-15 ნოემბერს კონკურენციისა და მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ IV საერთაშორისო კონფერენცია გაიმართა. კონფერენციის ფარგლებში პანელური სესია დაეთმო საქართველოში ანტიდემპინგური პოლიტიკის განხორციელებასა და აღსრულებას, კერძოდ, სესიაზე განხილულ იქნა სააგენტოს საქმიანობა ანტიდემპინგური პოლიტიკის მიმართულებით და „საქართველოში შესაძლო დემპინგური იმპორტისა და ზიანის მიმართ მოწყვლადი სექტორების შეფასების“ კვლევის შედეგები, რომლის მიზანიც, თავის მხრივ, იყო ანტიდემპინგური პოლიტიკის აღსრულების პროცესში აქტუალური სექტორების იდენტიფიცირება და მათი შეფასება</p>

საქართველოსა და ევროკავშირის შორის ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების (DCFTA-ის) და მის მიღმა ვალდებულებების განხორციელების 2025 წლის შესრულების ანგარიში

აქტივობა	ინდიკატორი	დადასტურების წყარო	პასუხისმგებელი უწყება	პარტნიორი უწყება	შესრულების ანგარიში
ამოცანა 9.2.	თანამშრომლების კვალიფიკაციის ამაღლება				
9.2.1. კონკურენციის პოლიტიკის აქტუალურ საკითხებთან დაკავშირებით ტრენინგების/სემინარების/სასწავლო ვიზიტების ორგანიზება	მინიმუმ 3 ჩატარებული სემინარი/შეხვედრა	სააგენტოს წლიური ანგარიში, www.gcca.gov.ge	სსიპ საქართველოს კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგენტო		<p>2025 წლის განმავლობაში სააგენტოს წარმომადგენლებმა კონკურენციის პოლიტიკის აქტუალურ საკითხებთან დაკავშირებით მონაწილეობა მიიღეს 15 ღონისძიებაში, რომელთაგანაც 12 ღონისძიება ორგანიზებული იყო საერთაშორისო პარტნიორების - UNCTAD, ICN, OECD-GVH, OECD, World Bank-ის მიერ, ამასთან, დამატებით, სააგენტოს წარმომადგენლები დაესწრნენ ტრენინგს, რომელიც შეეხებოდა პერსონალურ მონაცემთა დაცვას ადმინისტრაციული წარმოების პროცესში (მათ შორის საქმის მოკვლევის დროს).</p> <p>დამატებით, სააგენტოს სასწავლოს ცენტრის ორგანიზებით სააგენტოს 30 თანამშრომლისთვის ჩატარდა EXCEL-ის ორკვირიანი კურსი.</p> <p>სააგენტოს თანამშრომლები, სააგენტოსა და უნგრეთის კონკურენციის უწყების თანამშრომლობის ფარგლებში, სასწავლო ვიზიტით იმყოფებოდნენ ბუდაპეშტში, უნგრეთის კონკურენციის უწყებაში, სადაც მხარეებმა კონკურენციის ორგანოების საქმიანობის ნაწილში ონლაინ ვაჭრობისა და ბიზნესის სხვადასხვა სექტორში არსებული ვითარება და გამოწვევები, კონცენტრაციების კონტროლისა და აღსრულების მექანიზმები, კარტელის გამოვლენისას მოულოდნელი შემოწმებების (dawn raids) და ქცევით სტრუქტურულ ღონისძიებებთან დაკავშირებული თემები განიხილეს.</p>

საქართველოსა და ევროკავშირის შორის ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების (DCFTA-ის) და მის მიღმა ვალდებულებების განხორციელების 2025 წლის შესრულების ანგარიში

აქტივობა	ინდიკატორი	დადასტურების წყარო	პასუხისმგებელი უწყება	პარტნიორი უწყება	შესრულების ანგარიში
9.2.2. ანტიდემპინგური ღონისძიებების გამოყენების საკითხებთან დაკავშირებით სააგენტოს თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლება	მინიმუმ 1 ჩატარებული სემინარი/შეხვედრა	სააგენტოს წლიური ანგარიში, www.gcca.gov.ge	სსიპ საქართველოს კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგენტო		სააგენტოს წარმომადგენლებმა 2025 წელს ანტიდემპინგური ღონისძიებების გამოყენების საკითხებთან დაკავშირებით კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით, გაიარეს მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის (WTO)-ს კურსის (i-trade)-ის მოდული, რომელიც ეხება ანტიდემპინგური შესწავლის პროცედურის განხორციელების პრაქტიკულ ასპექტებს.
ამოცანა 9.3.	კონკურენციის პოლიტიკის მარეგულირებელი სამართლებრივი აქტების დაახლოება ევროკავშირის კანონმდებლობასთან				
9.3.1 კონკურენციის პოლიტიკის მათ შორის, სახელმწიფო დახმარების მიმართულებით, მარეგულირებელ სამართლებრივ აქტებში ცვლილებების განხორციელება ევროკავშირის კანონმდებლობასთან დაახლოების მიზნით	განახლებული/მიღებული სამართლებრივი აქტები	საქართველოს საკანონმდებლო მაცნე სააგენტოს წლიური ანგარიში, www.gcca.gov.ge	სსიპ საქართველოს კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგენტო		2025 წლის 13 ივნისს, სააგენტოს თავმჯდომარის სამართლებრივი აქტით (ბრძანებით) დამტკიცდა გზამკვლევი დოკუმენტი კონკურენციის საქმეების მოკვლევის პროცესში დროებითი (შუალედური) ღონისძიებების გამოყენების შესახებ. აღნიშნული გზამკვლევი თავსებადია ევროკავშირის შესაბამის აქტებთან, მათ შორის (EC) № 1/2003 რეგულაციასთან, კომისიის სხვადასხვა რეკომენდაციებსა და პრაქტიკასთან, გზამკვლევი ასევე აგრეთვე ECN-ის რეკომენდაციას დროებითი ღონისძიებების გამოყენების შესახებ. 2025 წლის 22 დეკემბერს, სააგენტოს თავმჯდომარის N 04/1537 სამართლებრივი აქტით (ბრძანებით) განახლდა ჯარიმის განსაზღვრის მეთოდოლოგია, რომელიც თანხვედრაშია ევროკავშირში არსებული მეთოდოლოგიის (2006/C 210/02) ძირითად პრინციპებთან.

საქართველოსა და ევროკავშირის შორის ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების (DCFTA-ის) და მის მიღმა ვალდებულებების განხორციელების 2025 წლის შესრულების ანგარიში

აქტივობა	ინდიკატორი	დადასტურების წყარო	პასუხისმგებელი უწყება	პარტნიორი უწყება	შესრულების ანგარიში
მიზანი 10.	მდგრადი განვითარების ხელშეწყობა				
ამოცანა 10.1.	ბუნებრივი რესურსების მდგრადი მართვა და კონსერვაციის ხელშეწყობა				
10.1.1 გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და FAO/GFCM-ს შორის მჭიდრო და უწყვეტი თანამშრომლობის ფარგლებში, პრიორიტეტულ სახეობებზე კვლევის ჩატარება შავი ზღვის არეალში (ქაფშია, სტავრიდა, მერლანგი, კამბალა, რაპანა, ხონთქარა). შავი ზღვის მასშტაბით დემერსალური სახეობების კვლევა FAO/GFCM-ის BlackSea4Fish პროექტის ფარგლებში. ჰიდროაკუსტიკური კვლევის მეთოდების ჰარმონიზაციის პროცესი დაწყება FAO/GFCM-თან თანამშრომლობის ფარგლებში, რეგიონული ტრენინგების ჩატარება	BlackSea4Fish პროექტის ფარგლებში განხორციელებული კვლევების რაოდენობა თევზის შესაბამის სახეობებზე, ჰიდროაკუსტიკური კვლევის მეთოდების ერთიანობის ხარისხის და პროცესის წარმატების შეფასება, ჰარმონიზაციის პროცესის შედეგად, მონიტორინგი ს სისტემის გაუმჯობესება და მონაცემების შეგროვების მეთოდების	DCFTA-ს განხორციელების სამოქმედო გეგმის შესრულების წლიური ანგარიში; www.DCFTA.gov.ge	საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო	სსიპ - გარემოს ეროვნული სააგენტო სსდ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი	<p>გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციისა (FAO) და საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სსიპ - გარემოს ეროვნულ სააგენტოს შორის 2024 წლის 11 სექტემბერს გაფორმებული საგრანტო ხელშეკრულების ფარგლებში 2025 წლის იანვარ-თებერვალში და მისში მოეწყო ორი 4 დღიანი საზღვაო ექსპედიცია და განხორციელდა ფსკერული ტრალირება სტანდარტიზებული დემერსალური ტრალით ხონთქარასა, მერლანგის, კამბალას და კატრანის პოპულაციების შესწავლის მიზნით. აღნიშნულ სახეობებზე შეგროვდა ბიოლოგიური მონაცემები, მომზადდა მონაცემთა ბაზა. GFCM-ის სამდივნოში და პროექტის კოორდინატორებთან წარდგენილია ექსპერიმენტული დემერსალური ტრალური კვლევის საბოლოო ტექნიკური ანგარიში.</p> <p>ასევე, ჩატარდა ჰიდროაკუსტიკური კვლევა ქაფშიაზე. მომზადდა მარაგების შეფასების მონაცემთა ბაზა, სარეწაო თევზების ბიოლოგიური მონაცემების შესახებ;</p> <p>BlackSea4Fish პროექტის ფარგლებში აღნიშნულ პრიორიტეტულ სახეობებზე განხორციელებული კვლევების შედეგად ზუსტი და უახლესი მონაცემები გავრცელების, რაოდენობის, ეკოლოგიური მდგომარეობის, მიგრაციის და ჰაბიტატების შესახებ დაგროვებულია. ჰიდროაკუსტიკური მეთოდების</p>

საქართველოსა და ევროკავშირის შორის ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების (DCFTA-ის) და მის მიღმა ვალდებულებების განხორციელების 2025 წლის შესრულების ანგარიში

აქტივობა	ინდიკატორი	დადასტურების წყარო	პასუხისმგებელი უწყება	პარტნიორი უწყება	შესრულების ანგარიში
	<p>სტანდარტიზაცია. FAO/GFCM-ის ქვეყნებთან თანამშრომლობის ინტენსივობა და მათ მიერ მეთოდების დანერგვის ხელშეწყობა, შეხვედრებისა და ტრენინგების რაოდენობა, მიღებული გამოცდილება</p>				<p>ერთიანი სტანდარტები შემუშავებულია. GFCM-ის მონაცემთა შეგროვების პლატფორმაზე (DCRF) რეგულარულად იტვირთება ყველა ხელმისაწვდომი მოთხოვნილი მონაცემი.</p> <p>2025 წლის 4-7 მარტს შავი ზღვის ქვეყნებს შორის ჰიდროაკუსტიკური კვლევის მეთოდების ჰარმონიზაციის პროცესის დაწყების მიზნით ხმელთაშუა ზღვის მეთევზეობის გენერალური კომისიის (GFCM) მხარდაჭერით ქ. ბათუმში სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს ბათუმის ოფისში ჩატარდა სამუშაო შეხვედრა, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს მეთევზეობის, აკვაკულტურისა და წყლის ბიომრავალფეროვნების დეპარტამენტის თანამშრომლებმა.</p> <p>2025 წლის 18-19 მარტს სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს მეთევზეობის, აკვაკულტურისა და წყლის ბიომრავალფეროვნების დეპარტამენტის თანამშრომლებმა მონაწილეობა მიიღეს საქართველოში მცირე მასშტაბის თევზჭერის (SSF) ფლოტის რეგისტრაციისთვის საკანონმდებლო ბაზის დანერგვასა და მონაცემთა შეგროვების შესახებ სემინარში .</p> <p>2025 წლის 26-30 მაისი მეთევზეობის, აკვაკულტურისა და წყლის ბიომრავალფეროვნების დეპარტამენტის სპეციალისტები მონაწილეობას ღებულობდნენ გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის ხმელთაშუაზღვის მეთევზეობის გენერალური კომისიის (GFCM) მიერ ქ. ტრაბზონში ორგანიზებულ შავი ზღვის</p>

საქართველოსა და ევროკავშირის შორის ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების (DCFTA-ის) და მის მიღმა ვალდებულებების განხორციელების 2025 წლის შესრულების ანგარიში

აქტივობა	ინდიკატორი	დადასტურების წყარო	პასუხისმგებელი უწყება	პარტნიორი უწყება	შესრულების ანგარიში
					<p>პრიორიტეტული თევზის სახეობის მერლანგის ასაკის განსაზღვრის მეთოდოლოგიის განხილვასთან დაკავშირებულ სამუშაო შეხვედრაში.</p> <p>2025 წლის 2-4 ივნისი - სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს მეთევზეობის, აკვაკულტურისა და წყლის ბიომრავალფეროვნების დეპარტამენტის თანამშრომლებმა მონაწილეობა მიიღეს ქ. ბურგასში (ბულგარეთი), შავი ზღვის კამბალის თევზჭერის ტექნიკური ღონისძიებების გატარებასთან დაკავშირებულ სამუშაო შეხვედრაში, რომელიც GFCM-ის მიერ იყო ორგანიზებული;</p> <p>2025 წლის 9-13 ივნისი - სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს მეთევზეობის, აკვაკულტურისა და წყლის ბიომრავალფეროვნების დეპარტამენტის თანამშრომლებმა მონაწილეობა მიიღეს ქ. ბათუმში (საქართველო) გამართულ შავი ზღვის მარაგების შეფასების სუბრეგიონალური ჯგუფის (SGSABS) სამუშაო შეხვედრაში, რომელიც ეძღვნებოდა შავი ზღვის მარაგების შეფასების მონაცემთა მომზადებას. GFCM-ის მხარდაჭერით აღნიშნულ შეხვედრას ესწრებოდნენ გერმანიის, იტალიის, ესპანეთის, ბულგარეთის, თურქეთისა და უკრაინის წარმომადგენლები;</p> <p>2025 წლის 7-11 ივლისს, სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს მეთევზეობის, აკვაკულტურისა და წყლის ბიომრავალფეროვნების დეპარტამენტის თანამშრომლებმა მონაწილეობა მიიღეს ხმელთაშუა ზღვის მეთევზეობის გენერალური კომისიის (GFCM) ორგანიზებით და ფინანსური მხარდაჭერით ქ.</p>

საქართველოსა და ევროკავშირის შორის ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების (DCFTA-ის) და მის მიღმა ვალდებულებების განხორციელების 2025 წლის შესრულების ანგარიში

აქტივობა	ინდიკატორი	დადასტურების წყარო	პასუხისმგებელი უწყება	პარტნიორი უწყება	შესრულების ანგარიში
					<p>ბურგასში (ბულგარეთი) გამართულ შავი ზღვის მარაგების შეფასების სუბრეგიონული ჯგუფის (SGSABS) სამუშაო შეხვედრაში;</p> <p>2025 წლის 22-25 ივლისს სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს მეთევზეობის, აკვაკულტურისა და წყლის ბიომრავალფეროვნების დეპარტამენტის თანამშრომელმა მონაწილეობა მიიღო ქ. კონსტანცაში გამართულ შავი ზღვის სამუშაო ჯგუფის (WGBS) მე-11 და BlackSea4Fish მმართველი კომიტეტის სამუშაო შეხვედრებში.</p> <p>2025 წლის 11 ივლისს, გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციასა (FAO) და საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოს შორის გაფორმდა საგრანტო ხელშეკრულება — „მონიტორინგი, მონაცემთა შეგროვება და ცნობიერების ამაღლება საქართველოში შავი ზღვის მეთევზეობის სფეროში“, რომლის ფარგლებშიც:</p> <ul style="list-style-type: none"> - 2025 წლის 11 სექტემბერს, ქ. ბათუმში, სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს ოფისში, GFCM-ის ექსპერტებმა გამართეს ტრენინგ-სესია ხმელთაშუა ზღვის მეთევზეობის გენერალური კომისიის მიერ შემუშავებული გაიდლაინების შესაბამისად თემაზე: „შავ ზღვაში ზუთხისებრთა სახეობებისა და შავი ზღვის კატრანის თანჭერილში მოხვედრისას უსაფრთხო მოპყრობა და გაშვება“. აღნიშნულ ღონისძიებას ესწრებოდნენ გარემოს ეროვნული სააგენტოს მეთევზეობის, აკვაკულტურისა და წყლის ბიომრავალფეროვნების დეპარტამენტის სპეციალისტები;

საქართველოსა და ევროკავშირის შორის ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების (DCFTA-ის) და მის მიღმა ვალდებულებების განხორციელების 2025 წლის შესრულების ანგარიში

აქტივობა	ინდიკატორი	დადასტურების წყარო	პასუხისმგებელი უწყება	პარტნიორი უწყება	შესრულების ანგარიში
					<p>- 2025 წლის 12 სექტემბერს, სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს ბათუმის ოფისში გაიმართა დაინტერესებულ მხარეთა შეხვედრა. ღონისძიებაზე განხილული იქნა მეთევზეობის სექტორში არსებული პრობლემები; განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდა სანაპირო მეთევზეობის გამოწვევებზე. ასევე აღინიშნა სოციალური და ეკონომიკური მონაცემების შეგროვების მნიშვნელობა და აქცენტი გაკეთდა მეთევზეობა და სხვა დაინტერესებულ სუბიექტებს შორის თანამშრომლობისა და გამჭვირვალობის უზრუნველყოფის საკითხებზე. შეხვედრას ესწრებოდნენ GFCM-ის ექსპერტები, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს, გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის, სანაპირო პოლიციის წარმომადგენლები და მეთევზეები.</p> <p>- 2025 წლის 22-24 ივლისს გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის წარმომადგენელმა მონაწილეობა მიიღო ქ. კონსტანცაში (რუმინეთი) გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის (FAO) ორგანიზაციის და ხმელთაშუა ზღვის თევზჭერის გენერალური კომისიის (GFCM) მიერ ორგანიზებულ შავი ზღვის სამუშაო ჯგუფის მე-11 შეხვედრაში (WGBS).</p> <p>- 2025 წლის 29 ოქტომბერს, სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს ბათუმის ოფისში გაიმართა დაინტერესებულ მხარეთა მეორე შეხვედრა. ღონისძიების ფარგლებში განხილულ იქნა მეთევზეობის სექტორში არსებული ძირითადი გამოწვევები და მიმდინარე პრობლემები. შეხვედრის ფარგლებში ასევე ჩატარდა ტრენინგ-სესია, რომელიც განხორციელდა ხმელთაშუა ზღვის მეთევზეობის</p>

საქართველოსა და ევროკავშირის შორის ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების (DCFTA-ის) და მის მიღმა ვალდებულებების განხორციელების 2025 წლის შესრულების ანგარიში

აქტივობა	ინდიკატორი	დადასტურების წყარო	პასუხისმგებელი უწყება	პარტნიორი უწყება	შესრულების ანგარიში
					<p>გენერალური კომისიის (GFCM) მიერ შემუშავებული გაიდლაინების შესაბამისად, თემაზე: „შავ ზღვაში ზუთხისებრთა სახეობებისა და შავი ზღვის კატრანის თანჭერილში მოხვედრისას უსაფრთხო მოპყრობა და გაშვება“. ღონისძიებას ესწრებოდნენ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სასაზღვრო პოლიციის სანაპირო დაცვის დეპარტამენტის თანამშრომლები.</p> <p>- 2025 წლის 1 სექტემბრიდან 31 ოქტომბრის ჩათვლით პერიოდში, სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს მეთევზეობის, აკვაკულტურისა და წყლის ბიომრავალფეროვნების დეპარტამენტის თანამშრომელმა მონაწილეობა მიიღო იტალიის ქ. ტრიესტეში, ოკეანოგრაფიისა და გამოყენებითი გეოფიზიკის ეროვნულ ინსტიტუტში (OGS) განხორციელებულ სტაჟირების პროგრამაში, სახელწოდებით: „კომერციული რესურსების სივრცითი განაწილებისა და ოკეანოგრაფიული გარემოს ცვლადებს შორის ინტეგრაცია საქართველოს საზღვაო რესურსებისა და მეთევზეობის მდგრადი მართვის მხარდასაჭერად შავ ზღვაში“.</p> <p>- 2025 წლის 4-8 ნოემბერს, ქ. ბათუმში, სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს ოფისში, ხმელთაშუა ზღვის მეთევზეობის გენერალური კომისიის (GFCM) მხარდაჭერით, გაიმართა სამუშაო შეხვედრა, რომლის მიზანი იყო შავი ზღვის სტავრიდას ასაკის განსაზღვრის მეთოდოლოგიის ჰარმონიზება. შეხვედრაში მონაწილეობდნენ გარემოს ეროვნული სააგენტოს მეთევზეობის, აკვაკულტურისა და წყლის ბიომრავალფეროვნების დეპარტამენტის თანამშრომლები და საერთაშორისო ექსპერტები.</p> <p>- 2025 წლის 17-22 ნოემბერს, ხმელთაშუა ზღვის მეთევზეობის გენერალური კომისიის (GFCM)</p>

საქართველოსა და ევროკავშირის შორის ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების (DCFTA-ის) და მის მიღმა ვალდებულებების განხორციელების 2025 წლის შესრულების ანგარიში

აქტივობა	ინდიკატორი	დადასტურების წყარო	პასუხისმგებელი უწყება	პარტნიორი უწყება	შესრულების ანგარიში
					და BlackSea4Fish პროექტის მხარდაჭერით, ე.მერსინში (თურქეთის რესპუბლიკა) გაიმართა ტრენინგი, რომლის მიზანი იყო ჰიდროაკუსტიკური კვლევის მეთოდების ჰარმონიზება შავი ზღვის ქვეყნებს შორის. ტრენინგში მონაწილეობა მიიღო სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს მეთევზეობის, აკვაკულტურისა და წყლის ბიომრავალფეროვნების დეპარტამენტის ორმა თანამშრომელმა.
10.1.2 ტყის მდგრადი მართვის შედეგად წარმოებული ხე-ტყის ნაწარმით ვაჭრობის ხელშეწყობა	ქვეყანაში ფუნქციონირებს დამატებით 15 საქმიანი ეზო	DCFTA-ის განხორციელების სამოქმედო გეგმის შესრულების წლიური ანგარიში; www.DCFTA.gov.ge	საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო	სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტო	<p>საქმიანი ეზოების ფუნქციონირების ფარგლებში, სრულად დაკომპლექტდა 15 საქმიანი ეზო საქართველოს სამ რეგიონში: გურიაში, კახეთსა და თიანეთში. აღნიშნულ საქმიან ეზოებში დასაქმებულია 105 თანამშრომელი შემდეგ პოზიციებზე: მენეჯერი, ოპერატორი, დამხმარე სპეციალისტი (მძღოლი), დამხმარე სპეციალისტი (მუშა), დარაჯი. აღნიშნული აქტივობა შესრულებულია სრულად.</p> <p>გარდა აღნიშნულისა, საქმიან ეზოებში სარეალიზაციოდ დასაწყობებულია 7,929 კმ მერქნული რესურსი კახეთის, მცხეთა-მთიანეთისა და გურიის შემდეგ მუნიციპალიტეტებში-ყვარელი, თელავი, დედოფლისწყარო, ახმეტა, ლანჩხუთი, ჩოხატაური, ოზურგეთი და თიანეთი. მიმდინარე საანგარიშო პერიოდში კახეთის, გურიისა და მცხეთა-მთიანეთის შესაბამის მუნიციპალიტეტებში საქმიანი ეზოებიდან რეალიზებული მერქნული რესურსის მოცულობამ შეადგინა 48,655 კმ.</p>

საქართველოსა და ევროკავშირის შორის ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების (DCFTA-ის) და მის მიღმა ვალდებულებების განხორციელების 2025 წლის შესრულების ანგარიში

აქტივობა	ინდიკატორი	დადასტურების წყარო	პასუხისმგებელი უწყება	პარტნიორი უწყება	შესრულების ანგარიში
ამოცანა 10.2.	კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებული საერთაშორისო ვალდებულებების/ხელშეკრულებების შესრულება				
10.2.1 ეროვნულ დონეზე განსაზღვრული წვლილის (NDC) შესრულების სამოქმედო გეგმის (2024-2025) განხორციელების 2024 წლის ანგარიშის მომზადება	საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციაში წარდგენილი - კლიმატის ცვლილების სამოქმედო გეგმის (2024-2025) წლიური ანგარიში	საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ვებ-გვერდი www.mepa.gov.ge	საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო		ეროვნულ დონეზე განსაზღვრული წვლილის (NDC) შესრულების სამოქმედო გეგმის (2024-2025) განხორციელების 2024 წლის ანგარიში მომზადდა და წარედგინა საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციას. მიღებული შენიშვნები აისახა დოკუმენტში, რის შემდეგ ანგარიში განთავსდა სამინისტროს ვებ-გვერდზე.
10.2.2 საქართველოს კლიმატის ცვლილების სამოქმედო გეგმის (2026-2028) განახლების დაწყება	ჩამოყალიბებულია მინიმუმ 2 სამუშაო ჯგუფი; შემუშავებულია სამოქმედო გეგმის სამუშაო ვერსია	DCFTA-ს განხორციელება ის სამოქმედო გეგმის შესრულების წლიური ანგარიში; www.DCFTA.gov.ge	საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო		საქართველოს კლიმატის ცვლილების განახლებული სტრატეგია და სამოქმედო გეგმა წარმოადგენენ საქართველოს ეროვნულად განსაზღვრული წვლილის მე-3 ციკლით (NDC 3.0) გაწერილი მიზნების მიღწევის ინსტრუმენტებს. აღნიშნულიდან გამომდინარე ამ დოკუმენტების უშუალოდ შემუშავება დაიწყება NDC 3.0-ის დამტკიცების შემდეგ. გარდა ამისა, საქართველოს კლიმატის ცვლილების სამოქმედო გეგმის (2026-2028) განახლების მიზნით გაფორმდა ხელშეკრულება გაეროს პროექტების მომსახურების ოფისთან (United Nations Office of Project Services - UNOPS), რომლის პროექტის - „კლიმატის ცვლილების გამჭვირვალობის ინიციატივა“-სთან (ICAT) ფარგლებში სამინისტროს აღმოუჩინენ ტექნიკურ მხარდაჭერას დოკუმენტის შემუშავებაში.

საქართველოსა და ევროკავშირის შორის ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების (DCFTA-ის) და მის მიღმა ვალდებულებების განხორციელების 2025 წლის შესრულების ანგარიში

აქტივობა	ინდიკატორი	დადასტურების წყარო	პასუხისმგებელი უწყება	პარტნიორი უწყება	შესრულების ანგარიში
					ამ ეტაპზე, ICAT-თან თანამშრომლობით, მიმდინარეობს ორგანიზაციის შერჩევა, რომელიც შეიმუშავებს განახლებულ საქართველოს კლიმატის ცვლილების სამოქმედო გეგმას (2026-2028).
10.2.3 განახლებული NDC 3.0-ის განხორციელების მიზნით საქართველოს კლიმატის ცვლილების 2030 წლის სტრატეგიის განახლების დაწყება	საქართველოს კლიმატის ცვლილების 2030 წლის სტრატეგიის განახლებისთვის შერჩეული არიან ექსპერტები შექმნილია მინიმუმ 2 სამუშაო ჯგუფი	DCFTA-ს განხორციელება ის სამოქმედო გეგმის შესრულების წლიური ანგარიში; www.DCFTA.gov.ge	საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო		საქართველოს კლიმატის ცვლილების განახლებული სტრატეგია და სამოქმედო გეგმა წარმოადგენენ საქართველოს ეროვნულად განსაზღვრული წვლილის მე-3 ციკლით (NDC 3.0) გაწერილი მიზნების მიღწევის ინსტრუმენტებს. აღნიშნულიდან გამომდინარე ამ დოკუმენტების უშუალოდ შემუშავება დაიწყება NDC 3.0-ის დამტკიცების შემდეგ. გარდა ამისა, საქართველოს კლიმატის ცვლილების 2030 წლის სტრატეგიის განახლების მიზნით გაფორმდა ხელშეკრულება გაეროს პროექტების მომსახურების ოფისთან (United Nations Office of Project Services - UNOPS), რომლის პროექტის - „კლიმატის ცვლილების გამჭვირვალობის ინიციატივა“-სთან (ICAT) - ფარგლებში სამინისტროს აღმოუჩენენ ტექნიკურ მხარდაჭერას დოკუმენტის შემუშავებაში. ამ ეტაპზე, ICAT-თან თანამშრომლობით, მიმდინარეობს ორგანიზაციის შერჩევა, რომელსაც დაევალება საქართველოს კლიმატის ცვლილების 2030 წლის სტრატეგიის განახლება.
10.2.4 განახლებული ეროვნულ დონეზე განსაზღვრული წვლილის (NDC 3.0) დოკუმენტის შემუშავება და დამტკიცება	განახლებული ეროვნულად განსაზღვრული წვლილის დოკუმენტი (NDC 3.0)	DCFTA-ს განხორციელების სამოქმედო გეგმის შესრულების წლიური ანგარიში;	საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის		საქართველოს ეროვნულად განსაზღვრული წვლილის მე-3 ციკლის (NDC 3.0) დოკუმენტის სამუშაო ვერსია შემუშავებულია. შედგა შეხვედრები სახელმწიფო უწყებებთან, რომლებსაც გაეცნოთ დოკუმენტის შემუშავების წინაპირობები და მოხდა

საქართველოსა და ევროკავშირის შორის ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების (DCFTA-ის) და მის მიღმა ვალდებულებების განხორციელების 2025 წლის შესრულების ანგარიში

აქტივობა	ინდიკატორი	დადასტურების წყარო	პასუხისმგებელი უწყება	პარტნიორი უწყება	შესრულების ანგარიში
	წარდგენილია გაეროს კლიმატის ცვლილების ჩარჩო კონვენციის (UNFCCC) სამდივნოს წინაშე	www.DCFTA.gov.ge	მეურნეობის სამინისტრო		მათთან დოკუმენტში გაწერილი გზავნილების შეთანხმება. მიმდინარე წლის 25 აპრილს ჩატარდა საჯარო შეხვედრა, სადაც სხვადასხვა დაინტერესებულ მხარეს წარედგინათ NDC 3.0. იგეგმება დოკუმენტის შეთანხმება კლიმატის ცვლილების საბჭოსთან რის შემდეგაც NDC 3.0 წარედგინება საქართველოს მთავრობას დასამტკიცებლად.
10.2.5 კლიმატის ცვლილებასთან "ადაპტაციის ეროვნული გეგმის" (NAP) შემუშავების დაწყება	შემუშავებულია კლიმატის ცვლილების ეროვნული ადაპტაციის გეგმის (NAP) მომზადების დეტალური სამუშაო გეგმა მომზადებულა ინსტიტუციური და საკანონმდებლო ანალიზი	DCFTA-ს განხორციელება ის სამოქმედო გეგმის შესრულების წლიური ანგარიში; www.DCFTA.gov.ge	საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო		ეროვნული ადაპტაციის გეგმის (NAP) შესამუშავებლად პროექტმა გაიარა შიდასახელმწიფოებრივი პროცედურები და საქართველოს მთავრობისგან მიიღო თანხმობა მისი განხორციელების თაობაზე. დასრულდა პროექტის ტექნიკური დავალების შემუშავება - გამოცხადდა ტენდერი და მიმდინარეობს პროექტის განმახორციელებელი კომპანიის (კონსორციუმის) შერჩევა.

საქართველოსა და ევროკავშირის შორის ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების (DCFTA-ის) და მის მიღმა ვალდებულებების განხორციელების 2025 წლის შესრულების ანგარიში

აქტივობა	ინდიკატორი	დადასტურების წყარო	პასუხისმგებელი უწყება	პარტნიორი უწყება	შესრულების ანგარიში
ამოცანა 10.3.	შრომის უფლებების დაცვის უზრუნველყოფა საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად				
10.3.1 დამსაქმებელთა და დასაქმებულთა ცნობიერების ამაღლება შრომითი ნორმების შესახებ	საინფორმაციო /სამუშაო შეხვედრებისა და ცხელი ხაზის მეშვეობით გაწეული კონსულტაციების რაოდენობა; მომზადებული თემატური მასალების რაოდენობა	შრომის ინსპექციის წლიური ანგარიში - lio.moh.gov.ge	სსიპ შრომის ინსპექციის სამსახური	საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებიდან დევნილთა შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო	<p>შრომით ნორმებზე ცნობიერების ამაღლების ფარგლებში 2025 წლის საანგარიშო პერიოდში განხორციელდა 3824 საინფორმაციო შეხვედრა, რომელიც 35 000-ზე მეტ პირს შეეხო.</p> <p>ამასთან, საანგარიშო პერიოდში, ევროკავშირის საჯარო სამსახურების დამმობილების პროექტის ფარგლებში მომზადებული 17 თემატური ბუკლეტი ითარგმნა (ინგლისურ, აზერბაიჯანულ, სომხურ და რუსულ ენებზე) და გავრცელდა საინფორმაციო შეხვედრების ფარგლებში. ასევე, აღნიშნული ბუკლეტები განთავსდა საჯაროდ და ხელმისაწვდომია სამსახურის ოფიციალურ ვებგვერდზე (lio.moh.gov.ge)</p> <p>გარდა ამისა, სამსახურის მიერ მომზადდა და გავრცელდა შრომით ნორმებთან დაკავშირებული 25 ვიდეორგოლი. ვიდეორგოლები ხელმისაწვდომია სამსახურის მიერ ადმინისტრირებულ სოციალურ ქსელებსა (FACEBOOK;YouTube) და ვებგვერდზე (lio.moh.gov.ge).</p> <p>ამასთან, სსიპ-შრომის ინსპექციის სამსახურის საკონსულტაციო ცენტრმა/ცხელმა ხაზმა (15-75) კონსულტაცია გაუწია 14,432 შემოსულ ზარს;</p>

საქართველოსა და ევროკავშირის შორის ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების (DCFTA-ის) და მის მიღმა ვალდებულებების განხორციელების 2025 წლის შესრულების ანგარიში

აქტივობა	ინდიკატორი	დადასტურების წყარო	პასუხისმგებელი უწყება	პარტნიორი უწყება	შესრულების ანგარიში
10.3.2 დამსაქმებელთა და დასაქმებულთა ცნობიერების ამაღლება ბავშვთა შრომის შესახებ	ბავშვთა შრომის შესახებ ცნობიერების ამაღლების მიზნით ჩატარებული საინფორმაციო შეხვედრების, დაბეჭდილი და გავრცელებული ბუკლეტების რაოდენობა	lio.moh.gov.ge	საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებთან დევნილთა შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო	სსიპ შრომის ინსპექციის სამსახური	<p>საანგარიშო პერიოდში სსიპ - შრომის ინსპექციის სამსახურის მიერ 7,111 აქტივობა (პირველადი და შემდგომი ინსპექტირებები დარღვევების აღმოფხვრამდე, მონიტორინგი) 3,733 ობიექტზე (პირველადი ინსპექტირების ფარგლებში შემოწმებული ობიექტები); განხორციელებული ინსპექტირებების შედეგად, არასრულწლოვანთა შრომითი უფლებების დარღვევის ფაქტები გამოვლინდა 16 სამუშაო ადგილზე 26 არასრულწლოვნის მიმართ. მათგან, შრომის კოდექსით განსაზღვრული ნორმების დარღვევა 15 სამუშაო ადგილზე გამოვლინდა, სადაც სახდელის სახედ განისაზღვრა ჯარიმა, ჯამში 75900 ლარის ოდენობით და გამოვლენილი დარღვევების შესაბამისად შედგა - 79 მითითება. შრომის უსაფრთხოების ნორმების დარღვევისთვის 1 სამუშაო ადგილზე საშიშ სამუშაო გარემოში არასრულწლოვნის მუშაობისთვის სახდელის სახედ განისაზღვრა სამუშაო პროცესის შეჩერება.</p> <p>ამასთან, საანგარიშო პერიოდში შრომით ნორმებზე, მათ შორის, ბავშვთა შრომის შესახებ საზოგადოების ცნობიერების ამაღლების მიზნით განხორციელდა 3824 საინფორმაციო/სამუშაო შეხვედრა, რომელიც 35 000-მზე მეტ პირს შეეხო.</p> <p>გარდა ამისა, საანგარიშო პერიოდში, შრომითი ნორმების ეფექტიანი გამოყენების უზრუნველყოფის მიზნით საზოგადოების ცნობიერების ამაღლების ფარგლებში, ევროკავშირის საჯარო სამსახურების დამმობილების პროექტის ფარგლებში მომზადებული 17 თემატური ბუკლეტი, მათ შორის,</p>

საქართველოსა და ევროკავშირის შორის ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების (DCFTA-ის) და მის მიღმა ვალდებულებების განხორციელების 2025 წლის შესრულების ანგარიში

აქტივობა	ინდიკატორი	დადასტურების წყარო	პასუხისმგებელი უწყება	პარტნიორი უწყება	შესრულების ანგარიში
	შედგენილია შესაბამისი ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმები;				<p>არასრულწლოვანთა შრომასთან დაკავშირებით, ითარგმნა (ინგლისურ, აზერბაიჯანულ, სომხურ და რუსულ ენებზე) და გავრცელდა საინფორმაციო შეხვედრების ფარგლებში. ასევე, აღნიშნული ბუკლეტები განთავსდა საჯაროდ და ხელმისაწვდომია სამსახურის ოფიციალურ ვებგვერდზე (lio.moh.gov.ge)</p> <p>აქვე აღსანიშნავია, რომ სამსახურის მიერ მომზადდა და გავრცელდა შრომით ნორმებთან დაკავშირებული 25 ვიდეორგოლი, მათ შორის, არასრულწლოვანთა შრომითი უფლებების შესახებ. ვიდეორგოლები ხელმისაწვდომია სამსახურის მიერ ადმინისტრირებულ სოციალურ ქსელებსა (FACEBOOK; YouTube) და ვებგვერდზე (lio.moh.gov.ge).</p> <p>ამასთან, სსიპ-შრომის ინსპექციის სამსახურის საკონსულტაციო ცენტრმა/ცხელმა ხაზმა (15-75) კონსულტაცია გაუწია 14,432 შემოსულ ზარს, რომელთაგან 86 ზარი უშუალოდ უკავშირდებოდა არასრულწლოვანთა შრომით უფლებებს</p>
10.3.3 სსიპ-შრომის ინსპექციის სამსახურის ინსტიტუციური გაძლიერება	შრომის ინსპექტორთა პროფესიული უნარების გაძლიერების მიზნით გატარებული ღონისძიებები	შრომის ინსპექციის წლიური ანგარიში - lio.moh.gov.ge	სსიპ შრომის ინსპექციის სამსახური	საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებიდან დევნილთა შრომის, ჯანმრთელობისა და	2025 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის გათვალისწინებით სსიპ-შრომის ინსპექციის სამსახურის ინსტიტუციური გაძლიერების მიზნებისთვის, ზედამხედველობის მანდატის ზრდის ეფექტურად აღსრულების მიზნით სამსახურმა სტრუქტურული ცვლილებები განიცადა და დაიხვეწა ცალკეული სპეციალიზებული სამმართველოების სახით, რომლის შედეგად უწყების სამტატორაოდენობა განისაზღვრა 190 ერთეულით, სადაც

საქართველოსა და ევროკავშირს შორის ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების (DCFTA-ის) და მის მიღმა ვალდებულებების განხორციელების 2025 წლის შესრულების ანგარიში

აქტივობა	ინდიკატორი	დადასტურების წყარო	პასუხისმგებელი უწყება	პარტნიორი უწყება	შესრულების ანგარიში
	<p>(შემუშავებული სახელმძღვანელო დოკუმენტები; განხორციელებული ტრენინგები) რაოდენობა</p>			<p>სოციალური დაცვის სამინისტრო</p>	<p>შრომის ინსპექტირების განხორციელებაზე პასუხისმგებელ პირთა რაოდენობამ შრომის ინსპექტორების გათვალისწინებით შეადგინა 143 ერთეული.</p> <p>ამასთან, საანგარიშო პერიოდში ტექნიკურად გაიმართა და შრომის ინსპექტორთათვის ხელმისაწვდომი გახდა ორსული, ახალნამშობიარები და მეძუძური ქალების ჯანმრთელობისთვის მავნე ან/და განსაკუთრებული რისკის შემცველ სამუშაოებთან დაკავშირებით შემუშავებული ელექტრონული სასწავლო კურსი.</p> <p>აქვე, აღსანიშნავია, რომ საანგარიშო პერიოდში განხორციელდა 4 ტრენინგი 4 თემატურ საკითხზე, მათ შორის, საქართველოს მთავრობის 2025 წლის 1 მაისის N135-ე დადგენილებით მიღებულ ტექნიკურ რეგლამენტზე "სამუშაო სივრცეში სამუშაო მოწყობილობების გამოყენებისას უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვასთან დაკავშირებული მინიმალური მოთხოვნების შესახებ"</p> <p>ამასთან, ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის (ეუთო) ორგანიზებითა და დაფინანსებით განხორციელდა სასწავლო ვიზიტი ქ. ვენაში, ავსტრიაში თემაზე: „შრომის ინსპექტორების შესაძლებლობების გაძლიერება ჰუმანიტარული კრიზისით გამოწვეული ადამიანებით ვაჭრობის მსხვერპლთა იდენტიფიცირებისა და გადამისამართების კუთხით“</p>

საქართველოსა და ევროკავშირის შორის ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების (DCFTA-ის) და მის მიღმა ვალდებულებების განხორციელების 2025 წლის შესრულების ანგარიში

აქტივობა	ინდიკატორი	დადასტურების წყარო	პასუხისმგებელი უწყება	პარტნიორი უწყება	შესრულების ანგარიში
10.3.4 სსიპ-შრომის ინსპექციის სამსახურის ფუნქციონირება კანონმდებლობით განსაზღვრული, გაფართოებული მანდატის შესაბამისად	წლის განმავლობაში მანდატის ფარგლებში ჯამში განხორციელებულია არანაკლებ 2000 ინსპექტირება და ამ ინსპექტირებების შედეგად პირველადად შემოწმებულია სამუშაო ადგილები; ინსპექტირებებისას გამოვლენილი დარღვევების შედეგად გაცემულია შესაბამისი მითითებები და შედგენილია ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმები	შრომის ინსპექციის წლიური ანგარიში - lio.moh.gov.ge	სსიპ შრომის ინსპექციის სამსახური	საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებიდან დევნილთა შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო	სსიპ - შრომის ინსპექციის სამსახურის მიერ საანგარიშო პერიოდში განხორციელებული 7,111 აქტივობიდან (პირველადი და შემდგომი ინსპექტირებები დარღვევების აღმოფხვრამდე, მონიტორინგი), რომელმაც პირველადი ზედამხედველობის ფარგლებში 3,733 ობიექტი მოიცვა. განხორციელებული ინსპექტირებების შედეგად გამოვლენილი 28,348 დარღვევის შესაბამისად გაცემულ იქნა მითითებები და შედგა 3,479 ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი.

საქართველოსა და ევროკავშირის შორის ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების (DCFTA-ის) და მის მიღმა ვალდებულებების განხორციელების 2025 წლის შესრულების ანგარიში

აქტივობა	ინდიკატორი	დადასტურების წყარო	პასუხისმგებელი უწყება	პარტნიორი უწყება	შესრულების ანგარიში
10.3.5 სოციალური პარტნიორობის სამმხრივი კომისიის რეგულარული შეხვედრების უზრუნველყოფა და სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული საკითხების განხილვა	სამმხრივი კომისიის და კომისიის ფარგლებში შექმნილი სამუშაო ჯგუფის შეხვედრების რაოდენობა	სოციალური პარტნიორობის სამმხრივი კომისიის სხდომის ოქმები	საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებთან დევნილთა შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო	სოციალური პარტნიორობის სამმხრივი კომისიის წევრი უწყებები/ორგანიზაციები	2025 წლის 19 მარტს გაიმართა სოციალური პარტნიორობის სამმხრივი კომისიის სხდომაზე სხვა საკითხებთან ერთად წარდგენილი და მოწონებულ იქნა სოციალური პარტნიორობის სამმხრივი კომისიის 2025-2026 წლების სამოქმედო გეგმით წარმოდგენილი საკითხები.
მიზანი 11.	DCFTA-ს განხორციელების ეფექტიანი კოორდინაციის და კომუნიკაციის უზრუნველყოფა				
ამოცანა 11.1.	DCFTA-ის სარგებელის, შესაძლებლობებისა და უპირატესობების შესახებ ინფორმაციის გავრცელება				
11.1.1. DCFTA-ს შესახებ ვებ-ვერდის ეფექტიანი ფუნქციონირება	ვებგვერდის ვიზიტორთა რაოდენობა; გამოქვეყნებული საკანონმდებლო აქტების პროექტების რაოდენობა	www.DCFTA.gov.ge	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო		საიტს ეწვია 4.5 ათასი ახალი მომხმარებელი. საქართველოს გარდა, ვებ-გვერდს სტუმრობდნენ აშშ-დან, გერმანიიდან, ჩინეთიდან, თურქეთიდან და სხვ. dcfta.gov.ge ვებგვერდზე
11.1.2. DCFTA-ის განხორციელების პროცესში სამოქალაქო საზოგადოების, ბიზნესის წარმომადგენლებისა და არასამთავრობო	მინიმუმ 1 შეხვედრა	DCFTA-ს განხორციელების სამოქმედო გეგმის შესრულების წლიური ანგარიში; www.DCFTA.gov.ge	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო		საბჭოს და საკონსულტაციო ჯგუფის მხრიდან შეხვედრის ორგანიზების მიზნით მომართვა არ განხორციელებულა

საქართველოსა და ევროკავშირის შორის ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების (DCFTA-ის) და მის მიღმა ვალდებულებების განხორციელების 2025 წლის შესრულების ანგარიში

აქტივობა	ინდიკატორი	დადასტურების წყარო	პასუხისმგებელი უწყება	პარტნიორი უწყება	შესრულების ანგარიში
ორგანიზაციების ჩართულობისა და ინფორმირებულობის მიზნით DCFTA საკონსულტაციო ჯგუფის შეხვედრების ორგანიზება					
11.1.3 DCFTA-ს შესახებ ცნობიერების ამაღლების მიზნით თემატური შეხვედრები ბიზნესის, არასამთავრობო ორგანიზაციების, ადგილობრივი ხელისუფლების, აკადემიური წრეების წარმომადგენლებთან და სხვა დაინტერესებულ მხარეებთან	ჩატარებული შეხვედრების რაოდენობა	DCFTA-ს განხორციელების სამოქმედო გეგმის შესრულების წლიური ანგარიში; www.DCFTA.gov.ge	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო		შეხვედრის ორგანიზების მიზნით მომართვა არ განხორციელებულა
ამოცანა 11.2.	საკოორდინაციო მექანიზმის ფუნქციონირების ხელშეწყობა ნაკისრი ვალდებულებების დროული და ხარისხიანი განხორციელებისთვის				
11.2.1. DCFTA-ის განხორციელების 2024-2026 წლების საშუალო ვადიანი გეგმის განხორციელების მიზნით ყოველწლიური გეგმების შემუშავება	მიღებული DCFTA-ის განხორციელების 2026 წლის გეგმა	www.DCFTA.gov.ge	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო		მინისტრის ბრძანებით დამტკიცდა 2026 წლის გეგმა
11.2.2 DCFTA-ს განხორციელების 2025 წლის სამოქმედო გეგმის	მომზადებულ DCFTA-ს	www.DCFTA.gov.ge	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი		მომზადდა 2025 წლის შერულების ანგარიში

საქართველოსა და ევროკავშირს შორის ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების
(DCFTA-ის) და მის მიღმა ვალდებულებების განხორციელების 2025 წლის შესრულების ანგარიში

აქტივობა	ინდიკატორი	დადასტურების წყარო	პასუხისმგებელი უწყება	პარტნიორი უწყება	შესრულების ანგარიში
ყოველკვარტალური და წლიური ანგარიშების შემუშავება და გამოქვეყნება	განხორციელები სამოქმედო გეგმის ანგარიშები		განვითარების სამინისტრო		